

საერთო ისტორია

სახელმძღვანელო

7



Azərbaycan Respublikasının Dövlət Himni

Musiqisi Üzeyir Hacıbəylinin,
sözləri Əhməd Cavadındır.

Azərbaycan! Azərbaycan!
Ey qəhrəman övladın şanlı Vətəni!
Səndən ötrü can verməyə cümlə hazırız!
Səndən ötrü qan tökməyə cümlə qadiriz!
Üçrəngli bayrağınla məsud yaşa!

Minlərlə can qurban oldu,
Sinən hərbə meydan oldu!
Hüququndan keçən əsgər,
Hərə bir qəhrəman oldu!

Sən olasan gülüstan,
Sənə hər an can qurban!
Sənə min bir məhəbbət
Sinəmdə tutmuş məkan!

Namusunu hifz etməyə,
Bayrağını yüksəltməyə
Cümlə gənclər müştaqdır!
Şanlı Vətən! Şanlı Vətən!
Azərbaycan! Azərbaycan!

Layihə

ჰეიდარ ალიევი

აზერბაიჯანელი ხალხის საერთო ეროვნული ლიდერი

Layihə

ფერვიზ აღალაროვი, ნიამედდინ კულიევი,
ქერემ მამედოვი ,ჰაფიზ ჯაბაროვი, თალიბ თალიბლი,
ელშან კასიმოვი, რამილ თანრივერდი, ელნურ ჰუსეინოვი

საერთო ისტორია

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების

მე- 7 კლასებისათვის საერთო ისტორიის საგნის

სახელმძღვანელო

© “Şərq-Qərb”ლია სააქციო საზოგადოება

Layihə

გთხოვთ ამ გამოცემასთან დაკავშირებული თქვენი შენიშვნები
და წინადადებები გამოაგზავნოთ **info@eastwest.az** და **derslik@edu.gov.az**
ელექტრონულ მისამართებზე.
წინასწარ მადლობას მოგახსენებთ ჩვენთან თანამშრომლობისათვის!

ŞƏRQ-QƏRB

სარჩევი

მსოფლიოს ქვეყნები III–XI ასწლეულებში

1 ფეოდალური ურთიერთობების წარმოშობა 6

2 ხალხთა დიდი გადასახლება. ევროპის ჰუნების
და თეთრი ჰუნების სახელმწიფოები 10

3 გოითურქებისა და უიღურების სახაკანოები 14

4 ავარების, ხაზარების და ბულგარების სახელმწიფოები . . 20

5 სასანიანების სახელმწიფო. კავკასია 28

6 არაბთა ხალიფატი 34

7 სამანიდების, ოღუზების, ყარახანიდების, ღაზნევიდების
სახელმწიფოები 40

8 ფრანკთა სახელმწიფო 48

9 ბიზანტია. სლავები 54

10 კულტურა 58

Layihə

სახელმძღვანელოში არსებულ **QR kodlara** კოდების გამოყენებით, თემასთან დაკავშირებით უფრო მეტი საინტერესო ინფორმაციის მოპოვება შეგიძლიათ.

მსოფლიოს ქვეყნები XI–XVI ასწლეულებში

11 დიდი სელჩუკთა სახელმწიფო 62

12 დიდი მონღოლთა იმპერია. ოქროს ურდო. მოსკოვის სამთავრო 68

13 დელის სასულთნო. დიდ მოგოლთა სახელმწიფო 76

14 ოსმალეთის იმპერია 80

15 თემურიდების სახელმწიფო 86

16 ჯვაროსნული ლაშქრობები 90

17 იტალია 96

18 საფრანგეთი 100

19 ინგლისი 106

20 რეფორმაცია 112

21 ტექნიკური გამოგონებები. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები 118

22 აღმოსავლეთის ხალხთა კულტურა 124

23 ევროპისა და ამერიკის ხალხთა კულტურა 132

პირობითი ნიშნები

კითხვა

დავალება

საინტერესოა

წყარო

გამოკვლევა

ძვირფასო მოსწავლეებო!

თქვენ მე-6 კლასში გაეცანით მსოფლიოს უძველესი დროიდან III–V ასწლეულებამდე პერიოდის ისტორიას, პირველყოფილ საზოგადოებას, პირველი სახელმწიფოების წარმოქმნას, მონათმფლობელურ ურთიერთობებს, ძველი აღმოსავლეთის ცივილიზაციებსა და ანტიკურ კულტურებს.

ახლა თქვენ იწყებთ მე-7 კლასის მსოფლიო ისტორიის საგნის შესწავლას. ეს საგანი განიხილავს შუა საუკუნეების ისტორიას.

ამ სახელმძღვანელოში ასახულია ფეოდალური ურთიერთობების წარმოშობა, ადრეფეოდალური სახელმწიფოების ჩამოყალიბება, პოლიტიკური დაქუცმაცებულობის თავისებურებანი, ცენტრალიზებული სახელმწიფოების წარმოქმნა, გლეხთა აჯანყებები, დამპყრობლური ომები, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ცივილიზაციების თავისებური მხარეები.

ეს თემები კიდევ უფრო გაამდიდრებს თქვენს ცოდნას მსოფლიო ისტორიის შესახებ, გააფართოებს თქვენს მსოფლმხედველობას და საფუძველს ჩაუყრის ახალ ისტორიაზე გადასვლას.

Layihə

1 ფეოდალური ურთიერთობების წარმოშობა

ფეოდი, ფეოდალური ურთიერთობები, ყმა გლეხი, ფეოდალური კიბე, სენიორი, ბეგარა

***ფეოდალი**

დიდი მიწის ფართობის მფლობელი, ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო ძალაუფლების მქონე პირი.)

ფეოდალიზმის პირველი ნიშნების წარმოქმნა მონათმფლობელური წყობილების შიგნით დაიწყო. ვინაიდან შუა საუკუნეებში სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ გაცემულ მიწის ნაკვეთს ფეოდი ეწოდებოდა, ახლად წარმოქმნილ საზოგადოებრივ ურთიერთობებსაც ფეოდალიზმი ეწოდა. აღმოსავლეთის ქვეყნებში ფეოდალური* ურთიერთობების წარმოქმნა და განვითარება ევროპისგან განსხვავდებოდა.

აღმოსავლური ფეოდალიზმი

აღმოსავლეთში ფეოდალურ ურთიერთობებზე გადასვლის პერიოდში საზოგადოების მთავარი საწარმოო ძალა იყო თავისუფალი გლეხები. ვინაიდან სარწყავი სისტემები და სახნავ-სათესი მიწები ეკუთვნოდა სახელმწიფოს, ახლად წარმოქმნილ საზოგადოებრივ ურთიერთობებს სახელმწიფო ფეოდალიზმი ეწოდებოდა. ამ შემთხვევაში გლეხების უმრავლესობა გადასახადს, როგორც წესი, სახელმწიფოს უხდიდა.

შუა საუკუნეებში აღმოსავლეთში სახელმწიფოების სახელწოდება მათ მმართველი დინასტიით იყო ცნობილი. ფეოდალები იყვნენ მიწის მესაკუთრენი. მიწათმფლობელობის სხვადასხვა ფორმები არსებობდა.

3 **როგორ ფიქრობთ, რატომ ეწოდებოდა სახელმწიფოებს დინასტიების სახელები?**

ჩინეთში ფეოდალურ მიწებზე მომუშავე გლეხები

Layline

ვინაიდან სარწყავი სისტემები დიდ ხარჯებს მოითხოვდა, ფეოდალებს არ ჰქონდათ პირადი მეურნეობები. ისინი შემოსავლის მისაღებად როგორც კერძო საკუთრებაში არსებულ, ისე სამსახურის სანაცვლოდ მიღებულ მიწებს აქირავებდნენ გლეხებზე.

ევროპაში ფეოდალის მიწის დამამუშავებელი გლეხი

დასავლური ფეოდალიზმი

ევროპაში ფეოდალური ურთიერთობების წარმოქმნას თან სდევდა რომის იმპერიის დაშლა, მეზობელი ხალხების თავდასხმები და ქრისტიანული რელიგიის გავრცელება. შედეგად, დასავლეთ რომის მიწებზე დასახლებულმა ხალხებმა შექმნეს თავიანთი სახელმწიფოები. ყოფილი ტომის ბელადები იქცნენ მეფეებად. ისინი მიტაცებულ მიწის ნაკვეთებს გლეხებთან ერთად სამსახურის სანაცვლოდ აძლევდნენ თავიანთ ყოფილ მეომრებს. ეს მიწები მემკვიდრეობით გადადიოდა.
სამეფოების ტერიტორიების ზრდასთან ერთად ფართოვდებოდა გასანაწილებელი მიწების ფართობებიც. ეს მესაკუთრეები თავიანთ მიწებს უნაწილებდნენ მათზე დამოკიდებულ ვასალებს. შედეგად წარმოიშვა ე.წ. "ფეოდალური კიბის" სისტემა და გაიზარდა ფეოდალური დაქუცმაცებულობა.

განსაზღვრეთ აღმოსავლურ და დასავლურ ფეოდალიზმს შორის მსგავსი და განსხვავებული ნიშნები.

აღმოსავლური ფეოდალიზმი		დასავლური ფეოდალიზმი
განსხვავება	მსგავსება	განსხვავება

სურათების (გვ. 6-7) საფუძველზე აღწერეთ გლეხების ცხოვრების წესი და საქმიანობა და გამართეთ დისკუსია.

Layire



ფეოდალური კიბე

ამ "კიბის" ზევით იდგა **მეფე**, მის ქვემოთ - **ჰერცოგები** და **გრაფები**, შემდეგ **ბარონები**, ბოლო საფეხურზე კი - **რაინდები**. ქვედა საფეხურზე მდგომი ფეოდალი, მიწის ნაკვეთის მიღებისას, ზემოთ მდგომი ფეოდალის წინაშე ერთგულების ფიცს დებდა და ხდებოდა მისი **ვასალი** (რომელიც დამოკიდებულია საკუთარ თავზე ძლიერ ფეოდალზე და ვალდებულია მისთვის გარკვეული ვალდებულებები შეასრულოს). ზედა საფეხურზე მდგომი ფეოდალი ითვლებოდა ქვედა საფეხურზე მდგომის სენიორად (მიწის მესაკუთრე, რომელსაც გააჩნია საკუთარი ტერიტორიის მასშტაბით სახელმწიფოს მეთაურის უფლებები). "ფეოდალური კიბის" მიხედვით ვასალს ბრძანების მიღება მხოლოდ თავისი სენიორისგან შეეძლო. ამიტომ ევროპაში წარმოიშვა ასეთი გამოთქმა: **"ჩემი ვასალის ვასალი არ არის ჩემი ვასალი"**. თანდათან მზარდი ფეოდალური დაქუცმაცებულობა იწვევდა სავაჭრო კავშირების კიდევ უფრო შესუსტებას. ცალკეულ ფეოდალურ მამულებში მცხოვრები ხელოსნების მიერ დამზადებული პროდუქცია არ გამოჰქონდათ ბაზარზე. ეს პროდუქცია განკუთვნილი იყო იქ მცხოვრები მოსახლეობის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ამას ეწოდებოდა **ნატურალური მეურნეობა.** ფეოდალიზმის პირველ საფეხურზე ევროპელი გლეხები იყოფოდნენ **თავისუფლებად** და **ყმებად.** ყმა გლეხს არ ჰქონდა უფლება, წასულიყო ფეოდალისგან, ან თუნდაც მისი ნებართვის გარეშე დაქორწინებულიყო. ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში ყმა გლეხის ყიდვა-გაყიდვაც კი შეიძლებოდა, როგორც მონა. ფეოდალური ურთიერთობების განვითარებასთან ერთად, თავისუფალი გლეხებიც ყმებად იქცეოდნენ.

3 **რა განსხვავებებია ფეოდალურ მეურნეობასა და მონათმფლობელურ მეურნეობას შორის?**

დ **განსაზღვრეთ ნატურალური მეურნეობის გავლენა ეკონომიკურ ურთიერთობებზე.**

ეპისკოპოს ფულბერის წერილი აკვიტანიის ჰერცოგს ვასალისა და სენიორის ურთიერ-თვალდებულებების შესახებ (XI საუკუნე)

4 **ვასალმა, რომელმაც თავის სენიორს ერთგულების ფიცი დაუდო, უნდა დაიმახსოვროს 6 წესი:**

- არ უნდა ჩაიდინოს ისეთი ქმედება, რამაც შეიძლება ფიზიკური ზიანი მიაყენოს მის სენიორს;
- არ უნდა გასცეს მისი საიდუმლოებები და არ უნდა დააზიანოს მისი ციხესიმაგრეების უსაფრთხოება;
- არ უნდა გადადგას ნაბიჯი, რომელიც ზიანს აყენებს სენიორის უფლებებს სასამართლოში;
- არ უნდა მიაყენოს ზიანი მის მამულს;
- არ უნდა შეუშალოს ხელი იმას, რისი მიღწევაც სენიორს ადვილად შეუძლია;
- არ უნდა აქციოს შესაძლებელი რთულად.

როგორც სამართლიანობა მოითხოვს, მავნე და სანდოობას მოკლებული ვასალი არ არის ფეოდის მიღების ღირსი... მიღებული ფეოდის ღირსი რომ იყოს, ვასალი 6 ვალდებულების გარდა, ასევე უნდა აძლევდეს რჩევებს თავის სენიორს და იყოს თავისი ფიცის ერთგული. სენიორმაც უნდა იზრუნოს თავის ერთგულ ვასალზე.

დ **განიხილეთ წყაროში მოცემული წესები და გამოიტანეთ დასკვნა.**

ფეოდალ-გლეხის ურთიერთობები

ფეოდალიზმის ხანაში გლეხების ექსპლუატაციის ძირითადი მეთოდი იყო **ბეგარა*** გლეხებს ხანდახან კვირაში 3 დღე უწევდათ ბეგარაზე გასვლა. გლეხების ექსპლუატაციის სხვა ფორმა იყო მიწით სარგებლობისთვის აღებული **მოსავლის გადასახადი.** გლეხი ვალდებული იყო, მის მიერ მოყვანილი მოსავლის გარკვეული ნაწილი გადაეხადა ფეოდალისთვის ან სახელმწიფოსთვის. ექსპლუატაციის ეს ფორმა დიდხანს გაგრძელდა.

ფეოდალიზმის დაშლის წინა პერიოდში მოსავლის გადასახადი შეიცვალა **ფულადი გადასახადით.** ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარების შედეგად თანდათან გაქრა ნატურალური მეურნეობა, გაიზარდა ბაზრისთვის წარმოებული პროდუქცია. ამიტომ ფეოდალებმა დაიწყეს გადასახადების აღება არა მოსავლით, არამედ ფულით.

ფეოდალიზმის ხანაში აღმოსავლეთისა და დასავლეთის გლეხების მიერ გადახდილი გადასახადები დიდად არ განსხვავდებოდა. ისინი გადასახადს უხდიდნენ მიწის მესაკუთრეებთან ერთად, ასევე რელიგიურ დაწესებულებებს.

***ბეგარა**

წინასწარ განსაზღვრულ დღეებში გლეხების მიერ საკუთარი სამუშაო პირუტყვით მიწის მესაკუთრეებისთვის უფასოდ მუშაობა.

გლეხები მკის დროს

ფეოდალიზმის განვითარების საფეხურები

ფეოდალიზმის ხანაში გლეხები მძიმე ექსპლუატაციას ექვემდებარებოდნენ. ამის მიუხედავად, ამ პერიოდმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა კაცობრიობის განვითარებაში. მონათმფლობელური წყობილებისგან განსხვავებით, გლეხები დაინტერესებული იყვნენ საკუთარი შრომით, მეტი მოსავლის აღებით.

ფეოდალიზმზე გადასვლა სხვადასხვა ქვეყანაში მოხდა სხვადასხვა დროს.

აღმოსავლეთის ქვეყნებში ეს წყობილება უფრო ადრე წარმოიშვა და დასავლეთის ქვეყნებთან შედარებით უფრო გვიან დაიშალა. ზოგიერთი ხალხი (არაბები, გერმანელები, მონღოლები და სლავები) გადავიდა თემური წყობილებიდან პირდაპირ ფეოდალიზმზე. ამის მთავარი მიზეზი იყო ის, რომ ამ ხალხებმა გამარჯვებული ომების შედეგად შექმნეს სახელმწიფოები, რომლებიც ფლობდნენ ვრცელ ტერიტორიებს.

3 **რა ვალდებულებები ჰქონდა გლეხს ფეოდალის წინაშე?**

3 **რა არის მონათმფლობელური წყობილების თავისებურებანი?**

Layline

ფეოდალური წყობილება (შუა საუკუნეები) განვითარების დონის მიხედვით იყოფა 3 საფეხურად:

1. **ადრეული ფეოდალიზმის პერიოდი** მოიცავს აღმოსავლეთში III–XI, ხოლო ევროპაში V–XI ასწლეულებს.
2. **განვითარებული ანუ კლასიკური ფეოდალიზმის პერიოდი** მოიცავს XI–XV ასწლეულებს.
3. **გვიანი ფეოდალიზმის პერიოდი** არსებობდა ევროპაში XVI–XVII ასწლეულებში, ხოლო აღმოსავლეთში XVI–XIX ასწლეულებში.

2 ხალხთა დიდი გადასახლება. ევროპის ჰუნების და თეთრი ჰუნების სახელმწიფოები

მომთაბარეობა, ჰუნები, ატილა, კატალაუნი, ეფთალიტები

დიდი ჰუნების სახელმწიფოს ხანაში თურქული ტომები უფრო ფართო ტერიტორიებზე გავრცელდნენ. თურქების მიერ აზიაში საცხოვრებელი ტერიტორიები, ძირითადად, მკაცრი კლიმატის მქონე სტეპები იყო. ძირითად საქმიანობად მესაქონლეობა და ნადირობა რომ ჰქონდათ, თურქებს მუდმივად უწევდათ ერთი ადგილიდან მეორეზე გადასახლება.

მიგრაციების მიზეზები

- **პოლიტიკური სიძნელეები**
  - პოლიტიკური და სოციალური მოვლენები;
  - ისტორიის განმავლობაში მონობის არმქონე თურქების მიერ სახელმწიფოს დაარსებისთვის ახალ ტერიტორიებზე გადასახლება.
- **სოციალური სიძნელეები**
  - მოსახლეობის სიმჭიდროვე;
  - მოსახლეობის რაოდენობის სწრაფი ზრდა.
- **ეკონომიკური სიძნელეები**
  - გვალვა:
  - საძოვრების ნაკლებობა, თურქების მიერ უხვი საძოვრების მქონე ახალი საცხოვრებლის პოვნისთვის უფრო ხელსაყრელ ტერიტორიებზე გადასახლება.

ჰუნების სახელით ცნობილი ეს ტომები, გადაადგილდებოდნენ დასავლეთის ნაყოფიერი მიწებისკენ, გადალახეს მდინარე იდილი (ვოლგა)და გავრცელდნენ ფართო ტერიტორიებზე. მათი ზეწოლის ქვეშ ალანები, გუთები და სხვა ტომებიც იძულებულნი გახდნენ გადასახლებულიყვნენ ცენტრალურ და დასავლეთ ევროპაში. ჰუნების ერთი შტო გადავიდა წინა აზიის მიმართულებით, მეორე შტო კი ცენტრალური აზიის სამხრეთისკენ.

3 რა მნიშვნელობა ჰქონდა ხალხთა დიდ გადასახლებას?

ამ მიგრაციებს, რომლებიც მოიცავს IV–VII საუკუნეებს, ეწოდება **"ხალხთა დიდი გადასახლება".**

ევროპის ჰუნების სახელმწიფო

როდესაც ჰუნები დასავლეთისკენ მოძრაობდნენ, IV საუკუნის 70-იან წლებში მათ დაიკავეს დონისა და იდილის მდინარეებს შორის არსებული ალანების კუთვნილი ტერიტორიები. შემდეგ მათ გადალახეს დონი და დაიკავეს აზოვისპირეთი, თერგი და ყუბანი. სწრაფად ყირიმში შესული ჰუნები იქ მცხოვრებ გუთებს შეეჯახნენ. ჰუნებმა, ბალამირ ხანის მეთაურობით, დაამარცხეს გუთები და შექმნეს ევროპის ჰუნების სახელმწიფო.

Layire

დასავლეთისკენ მიმავალი ჰუნები დასახლდნენ დღევანდელი უნგრეთის ტერიტორიაზე. ამგვარად, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორია იდილიდან (ვოლგა) დუნაიმდე ჰუნების კონტროლქვეშ გადავიდა. ევროპის ჰუნთა სახელმწიფოს ძლიერება განსაკუთრებით გაიზარდა ატილას მმართველობის წლებში. სახელმწიფოს საზღვრები მოიცავდა ვრცელ ტერიტორიას: აღმოსავლეთით იდილიდან (ვოლგა) დასავლეთით რაინამდე, სამხრეთით ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან ჩრდილოეთით ბალტიის ზღვის სანაპირომდე.
ჰუნთა იმპერია აქტიურად ვაჭრობდა ბიზანტიასთან და აღმოსავლეთის ქვეყნებთან. თუმცა, ბიზანტია ყველა საშუალებით ცდილობდა ჰუნების დასუსტებას, საჩუქრების მიცემით უბიძგებდა მათ დაქვემდებარებულ ხალხებს აჯანყებებისაკენ.
ატილამ 434 წელს ბიზანტიის წინააღმდეგ გაილაშქრა. დადებული ხელშეკრულებით დარეგულირდა სავაჭრო ურთიერთობები, ბიზანტია იძულებული გახდა წლიური ხარკი გადაეხადა.
მაგრამ ბიზანტია ხშირად არღვევდა დადებული ხელშეკრულების პირობებს. ამიტომ, ატილა 447 წელს კონსტანტინოპოლის გალავნებამდე მივიდა. შეშინებულმა ბიზანტიის იმპერატორმა სასწრაფოდ დაიწყეო მოლაპარაკებები ატილასთან და დათანხმდა დიდი ოდენობის წლიური ხარკის გადახდაზე.

კატალაუნის ბრძოლა

ბიზანტიის ხარკის გადახდაზე მაიძულებელმა ატილამ ლაშქრობა დაიწყო დასავლეთ რომის იმპერიის წინააღმდეგ. მან მოაწყო სამხედრო ექსპედიცია გალიაში (დღევანდელი საფრანგეთი). ჰუნებმა დაიკავეს ბურგუნდია და მიაღწიეს ქალაქ ორლეანს. 451 წელს **კატალაუნის ველზე** დაუპირისპირდნენ დასავლეთ რომისა და ატილას ჯარები. რომაულ ჯარში მონაწილეობდნენ ჰუნების მიერ დამარცხებული გუთები, ფრანკები და სხვა ევროპელი ხალხებიდან დაქირავებული მრავალი მეომარი.

3 **რატომ სურდა ბიზანტიას ჰუნების დასუსტება?**

U კატალაუნის ბრძოლაში რომაულ ჯარს მეთაურობდა ჭაღარა, გამოცდილი სარდალი აეტიუსი.
აეტიუსი ბავშვობაში ჰუნებთან ტყვედ ჩავარდნილა და ატილას ბავშვობის მეგობარი ყოფილა. ორივე გამოცდილი იყო ცხენოსნობასა და მშვილდის სროლაში. ამ უნარის გამო ატილა მეგობრობდა აეტიუსთან.
აეტიუსი ტყვეობიდან გათავისუფლების შემდეგ დაინიშნა რომაული ჯარის მეთაურად. მისმა ჰუნური ენის კარგმა ცოდნამ, ჰუნების საბრძოლო ტაქტიკასთან ახლო გაცნობამ და პირადმა სამხედრო ოსტატობამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ამ თანამდებობაზე დანიშვნაში.

Layine

კატალაუნის ბრძოლა

ატილა ბრძოლაში

სისხლიან ბრძოლაში ორივე მხრიდან ათასობით მეომარი დაიღუპა. ღამით რომაულმა ჯარმა უკან დაიხია. ატილა მათ არ დაედევნა და ახალი ლაშქრობისთვის მზადება დაიწყო.

ატილამ 452 წელს, რომის ქალაქებისა და სოფლების დაკავებით, დიდი ნადავლი ჩაიგდო ხელში. მან დასაჯა რომში შეფარებული დასავლეთ გუთები კატალაუნის ბრძოლაში მტრის მხარეზე ბრძოლის გამო. ჰუნები თვით ქალაქ რომამდე მივიდნენ. ატილამ რომის პაპის ***(დასავლეთ ევროპაში ქრისტიანთა რელიგიური წინამძღოლი)*** თხოვნით გადაიფიქრა ქალაქის აღება. ამგვარად, ჰუნებმა მოიპოვეს უპირატესობა დასავლეთ რომზე.

რომიდან დაბრუნების შემდეგ, სასანიანების წინააღმდეგ ლაშქრობისთვის მომზადებისას, ატილა გაურკვეველ პირობებში გარდაიცვალა. ჰუნთა სახელმწიფოსადმი დაქვემდებარებული ხალხები აჯანყდნენ. გუთები აუჯანყდნენ ჰუნებს. ატილას შემდეგ ხელისუფლებაში მოსულმა მემკვიდრეებმა ვერ შეძლეს სახელმწიფოს ძლიერების შენარჩუნება. ჰუნებმა უკან დაიხიეს შავი ზღვის ჩრდილოეთით. 470 წელს ევროპის ჰუნთა სახელმწიფომ,რომელმაც შეაზანზარა ევროპა,სრული კრახი განიცადა.

3 **ატილას, როგორც ძლევამოსილი მმართველის დამადასტურებელი რა ფაქტები შეგიძლიათ ჩამოთვალოთ?**

S ევროპულ წყაროებში არსებული ინფორმაციით, ატილა გამოირჩეოდა მტკიცე ნებისყოფითა და ღრმა გონებით. ის ადვილად ახდენდა ადამიანებზე გავლენას, არ პატიობდა დაქვემდებარებულთა ღალატებს და მკაცრად სჯიდა. ჯარში მკაცრი დისციპლინა იყო. წყაროების თანახმად, ატილა იყო საშუალო ტანის, განიერი მხრების, შავგვრემანი, მეჩხერი წვერით. მისი ვიწრო თვალების მახვილი მზერა ადამიანს შიშს ჰგვრიდა. ამავდროულად, ატილა იყო კეთილშობილი და გულუხვი. ევროპელმა მოსახლეობამ მას "ღვთის მათრახი ატილა" უწოდა.

Levine

თეთრ ჰუნთა სახელმწიფო

აზიის ჰუნთა (დიდი ჰუნების) სახელმწიფოს დაშლის შემდეგ, ჰუნების ერთი განშტოება გადავიდა მდინარე იდილიდან (ვოლგა) დასავლეთით. ჰუნების ნაწილი კი გადასახლდა დასავლეთ თურქესტანში. მათ IV ასწლეულის მეორე ნახევარში საფუძველი ჩაუყარეს თეთრ ჰუნთა სახელმწიფოს.
ეს სახელმწიფო, V საუკუნეში მმართველი **ეფთალ-ხანის** სახელთან დაკავშირებით, ცნობილი იყო როგორც **ეფთალიტების სახელმწიფო.** თეთრ ჰუნთა სახელმწიფოში შედიოდა ცენტრალური აზია, ავღანეთი და ჩრდილო-დასავლეთ ინდოეთის ნაწილი. სახელმწიფოს საზღვრები ვრცელდებოდა მონღოლეთის დასავლეთიდან კასპიის ზღვამდე. თეთრი ჰუნები **აღსუვარ** ხანის დროს ატარებდნენ აქტიურ საგარეო პოლიტიკას და იპყრობდნენ მეზობელ ტერიტორიებს. V საუკუნის შუა წლებში ისინი აწარმოებდნენ გამარჯვებულ ომებს სასანიანების წინააღმდეგ და დაეუფლნენ ირანის ზეგანის აღმოსავლეთ ნაწილებსა და თურქესტანს. 484 წელს, სასანიანებზე მორიგი გამარჯვების შემდეგ, დაიმორჩილეს ჰერათი.
თეთრ ჰუნთა იმპერიის უძლიერესი პერიოდი დაკავშირებულია **მიჰირაკულ** ხანის სახელთან. ის მმართველობდა VI ასწლეულში. მის დროს ჰუნებს ჰყავდათ კარგად გაწვრთნილი რეგულარული არმია. ჰუნებმა განუწყვეტელი ლაშქრობებით დაასრულეს ინდოეთის ჩრდილო-დასავლეთის დაპყრობა. იმპერიის ტერიტორიების გაფართოებასთან ერთად, მმართველობაშიც წარმოიშვა სირთულეები. დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე დაიწყო პროტესტი. ამან გაძლიერა ფეოდალური თავადების დამოუკიდებლობისკენ მიდრეკილებები. სწორედ ასეთ დროს, გოითურქთა სახელმწიფომ თეთრი ჰუნების წინააღმდეგ შეტევა დაიწყო. 567 წელს გაერთიანებულმა სასანიან-გოითურქთა ძალებმა დაამარცხეს თეთრ ჰუნთა სახელმწიფო. მისი მიწები გაიყო ორ სახელმწიფოს შორის.

3 **როგორ ფიქრობთ, რატომ შექმნა თეთრ ჰუნთა სახელმწიფოს ტერიტორიის გაფართოებამ სირთულეები მმართველობაში?**

4 **შეადარეთ ევროპის ჰუნების სახელმწიფო და თეთრი ჰუნების სახელმწიფო.**

Layine

3 გოითურქთა და უილურთა სახაკანოები

აშინას გვარი, ბუმინი, ჩინეთთან ბრძოლა, ქიურ შადი, ილთერისი, იაბღუ

3 რამ გახადა აუცილებელი გიოითურქთა სახელმწიფოს შექმნა?

აზიის ჰუნების (დიდი ჰუნების) სახელმწიფოს დაშლის შემდეგ, ალტაის მთების კალთებზე მცხოვრები ჰუნების ნაწილმა აქ სახელმწიფო შემქმნელ ავარებს (ჟუჟანებს) შეაფარა თავი. ***ისინი მჭედლობით იყვნენ დაკავებულნი და ავარებისათვის იარაღს ამზადებდნენ.*** მიუხედავად იმისა, რომ ავარების შემადგენლობაში იყვნენ, ჰუნები სხვა თურქულ ტომებთან აირია-შეერთდნენ და მრავლდებოდნენ. ამ ტომებს უფრო მეტად გოითურქების სახელით იხსენიებენ. მათი მეთაური კი ***აშინას გვარიდან*** ბუმინი იყო. გიოითურქები ავარების ჩაგვრის წინააღმდეგ იბრძოდნენ, დაამარცხეს ისინი და 552 წელს საფუძველი ჩაუყარეს ***I გოითურქთა სახაკანოს*** სახელმწიფოს ცენტრი ***ოთუქენი იყო. გოითურქებმა პირველად მიიღეს სახელი "თურქი" ოფიციალურ სახელმწიფო სახელად.***

ვინაიდან თურქული სახელმწიფოების ტერიტორიები ძალიან დიდი იყო, მართვა-გამგეობა რთული იყო. ამიტომ სახელმწიფოები, როგორც წესი, პირობითად ორ ნაწილად იყოფოდა. ძირითად ნაწილს ხაკანი მეთაურობდა, მეორე ნაწილს კი ხაკანის გვარიდან ცნობილი სარდლები. ბუმინ ხაკანის შემდეგ ხელისუფლებაში მოვიდა მუღან ხაკანი. მისი ჭკვიანური, შორსმჭვრეტელი ღონისძიებების შედეგად გოითურქთა სახელმწიფო კიდევ უფრო ძლევამოსილი გახდა. ის ატარებდა ტერიტორიის გაფართოების პოლიტიკას. მუღან ხაკანმა განაგრძო ავარების წინააღმდეგ ბრძოლა და შეძლო მათი განდევნა. მეზობელი სახელმწიფოები, განსაკუთრებით ჩინეთი, დაიმორჩილა. მუღან ხაკანის მმართველობის პერიოდში, ***იაბღუდ**** მყოფი ისთემი ხანი მართავდა სახელმწიფოს დასავლეთ პროვინციებს. მან ჯერ ხაზარები დაიმორჩილა და ბიზანტიაზე ლაშქრობისთვის სასანიანებთან ალიანსის შექმნა სცადა. თუმცა თეთრმა ჰუნებმა შეაფერხეს ისთემი ხანი. შედეგად, მან ეს ალიანსი თეთრი ჰუნების წინააღმდეგ მიმართა. სასანიანებთან ერთად თეთრი ჰუნების სახელმწიფოს ოკუპაციის შემდეგ, ყოფილ მოკავშირეებს შორის უკმაყოფილება წარმოიშვა. უკმაყოფილების ერთ-ერთი მიზეზი იყო ცენტრალურ აზიაზე გამავალი სავაჭრო გზების კონტროლი. ისთემი ხანმა მოითხოვა, რომ სასანიანების მიერ თეთრი ჰუნებისთვის გადახდილი ხარკი ახლა გოითურქებისთვის გადაეხადათ. ამ მოთხოვნამ მათ შორის ომი გამოიწვია. ომის შედეგად გოითურქებმა უპირატესობა მოიპოვეს და დაეუფლნენ ***სოგდიანას*** ოლქს.

***იაბღუ**

ხაკანის შემდეგ მეორე პირია.

ბუმინ ხაკანის ქანდაკება

მუღანისა და ისთემის გარდაცვალების შემდეგ, გოითურქთა სახელმწიფოში ხელისუფლებისთვის ბრძოლა დაიწყო.
წინააღმდეგობის მიზეზები:
- **ჩინელი დედებისგან შობილი უფლისწულების მცდელობა, დაახლოებოდნენ ჩინეთს;**
- **ხაკანის სურვილი, გაევრცელებინა თურქული მორწმუნეობისთვის უცხო ბუდიზმი.**

შედეგად, ***VI ასწლეულის 80-იან წლებში*** სახელმწიფო ორ ნაწილად - აღმოსავლეთ და დასავლეთ გოითურქთა სახელმწიფოებად - გაიყო. სახელმწიფოს დაშლამ მისი ეკონომიკური და სამხედრო ძლიერება დაასუსტა. ამ მდგომარეობამ გამოიწვია ჩინეთის პოზიციის განმტკიცება. ჩინელებმა ***VII საუკუნის 30-იან წლებში აღმოსავლეთ გიოითურქთა, ხოლო 50-იან წლებში დასავლეთ გიოითურქთა სახელმწიფო დაამორჩილეს.***

შეავსეთ ცხრილი

I გოითურქთა სახელმწიფოს დაშლის მიზეზები	დაშლის შედეგები

გოითურქები ბრძოლაში

Layihe

მეორე გოითურქთა სახაკანო

მონობაში დარჩენას შეურიგებელი თურქები ხშირად აწყობდნენ აჯანყებებს და განთავისუფლებას ცდილობდნენ. ერთ-ერთი ასეთი აჯანყება 639 წელს მოხდა თურქი სარდლის, ქიურ შადის მეთაურობით. თურქების საბრძოლო გამოცდილების გამოყენების მიზნით, ჩინელები მათ საკუთარ ჯარში რთავდნენ. ამ ჯარში მომსახურე 40 თურქმა აჯანყება მოაწყო ჩინეთის იმპერატორის დასამხობად. ჩინეთის დანებების მოთხოვნა რომ არ მიიღეს, აჯანყებულებმა ბოლომდე ბრძოლა და დაღუპვა არჩიეს.

VII საუკუნის 80-იან წლებში, განმათავისუფლებელ ბრძოლას რომ სათავეში ჩაუდგა, ყუთლუღ ხანმა 682 წელს ბოლო მოუღო ჩინეთის მონობას, აღდგა დამოუკიდებლობა და შეიქმნა **II გიოითურქთა სახელმწიფო.**

ყუთლუღ ხანი ილთერის ხაკანის სახელით გახდა სახელმწიფოს პირველი მმართველი. ქალაქი ოთუქენი კვლავ დედაქალაქად იქნა არჩეული.

ილთერის ხაკანი ჩინელ ქალზე კი არა, თურქ ქალზე დაქორწინდა. ამით ჩინელების თურქულ მმართველობაში ჩარევას ხელი შეეშალა.

გოითურქთა დამოუკიდებლობის აღდგენასა და განმტკიცებაში **თონიუქუქსაც** დიდი დამსახურება მიუძღვის. მამაცი სარდალი და ბრძენი პოლიტიკოსი თონიუქუქი ილთერისის ახლო თანაშემწედ დაინიშნა. ის იყო უფლებამოსილი პირი ჯარისა და დიპლომატიური საქმეების ორგანიზებაში.

ილთერის ხაკანის გარდაცვალების შემდეგ, მისი ვაჟები, ქიულ თიგინი და ბილგე, მცირეწლოვნები იყვნენ, ამიტომ ხელისუფლებაში მოვიდა მისი ძმა **ყაფაღან** ხაკანი.

ისინი ყაფაღან ხაკანთან ერთად მონაწილეობდნენ სახელმწიფოს შენარჩუნებაში და მართვა-გამგეობის გამოცდილებას იძენდნენ. ეს ფაქტორი მათ დაეხმარა ბიძის შემდეგ ხელისუფლებაში მოსვლაში.

VIII საუკუნის დასაწყისში **ბილგე** ავიდა სახაკანო ტახტზე. მისი მმართველობის წლები II გიოითურქთა სახელმწიფოს ყველაზე ძლევამოსილ პერიოდად ითვლება.

LeaVine

სახელმწიფოს განმტკიცებაში დიდი როლი ითამაშეს ბილგე ხაკანის ახლო თანაშემწეებმა: მისმა ძმამ ქიულ თიგინმა და მრჩეველმა თონიუქუქმა.

მის დროს, ცენტრალურ აზიაში მყოფი სხვა თურქული ტომებიც დაუმორჩილეს გოითურქთა სახელმწიფოს. ბილგე ხაკანმა წარმატებული ლაშქრობები ჩაატარა ჩინეთზე, რომელიც გოითურქების მიმართ მტრულ პოლიტიკას ატარებდა.

ჯერ თონიუქუქისა და ქიულ თიგინის, შემდეგ კი თავად ბილგე ხაკანის სიკვდილმა VIII საუკუნის 30-იან წლებში II გოითურქთა სახელმწიფოს დასუსტება გამოიწვია.

8 **გამოიკვლიეთ გოითურქთა სახელმწიფოს გაძლიერების მიზეზები.**

5 დასავლელი ისტორიკოსების მიერ "თურქების ბისმარკად" წოდებული თონიუქუქი იყო დიდი სარდალი და შორსმჭვრეტელი პიროვნება. მან გოითურქთა სახელმწიფოში წესრიგში მოიყვანა ჯარი და მმართველობის სისტემა.

მან დიდი როლი ითამაშა სახელმწიფოს განმტკიცებაში. როდესაც ბილგე ხაკანს სურდა, ჩინელების მსგავსად, დიდი ქალაქების ირგვლივ გალავნები შემოევლო, თონიუქუქმა ამის უფლება არ მისცა და უთხრა: "ჩვენი უდიდესი უპირატესობა ჩვენს მომთაბარეობაში, ჩვენს თავისუფალ გადაადგილებაშია. რადგან ის საშუალებას გვაძლევს, ყოველი შესაძლებლობის დროს თავდასხმა განვახორციელოთ, ხოლო წარუმატებელი სიტუაციების დროს ადვილად ავიცილოთ თავიდან მტრის დევნა".

9 **გამართეთ დისკუსია თონიუქუქის როლის შესახებ სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.**

თურქული დასახლება

ilia state

გიოითურქების კლდეზე გამოკვეთილი სურათი

უფლისწულებს შორის ხელისუფლებისათვის ბრძოლამ მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა. შექმნილი ვითარებით ისარგებლეს უიღურებმა და 744 წელს ხელისუფლება ხელში ჩაიგდეს. II გიოითურქთა სახელმწიფო დაეცა.

8 **გამოიკვლიეთ სახელმწიფოს განვითარების მიზეზები ბილგე ხაკანის მმართველობის პერიოდში.**

მდინარე ორხონი

ქიულ თიგინი

უიღურთა სახაკანო

უიღურები იყვნენ ცენტრალურ აზიაში მცხოვრები თურქული ტომები. მათ შესახებ პირველი ცნობები II ასწლეულს ეხება. გარკვეული პერიოდში გოითურქებზე დამოკიდებულმა უიღურებმა ისარგებლეს მათი დასუსტებით და დააარსეს საკუთარი სახელმწიფო.

დედაქალაქად ქალაქ **ორდუს** მქონე **უიღურთა** სახელმწიფოს დამაარსებელი იყო **ყუთლუღ ბილგე ქიულ** ხაკანი. მისი გარდაცვალების შემდეგ ხელისუფლებაში მოვიდა მისი ვაჟი მოიონ ჩურ ხაკანი. მოიონ ჩურის ხელისუფლებაში მოსვლას უკმაყოფილება მოჰყვა. რადგან თურქული თორეს (კანონის) მიხედვით, ხელისუფლებაში ხაკანის ძმა უნდა მოსულიყო. ამის მიუხედავად, მან შეძლო თავისი ხელისუფლების განმტკიცება.

751 წელს, ტალასის ხეობაში არაბებსა და ჩინელებს შორის გამართულ ბრძოლაში ჩინელები დამარცხდნენ და ცენტრალური აზიიდან უკან დაიხიეს. აბასიანები ტალასის ბრძოლის შემდეგ აღმოსავლეთისკენ წინ არ წასულან. ამის მიზეზი იყო ის, რომ მათ არ გააჩნდათ საკმარისი სამხედრო ძალა და მხარდაჭერა რეგიონის დასაპყრობად. ასევე, არსებობდა უცნობ ტერიტორიაზე ხაფანგში გაბმის, დამარცხების ალბათობა. ამ მიზეზით, ისინი არ წინ წასულან და ნება დართეს ბრძოლაში მათ მხარდამჭერ ყარლუხებს დასახლებულიყვნენ რეგიონში.

ტალასის დამარცხებამ უიღურებს შეუქმნა პირობები ჩინეთის შიდა საქმეებში ჩარევისთვისაც. კერძოდ, თურქი დედისაგან შობილმა ჩინელმა სარდალმა დაამხო

Leyline

იმპერატორი და ხელისუფლება ხელში ჩაიგდო. იმპერატორმა ხელისუფლების აღსადგენად უიღურებს დახმარება სთხოვა. მოიონ ჩური ჩინეთში გაემართა და აღადგინა იმპერატორის ხელისუფლება. ჩინელებს სანაცვლოდ უიღურებისთვის აბრეშუმით ხარკი უნდა გადაეხადათ.

მოიონ ჩურ ხაკანის შემდეგ ხელისუფლებაში მოვიდა ბოღუ ხაკანი. მის დროს უიღურებმა კიდევ უფრო გაზარდეს თავიანთი გავლენა ჩინეთზე. ჩინეთის სავაჭრო ურთიერთობები კონტროლქვეშ აიყვანეს.

ტიბეტელების ჩინეთზე თავდასხმის დროს კი მათ წინ უიღურები დაუდგნენ. ტიბეტელების მიერ ჩინეთის ხელში ჩაგდება შეიძლებოდა დარტყმა ყოფილიყო უიღურების უპირატესობისთვის, მათ შორის, შემოსავლებისთვის. ამიტომ ბოღუ ხაკანმა დაამარცხა ისინი და განდევნა ჩინეთიდან.

ბიოუიუ ხაკანის დროს, მმართველმა და მისმა გარემოცვამ მიიღეს მანიქეიზმი.* მანიქეიზმი, ძირითადად, ომის არწარმოებას ქადაგებდა. ეს კი ამცირებდა უიღურ თურქების საბრძოლო სულისკვეთებას, ამიტომ მოსახლეობაში არ მიიღებოდა. შედეგად, უიღურთა სახელმწიფოში რელიგიური განხეთქილება მოხდა.

IX საუკუნის დასაწყისში ხაკანების მკვლელობამ შეთქმულების შედეგად, რელიგიურმა განხეთქილებამ დაასუსტა უიღურთა სახელმწიფო. დამორჩილებულმა ტომებმა, მათ შორის ყირღიზებმა, ისარგებლეს შექმნილი ვითარებით და IX **საუკუნის 40-იან წლებში** ბოლო მოუღეს უიღურთა სახელმწიფოს არსებობას.

უიღურები იყვნენ მაღალი საქალაქო კულტურის მქონე ხალხი. ისინი ახალ ქალაქებს აშენებდნენ, დანგრეულ ქალაქებს კი აღადგენდნენ. აბრეშუმის გზაზე მდებარე უიღურთა სახაკანოში სწრაფად ვითარდებოდა ხელოსნობა, ვაჭრობა და ქალაქები.

ევროპელებზე ადრე **ქაღალდს** რომ აწარმოებდნენ, უიღურებმა შექმნეს **სტამბა**. მანიქეიზმის გავრცელებისთვის საჭირო წიგნები იბეჭდებოდა სტამბაში.

უიღურებმა წიგნების ბეჭდვა ჩინელებისგან გადაიღეს, არაბებმა კი ეს უიღურებისგან გადაიღეს და ევროპაში გაავრცელეს.

3 **რა მნიშვნელობა ჰქონდა ტალასის ბრძოლას უიღურებისათვის?**

***მანიქეიზმი**

რელიგიური მოძღვრება, რომლის საფუძველი ჩაუყარა მანიმ.

ღ **შეადარეთ გოითურქთა და უიღურთა სახელმწიფოების დასუსტებისა და დაცემის მიზეზები.**

ღ **დაასაბუთეთ, რომ უიღურთა კულტურა მსოფლიო ცივილიზაციის შემადგენელი ნაწილია.**



Layin

4 ავართა, ხაზართა და ბულგართა სახელმწიფოები

ბაიან ხაკანი, კონსტანტინოპოლის ალყა, ფრანკებთან ბრძოლა, ხაზართა წესრიგი, ქურდ ხანი

ბაიან ხაკანი

აღმოსავლეთ ჰუნთა სახელმწიფოს დაცემის შემდეგ, 394 წელს თურქულმა ტომებმა დააარსეს **აზიის ავართა სახელმწიფო** აღმოსავლეთ თურქესტანში. 552 წელს გოითურქებთან დამარცხებული ავარები იძულებულნი გახდნენ დასავლეთისკენ გადასახლებულიყვნენ.

ავარები გაერთიანდნენ საბირებთან და სხვა მონათესავე თურქ ხალხებთან. მათ დაიკავეს კავკასიის მნიშვნელოვანი ნაწილი, ასევე შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროები. VI საუკუნის მეორე ნახევარში, ბაიან ხაკანის მეთაურობით, დააარსეს ევროპის ავართა სახელმწიფო. ბიზანტიის მიწებზე თავდასხმისას ავარებმა დაიმორჩილეს დუნაის მიდამოებში ჩასახლებული სლავები. ცენტრალურ ევროპაშიც ხელში ჩაიგდეს მნიშვნელოვანი ტერიტორიები. მდინარე ელბის ნაპირას ბრძოლაში რომ გაანადგურეს ფრანკები, ავარებმა მათი მეფე ტყვედ აიყვანეს.

S **რა იყო ავარების წარმატების მიზეზები?**

ავარი მხედარი

Lavine

შემდეგი სამიზნე იყო ბიზანტიის დედაქალაქი. ავარებმა ალყა შემოარტყეს კონსტანტინოპოლს, მაგრამ ქალაქის აღება ვერ შეძლეს.

ავარების მიერ კონსტანტინოპოლის აღების შეუძლებლობამ შეამცირა სახელმწიფოს ავტორიტეტი. შედეგად, ზოგიერთი თურქი ხალხი გამოეყო სახაკანოს.

ავარების თავდასხმა კონსტანტინოპოლზე

3 რატომ ვერ აიღეს ავარებმა კონსტანტინოპოლი?

ა) საცხენოსნო არმია არ ჰყავდათ.

ბ) ციხის კედლები ზედმეტად მაღალი იყო.

გ) სამხედრო გემები არ ჰყავდათ.

დ) ავარებს შორის ერთიანობა არ იყო.

✓ ახსენით თქვენი არჩეული პასუხი.

3 რა შედეგები მოუტანა ავართა სახელმწიფოს კონსტანტინოპოლის აღების შეუძლებლობამ?

Preview

ავარების მიერ კონსტანტინოპოლის ალყაში აღება

788 წელს ავარების სახაკანოს ჯარმა ჩრდილოეთი იტალია დაიკავა. ამ მოვლენამ ფრანკთა სამეფოსა და ავარებს შორის ახალი ომი გამოიწვია. სლავები ამ ომში ფრანკების მხარეს გადავიდნენ. შედეგად, ცენტრალური ევროპის დიდი ნაწილი ავარების სახაკანოს შემადგენლობიდან გამოვიდა. IX საუკუნის დასაწყისში ფრანკთა იმპერატორმა კარლოს დიდმა ავარების სახელმწიფოს დედაქალაქი აიღო. ამის შემდეგ ავარებს მხოლოდ დღევანდელი უნგრეთის აღმოსავლეთ ნაწილი, რუმინეთისა და ბულგარეთის ჩრდილოეთი მიწები დარჩათ. აქ მცხოვრებმა ავარებმა აზიიდან გადმოსახლებულ ტომებთან ერთად უნგრეთის სამეფო დააარსეს.

ავარების სახაკანომ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა დღევანდელი სლავების, გერმანელების, უნგრელებისა და რუმინელების კულტურულ ცხოვრებაში.

ევროპელი ისტორიკოსების გადმოცემით, "ტყეებში ცხოვრებას მიჩვეულმა სლავებმა ავარებისგან ისწავლეს სახელმწიფოს შექმნა და ბრძოლა".

Ე **ახსენით ევროპაში ახალი თურქული სახელმწიფოს წარმოშობის მნიშვნელობა.**

Ს **“ავარები იმდენად მაღლები იყვნენ, რომ უმაღლესი ხეები მათ მუხლებს არ სცდებოდა.** ავარი მეომარი, როცა ჩექმაზე მიკრულ ტალახს ასუფთავებდა, ბორცვი წარმოიქმნებოდა”.

დასავლელი სლავების გადმოცემებიდან

დღესაც ჩეხურ, სლოვაკურ და პოლონურ ენებში **სიტყვა ავარი “გიგანტის”** და **“ძლევამოსილის”** მნიშვნელობით იხმარება.

3 **რით იყო გამოწვეული სლავების ეს წარმოდგენები ავარებზე?**

Ვ **გამოიკვლიეთ ავარების როლი ევროპელი ხალხების კულტურულ ცხოვრებაში.**

ავარი მეომარი

Layiha

ხაზართა სახელმწიფო

VII ასწლეულის შუა წლებში წარმოქმნილი ხაზართა სახელმწიფო დასავლეთ თურქთა სახაკანოს მემკვიდრე იყო. ამ სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში მონაწილეობდნენ ხაზარების, ბარსილების, საბირებისა და სხვა თურქული ტომები. ეს ტომები ჯერ კიდევ "ხალხთა დიდ გადასახლებამდე" ცხოვრობდნენ კავკასიასა და მის მოსაზღვრე ტერიტორიებზე.

ხაზართა სახელმწიფოს მართავდნენ გოითურქთა სახაკანოს შთამომავალი მმართველები. სახელმწიფოში მეორე გავლენიან პირად ითვლებოდა ხაკან-ბეკი. იგი ხაკანის წინაშე ერთგულების ფიცის დადებამდე და თანამდებობის შესრულებამდე ვალდებული იყო ცეცხლზე გადავლით გაევლო.

ხაზართა სახელმწიფოს დედაქალაქები იყო ქალაქები: ბალანჯარი, სემენდერი, მოგვიანებით კი იდილი. სახაკანოს სახელმწიფო ენა იყო თურქულ-ხაზარული ენა.

ხაზარებმა ააშენეს დიდი ქალაქები, რომელთა ნანგრევები ჩვენს დრომდეა შემორჩენილი. ქალაქების ძირითად მოსახლეობას ცენტრში მცხოვრები თურქები შეადგენდნენ. თითოეულ ქალაქში მოქმედებდა სახელმწიფო სასამართლო, რომლის წევრებიც იყვნენ მუსულმანობის, ქრისტიანობის, იუდაიზმისა და ტენგრიანობის წარმომადგენლები.

სახელმწიფოს ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენდა მიწათმოქმედება, მესაქონლეობა და ხელოსნობა. ხაზარებმა ვაჭრობიდან მიღებული შემოსავლის, მათ ტერიტორიაზე გამავალი ქარავნების გზებიდან აკრეფილი გადასახადების, აგრეთვე დაქვემდებარებული ხალხების მიერ გადახდილი ხარკის წყალობით ძლიერი ჯარი შექმნეს.

ხაზარებმა არ მისცეს საშუალება სასანიანებს განმტკიცებულიყვნენ აზერბაიჯანში, ისევე როგორც სამხრეთ კავკასიაში. ხაზართა სახაკანომ დიდი როლი ითამაშა აღმოსავლეთ ევროპის ისტორიაში. ამ სახელმწიფომ შეაჩერა არაბების შეტევები ჩრდილოეთის

S ძველი თურქული ჩვეულების თანახმად, მომავალ ხაკანს კისერზე რამდენიმე მხრიდან არქანს არტყავდნენ, შემდეგ იწყებდნენ მის დაჭიმვას და ეკითხებოდნენ, რამდენი წლის მმართველობა შეეძლო. თუ ხაკანი ამ ცერემონიის დროს ნათქვამ ვადაზე მეტ ხანს აპირებდა ხელისუფლებაში დარჩენას, მას აშორებდნენ ხელისუფლებიდან.

D გამოთქვით მოსაზრება თურქი ხალხების ამ ჩვეულების შესახებ.

3 **რას ნიშნავს "ხაზარული წესრიგის" ხანა?**

Layne

ხაზარი მეომრები

მიმართულებით.
VIII-IX ასწლეულებს აღმოსავლეთ ევროპის ისტორიაში "ხაზართა წესრიგის" პერიოდი ეწოდება. ამ პერიოდში ხშირ ტყეებში მცხოვრები სლავური ტომები ხაზარების ხაკანის ნებართვით, დესნასა და დნეპრს შორის მდებარე ტერიტორიებზე დასახლდნენ. ჩრდილოეთში მცხოვრები აღმოსავლეთ სლავური ტომებიც დაემორჩილნენ ხაზარებს და თანხმობა განაცხადეს ხარკის გადახდაზე.
არაბებთან ხანგრძლივმა ომებმა, მეზობელი თურქი ხალხის, პეჩენეგების თავდასხმებმა, აგრეთვე სახელმწიფოს ტერიტორიაზე სხვადასხვა რელიგიის გავრცელებამ ხაზართა სახაკანოს დასუსტება გამოიწვია.
ამით ისარგებლა კიევის თავადმა და X ასწლეულის 60-იან წლებში პეჩენეგებთან მოკავშირეობით თავს დაესხა სახაკანოს. ქალაქები გაიძარცვა, დიდძალი ნადავლი იქნა აღებული. შედეგად, ხაზართა სახაკანო დაეცა. მიუხედავად იმისა, რომ ხაზარების სახელი XII ასწლეულამდე ზოგიერთ წყაროში მოიხსენიება, მათ უკვე დაკარგეს თავიანთი ყოფილი ძლევამოსილება.

3 **შეიძლება თუ არა ხაზარებს აღმოსავლეთ ევროპისა და სამხრეთ კავკასიის დამცველები ვუწოდოთ? დაასაბუთეთ თქვენი აზრი.**

კიევის თავადის თავდასხმა ხაზართა სახაკანოს დედაქალაქ იდილზე

ს 198 წელს ხაზარებისა და ბარსილების გაერთიანებულმა ძალებმა გადალახეს ჩოლის (დერბენდის) კარიბჭე, შემდეგ კი მტკვარი და მის მარჯვენა ნაპირებზე გავრცელდნენ. დასავლეთით არტაანით, აღმოსავლეთით განჯით, ჩრდილოეთით თბილისით, ხოლო სამხრეთით ირევანით შემოსაზღვრულ ადგილებში ყარაფაფახის სახელით ცნობილი ბარსილები II–III ასწლეულების დიდი ლაშქრობების შედეგად დასახლდნენ აქ და ამ მხარეს თავიანთი სახელი უწოდეს – ბორჩალო.

Leyine

რუკაზე უჩვენეთ ტერიტორიები, რომლებზეც გავრცელებული იყვნენ ბულგარები.

განსაზღვრეთ ბულგარელების ცხოვრებაში მომხდარი მოვლენების ქრონოლოგიური ჩარჩოები.

ბულგარელი მხედარი

დიდი ბულგარების სახელმწიფო

ბულგარელები ადრეულ შუა საუკუნეებში ძალიან ფართო ტერიტორიებზე იყვნენ დასახლებულნი – ვოლგისპირეთში, აღმოსავლეთ ევროპაში, კავკასიასა და წინა აზიაში. ატილას სიკვდილის შემდეგ ჰუნების ნაწილი შეერია აზოვისა და კასპიის ზღვებს შორის ადრე მცხოვრებ ბულგარელებს.
ბულგარელები გარკვეული დროის განმავლობაში ავარების სახაკანოს შემადგენლობაში რჩებოდნენ. მათ 630 წელს დააარსეს დიდი ბულგარეთის სახელმწიფო.
მცირე ხანში ამ სახელმწიფოს მეზობლად ხაზართა სახელმწიფო წარმოიშვა. აზოვისა და კასპიის ზღვებს შორის ტერიტორიებზე მცხოვრები ბულგარელები დაემორჩილნენ ხაზართა სახაკანოს.
ბულგარელების ნაწილს "თეთრი ბულგარელები"ეწოდებოდა.
ასპარუხი ("ესპერი"ძველ თურქულ ენაზე "შევარდენს" ნიშნავს) თავის დამორჩილებულ ბულგარელებთან ერთად დუნაის ნაპირებისკენ დაიძრა.

იდილის (ვოლგის) ბულგარების სახელმწიფო

შუა ვოლგისპირეთში მცხოვრებმა ბულგარელებმა ნათესავ ტომებთან ერთად საფუძველი ჩაუყარეს დამოუკიდებელ თურქულ სახელმწიფოს.
სახელმწიფოს დედაქალაქი თავდაპირველად იყო ბულგარი, შემდეგ კი ბილარი (ბილიარი). **922 წელს ქოთრაგ-ხანის მემკვიდრემ ისლამური რელიგია მიიღო.**
ძლიერი ჯარის შექმნის შემდეგ ბულგარელებმა არაერთხელ მოიგერიეს ქვეყანაში შემოჭრილი სლავების თავდასხმები და ისინი უკუაქციეს.



ქოთრაგ-ხანი იდილის (ვოლგის) ნაპირზე

Layile

დუნაის ბულგარების სახელმწიფო

679 წელს დუნაის ნაპირებთან მოსულმა ასპარუხ-ხანმა ბიზანტიის ჯარი სასტიკად დაამარცხა. რეგიონში დასახლებულმა სლავურმა ტომებმაც ასპარუხ-ხანის მმართველობა აღიარეს. ბიზანტიის იმპერატორები იძულებული გახდნენ, ბულგარებისთვის ხარკი გადაეხადათ.

IX საუკუნის დასაწყისში თურქებმა კონსტანტინოპოლი მეორედ ალყაში მოაქციეს. ბიზანტიელმა ჯაშუშმა ბულგარეთის ხანი მოწამლა, ამიტომ ეს ალყა უშედეგოდ დასრულდა.

მოგვიანებით ქრისტიანობა დუნაის ბულგარეთის ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. თუმცა თურქ-ბულგარელი თავადები ამას ეწინააღმდეგებოდნენ და ტენგრიანობის რელიგიის შენარჩუნებას ცდილობდნენ.

მოგვიანებით დუნაის ბულგარეთში მყოფი ქრისტიანი ბერები განსაკუთრებულად აღნიშნავდნენ, რომ ბულგარ თურქებში ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო ტენგრიანობა და რუხი მგლის (ბოზქურთის) რწმენა. ქრისტიანობის მიღების შემდეგ ბულგარები სლავებს შეერივნენ და თურქული იდენტობა დაკარგეს. ამჟამინდელი ბულგარეთი ამ ხალხის სახელს ატარებს.

ასპარუხ-ხანი მდინარე დუნაის ნაპირზე

3 **რატომ ვერ შეძლეს ბულგარებმა კონსტანტინოპოლის აღება?**

Layihe

5 სასანიანების სახელმწიფო. კავკასია

არდაშირი, ზოროასტრიზმი, მანიქეიზმი, მაზდაკი, ხოსროვ I

სასანიანთა სახელმწიფოს გერბი

ახსენით, რატომ იმყოფებოდა მღვდელთმთავარი ქალაქ გაზაკაში.

პართიის სახელმწიფო III ასწლეულის დასაწყისში შიდა არეულობისა და ხელისუფლებისათვის ბრძოლის შედეგად დასუსტდა. პროვინციების მმართველებს ცენტრალური ხელისუფლებისათვის დამორჩილება არ სურდათ. ასეთ ვითარებაში სასანთა შთამომავალმა არდაშირმა პართიის არსებობას ბოლო მოუღო. თავი "შაჰინშაჰად", ანუ "მეფეთ-მეფედ" გამოაცხადა და სასანიანთა სახელმწიფო შექმნა. ამ სახელმწიფოს დედაქალაქი იყო ქტესიფონი.
სასანიანთა სახელმწიფოში ხელისუფლების სათავეში **შაჰინშაჰი** იდგა. მის შემდეგ მეორე გავლენიანი პიროვნება იყო **მღვდელთმთავარი (უზენაესი მობედი).** ამ პიროვნებას აზერბაიჯანის სამხრეთში მდებარე **ქალაქ გაზაკაში** ჰქონდა რეზიდენცია. სასანიანი მმართველები თავიანთი ხელისუფლების საყრდენ ცეცხლთაყვანისმცემელ მღვდლებს ფართო მიწებს ურიგდნენ და უამრავი საჩუქრით აჯილდოვებდნენ. ფეოდალური ურთიერთობების განვითარების შედეგად, თავისუფალი სასოფლო თემების მიწის ფართობები შემცირდა.
სელევკიდებისა და პართიის ხანაში თვითმმართველობის უფლების მქონე ქალაქებმა სასანიანთა ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ დამოუკიდებლობის დაკარგვა დაიწყეს.
არდაშირმა ხელისუფლებაში მოსვლიდან მალევე დაიპყრო აზერბაიჯანის სამხრეთი (ატროპატენა) და რომთან ომები დაიწყო.
მესოპოტამიასა და კავკასიაში სასანიანებსა და რომს შორის წლობით გაგრძელებული ომები დაიწყო.
რომაელთა დამმარცხებელმა სასანიანთა შაჰმა შაპურ I - მა ფართო ტერიტორიები დაიპყრო. სასანიანთა საზღვრები სირიიდან მდინარე ინდამდე, დიდი კავკასიონის მთებიდან არაბეთის ნახევარკუნძულამდე გაფართოვდა.

3 სასანიანებსა და რომს შორის ომებისგან ყველაზე მეტად რომელი ტერიტორიები ზარალდებოდა?

ბრძოლა სასანიანებსა და რომაელებს შორის

თეთრი ჰუნების სახელმწიფომ სასანიანთა აგრესიული ლაშქრობები აღმოსავლეთის მიმართულებით შეაჩერა. მათ 457 წელს ცენტრალური აზიის ნაწილი სასანიანებს წაართვეს. ***გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა 484 წელს.*** სასანიანთა ჯარის სასტიკად დამმარცხებელმა თურქებმა, შაჰის ოჯახი, ხაზინა და მრავალი ტყვე ჩაიგდეს ხელში. სასანიანთა შაჰი ფირუზი ბრძოლაში მოკლეს.
VI ასწლეულის 60-იან წლებამდე სასანიანები იძულებულნი იყვნენ, თეთრი ჰუნებისთვის ხარკი გადაეხადათ.

სასანიანების სახელმწიფო და კავკასია

სასანიანები და რომი კავკასიისათვის ბრძოლას აწარმოებდნენ. ორივე სახელმწიფო რეგიონში დასამკვიდრებლად საკუთარი სახელმწიფო რელიგიების გავრცელებას ცდილობდა. კავკასიის სამხრეთში ხელისუფლებაში დარჩენილმა პართიელმა არშაკიდებმა რომის სახელმწიფო რელიგია – ქრისტიანობა მიიღეს. სასანიანთა მცდელობა კი, კავკასიის მოსახლეობისათვის ზოროასტრიზმი მიეღებინათ, წარუმატებლად დასრულდა. კავკასიაში ადგილობრივი მოსახლეობის უმეტესობა ტენგრიანობის მორწმუნე თურქები იყვნენ. ამ მიზეზით, სასანიანთა

სასანიანთა ჯარის მშვილდოსნები

Layine

მცდელობები, აქ გამაგრებულიყვნენ და კავკასიაში ზოროასტრიზმი გაევრცელებინათ, წარუმატებელი აღმოჩნდა. თურქების მიერ დამარცხებულმა სასანიანებმა მათ წინააღმდეგ ბრძოლისათვის:
კასპიის ზღვის სანაპიროზე სიმაგრეები და ციხესიმაგრეები ააგეს;
ამ ტერიტორიებზე თავიანთი თანატომელები გადმოასახლეს;
თურქებთან ბრძოლისათვის, თავის წყეულ მტრებთან -ბიზანტიის იმპერიასთან კავშირიც კი შეკრეს.
VII ასწლეულის დასაწყისში ბიზანტიის წინააღმდეგ ომში სასანიანებმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს. თუმცა თურქების ბიზანტიის მხარეს ომში ჩართვამ ომის მიმდინარეობა შეცვალა. სასანიანებმა მძიმე მარცხი განიცადეს. ბიზანტიასთან ზავის დადების შემდეგ, სასანიანებმა თურქების კავკასიიდან განდევნა სცადეს. თუმცა ისინი 630 წელს გოგჩის ტბის ნაპირებთან გამართულ ბრძოლაში თურქებმა გაანადგურეს.

3 რა მისცა ბიზანტიელებთან ალიანსმა სასანიანებს?

დ გამართეთ დისკუსია თემაზე: "თურქული ტომების როლი სამხრეთ კავკასიის დამპყრობლებისგან დაცვაში".

მანიქეიზმი და მაზდაკიზმი

მაზდაკი

III საუკუნის 40-იან წლებში შეიქმნა მანიქეიზმის მოძღვრება, რომელიც აერთიანებდა ბევრ რელიგიას. მოძღვრება მისი დამაარსებლის, **მანის ("სინათლე")** სახელს უკავშირდებოდა. მისი მამა და დედა პართიელ არშაკიდთა შთამომავლები იყვნენ. მანი მოუწოდებდა, არ მიეცათ თავი ქვეყნიურ სიკეთეებზე და არავისთვის მიეყენებინათ წყენა. მას სწამდა, რომ ეს ქცევა ადამიანს სინათლესთან, მშვენიერებასთან დააახლოებდა.

მანი

მიუხედავად იმისა, რომ ეს მოძღვრება სასანიანთა ტერიტორიაზე გაჩნდა, ის უფრო მეტად ცენტრალური აზიის თურქებში გავრცელდა და უიღურთა სახაკანოს ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად იქცა. სასანიანთა შაჰმა, ზოროასტრიზმის გარდა სხვა რელიგიების მიმართ შეუწყნარებლობის გამო, მანი სიკვდილით დასაჯა.

3 დაასახელეთ მანის სწავლების დადებითი და უარყოფითი მხარეები.

მანის მიმდევრად მიჩნეული მაზდაკიც თვლიდა, რომ სიკეთე და ბოროტება ერთმანეთს ებრძოდა. ის ადამიანებს შორის უთანასწორობას ეწინააღმდეგებოდა და მოითხოვდა ქვეყნიური სიკეთეების ყველას შორის თანაბრად განაწილებას.

Leyline

რა მსგავსებაა მანისა და მაზდაკის სწავლებებს შორის?

V საუკუნის 80-იან წლებში მოღვაწეობა დაწყებული მაზდაკის მომხრეები ანადგურებდნენ მსხვილ ფეოდალთა მამულებს და მათ ხაზინებში არსებულ სიმდიდრეს ღარიბებს უნაწილებდნენ. სასანიანმა მმართველმა მაზდაკი გამოიყენა მსხვილ ფეოდალებთან ბრძოლაში. თუმცა, იმის შიშით, რომ ეს მოძრაობა თანდათან მის წინააღმდეგ არ შებრუნებულიყო, სასანიანმა მმართველმა VI საუკუნის 20-იან წლებში მაზდაკიანები სასტიკად დასაჯა. მიუხედავად იმისა, რომ მაზდაკიანთა მოძრაობა ჩაახშეს, ხელისუფლებაში მოსული ხოსროვ I იძულებული გახდა, საგადასახადო პოლიტიკაში გლეხების სასარგებლოდ გარკვეული შეღავათები დაეწესებინა.

ხოსროვ I

მაზდაკის აჯანყება

სასანიანების სახელმწიფოს დაცემა

თურქებთან და ბიზანტიასთან წარმოებულმა ომებმა VII ასწლეულის დასაწყისში სასანიანების სახელმწიფო მთლიანად დაასუსტა. ასეთ დროს მის სამხრეთ საზღვრებზე წარმოიშვა ძლიერი არაბთა ხალიფატი. ამ სახელმწიფოს დამაარსებელმა, წინასწარმეტყველმა მუჰამედმა, სასანიანების მმართველს, ხოსრო ფარვიზს, ისლამის რელიგიის მიღება შესთავაზა. არაბეთის ნახევარკუნძულზე გამაგრებული მუსულმანების პირველი შეტაკებები სასანიანებთან მოხდა მესოპოტამიის ტერიტორიაზე. ამის შემდეგ ხალიფატმა სასანიანებს ზედიზედ მძიმე მარცხები აგემა. შედეგად, სასანიანების სახელმწიფო 651 წელს დაეცა.

განსაზღვრეთ სასანიანთა სახელმწიფოს დაცემის მიზეზები.

ქტესიფონში სასანიანთა სასახლის ნანგრევები

Layihe

კავკასია VII–XI ასწლეულებში

ხალხთა დიდი გადასახლების შედეგად, როგორც ჩრდილოეთ, ისე სამხრეთ კავკასიაში თურქების პოლიტიკური გავლენა და რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდა. გოითურქთა სახელმწიფოს დაცემის შემდეგ, ხაზართა სახაკანოს შემადგენლობაში შესული კავკასიის თურქები იძულებული იყვნენ ებრძოლათ ჯერ აქ გამაგრების მსურველ სასანიანებთან, შემდეგ კი არაბებთან. ამ ბრძოლაში არაბები გამარჯვებულები აღმოჩნდნენ. არაბების რეგიონში გამაგრებამ, რელიგიური მრავალფეროვნებით გამორჩეულ კავკასიაში, ისლამის გავრცელება გამოიწვია.

ამ პერიოდში ხაზართა სახაკანო არა მხოლოდ არაბებთან, არამედ ჩრდილოეთით რუსებთან, შავი ზღვის სანაპიროზე კი ბიზანტიასთანაც აწარმოებდა უამრავ ომს.

განუწყვეტელმა ომებმა ხალიფატი დაასუსტა. შედეგად, სამხრეთ კავკასიაში წარმოიშვა მრავალი დამოუკიდებელი მუსულმანური სახელმწიფო: დერბენდის, თიფლისისა და დუმანისის (ბაშქეჩიდის) საამიროები, შირვანშაჰების, საჯიდების, სალარიდების, შედადიდების, რავადიდების სახელმწიფოები.



Layire

კავკასიაში არაბთა ხელისუფლების შესუსტებით ისარგებლეს აფხაზეთისა და ქართლის ქართველმა მმართველებმაც. აქ, გადმოცემის თანახმად, წინასწარმეტყველ დავითის შთამომავლად მიჩნეული ბაგრატიონთა დინასტიის მმართველობა დაიწყო. აზერბაიჯანში ფეოდალური დაქუცმაცებულობით ისარგებლეს აფხაზთა და ქართველთა მმართველებმა და სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით შეტევები გააძლიერეს. ისინი ბიზანტიის დახმარებით ცდილობდნენ სამხრეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილის დაპყრობას. ქართველმა მეფემ ბაგრატ III-მ კახეთი დაიპყრო. ბაგრატიონთა დინასტიის მეორე შტო კი ვანის გარშემო გამაგრებას ცდილობდა.
X საუკუნეში საჯიდებისა და სალარიდების სახელმწიფოებმა ხელი შეუშალეს ბაგრატიონთა მცდელობას, მთლიანად დაეპყროთ სამხრეთ კავკასია. XI საუკუნის შუა ხანებში ბაგრატიონთა დინასტიის მმართველთა სამხრეთ კავკასიაში დამპყრობლურ პოლიტიკას ხელი შეუშალა რეგიონში ოღუზ-სელჩუკი თურქების შემოდინებამ.

ბაგრატ III

ახსენით ბაგრატიონთა დინასტიის დამპყრობლური გეგმების ჩაშლის მიზეზები.

თქვენი აზრით, რა იყო სასანიანთა სახელმწიფოსა და სამხრეთ კავკასიაში ფეოდალური ურთიერთობების წარმოშობისა და განვითარების მსგავსი მხარეები?

შეკითხვების მიხედვით შეავსეთ წინადადებები.

1. პართიის სახელმწიფო **როდის?** და **რატომ?** დაიშალა?
2. 457 წელს **რა მოხდა?**
3. 484 წელს გადამწყვეტი ბრძოლა **ვის შორის** მოხდა?
4. რომი და სასანიანები **რატომ?** და **რომელი?** რელიგიის გავრცელებას ცდილობდნენ?
5. ხაზართა სახაკანო **რატომ?** დასუსტდა?

ხაზარები

ტექსტის მიხედვით შეავსეთ წინადადებები.

1. სასანიანები _____ რელიგიის მომხრეები იყვნენ.
2. მაზდაკიანთა მოძრაობის შედეგად ხოსროვ I _____ .
3. სასანიანთა საზღვარი _____ იყო.
4. სამხრეთ კავკასიის დაპყრობას X ასწლეულში _____ ცდილობდა. ამას ხელი _____ შეუშალა.

Layin

6 არაბთა ხალიფატი

არაბთა ხალიფატი, ისლამის რელიგია, წინასწარმეტყველი მუჰამედი, "ყურანი"

iaxile

3 რა იყო არაბებში სხვადასხვა რელიგიის გავრცელების მიზეზი?

არაბეთის ნახევარკუნძული აზიისა და აფრიკის კონტინენტების შეერთების ადგილას მდებარეობს. ნახევარკუნძულის სამხრეთში წყალი და წვიმა უხვი იყო, ამიტომ აქ მოსახლეობა უფრო მეტი იყო. სამხრეთ რეგიონების მოსახლეობა ძირითადად მიწათმოქმედებით იყო დაკავებული. ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ და ცენტრალურ უდაბნოებში კი მომთაბარე მესაქონლეები – **ბედუინები** ცხოვრობდნენ. წარმართი არაბების სალოცავი ქა'აბა ქალაქ მექაში მდებარეობდა. მექაში იყვნენ ქრისტიანობის, იუდაიზმისა და ზოროასტრიზმის მორწმუნეებიც. არაბებში ახალი რელიგიის გაჩენა 570 წელს მექაში დაბადებულ **წინასწარმეტყველ მუჰამედს** უკავშირდება. 610 წელს, 40 წლის ასაკში, მუჰამედს წინასწარმეტყველობა მიენიჭა და მან ახალი რელიგიის – ისლამის ქადაგება დაიწყო. ამ რელიგიის მიმდევებს **მუსულმანები** ეწოდათ. ქალაქ მექას თავადების მიერ დევნილი წინასწარმეტყველი მუჰამედი და

მექა შუა საუკუნეებში

მისი მომხრეები 622 წელს **იასრიბში (მედინა) გადასახლდნენ**. ზოგიერთ მუსულმანურ ქვეყანაში დღესაც გამოყენებული **ჰიჯრის კალენდარი სწორედ ამ წლიდან იწყება.**
მედინაში მუსულმანური თემის მეთაური მუჰამედი, ფაქტობრივად, მთელ ქალაქ მედინას მართავდა. მექაელებმა მედინაში მუსულმანების წინააღმდეგ ლაშქრობა მოაწყვეს. 624 წელს ბედრის ბრძოლაში მუსულმანებმა გამარჯვება მოიპოვეს. **ამ გამარჯვებიდან რამდენიმე წლის შემდეგ- 630 წელს, მუსულმანებმა პირველი ისლამური სახელმწიფოს საფუძველი ჩაუყარეს.**

წინასწარმეტყველ მუჰამედის ბეჭედი

3 თქვენი აზრით, რა როლი ითამაშა ახალმა რელიგიამ არაბების ცხოვრებაში?

3 როგორი იყო პოლიტიკური ვითარება აზერბაიჯანში ისლამური სახელმწიფოს დაარსების პერიოდში?

მუსულმანი მეომრები ლაშქრობაში

Layim

ისლამის რელიგიის წმინდა წიგნია "ყურანი". სიტყვა "ყურანი" ნიშნავს "კითხვას". 23 წლის განმავლობაში შედგენილი "ყურანი" შედგება 114 სურისგან, სურები კი – აიათებისგან.
ისლამის მიმღები ყოველი ადამიანი ვალდებულია დაიცვას შემდეგი პირობები:

ყურანი - ქერიმი

- იცოდეს ქელმეი-შეჰადათი ("ალაჰი ერთია, მუჰამედი მისი მოციქულია");
- ასრულებდეს ლოცვას (ნამაზს);
- მარხულობდეს რამადანის თვის განმავლობაში;
- გასცემდეს ზაქათს (მოწყალებას);
- შესაძლებლობის ფარგლებში ეწვიოს ქააბას მექაში.

წინასწარმეტყველ მუჰამედის გარდაცვალების შემდეგ სახელმწიფოს მართვა დაიწყეს ხალიფებმა (წინასწარმეტყველის მოადგილეებმა). ამიტომაც ეწოდა მას არაბთა ხალიფატი.
არაბეთის ნახევარკუნძულზე ბატონობის დამყარების შემდეგ მუსულმანებმა დაიწყეს მეზობელი ბიზანტიისა და სასანიანთა მიწების დაპყრობა. მუსულმანების სამართლიანი ქცევის დანახვისას მოსახლეობა ხშირად წინააღმდეგობას არ უწევდა.
VIII ასწლეულის დასაწყისში არაბებმა დაიპყრეს ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნები. 711 წელს თარიქის მეთაურობით მუსულმანურმა ჯარებმა გადალახეს აფრიკისა და ევროპის გამყოფი სრუტე და ესპანეთში შევიდნენ. თარიქის პატივსაცემად ამ სრუტეს ახლა გიბრალტარის სრუტე ეწოდება. ვესტგუთების სასტიკად დამარცხების შემდეგ მუსულმანებმა ესპანეთი დაიკავეს და ფრანკთა სამეფოსაკენ დაიძრნენ. 732 წელს პუატიეს ბრძოლაში ფრანკების სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდნენ მუსულმანები და ევროპის შიგნით წინსვლა შეაჩერეს.
ამავე დროს, კავკასიისა და ცენტრალური აზიის დაპყრობის შემდეგ, ისლამური არმია აღმოსავლეთში ჩინეთსა და ინდოეთის ხეობამდე მივიდა.
VII-VIII საუკუნეებში არაბებმა სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის დაპყრობა დაასრულეს და

პუატიეს ბრძოლა

layme

აღმოსავლეთით ჩინეთსა და ინდოეთამდე მიაღწიეს. შედეგად, სახელმწიფოს ტერიტორია გაფართოვდა ატლანტის ოკეანიდან ინდოეთამდე და ჩინეთამდე. ამ სახელმწიფოს ხალიფატი ეწოდა. ხალიფატის სახელმწიფო ენა იყო არაბული ენა.
ხალიფატის მიწები დაყოფილი იყო **პროვინციებად**, რომლებსაც **საამიროები** ეწოდებოდა. ძირითადი ფულადი ერთეულები იყო ოქროს დინარი და ვერცხლის დირჰემი. ძირითადი გადასახადი - **ხარაჯი**, მიწით სარგებლობის სანაცვლოდ აიღებოდა. ისლამის მიუღებელი 15-დან 60 წლამდე ასაკის მამაკაცებისგან იღებდნენ **ჯიზიას** (საგადასახადო), რის სანაცვლოდაც ისინი თავისუფლდებოდნენ სამხედრო სამსახურისგან.
IX ასწლეულში ეგვიპტე, ცენტრალური აზია, აზერბაიჯანი, ირანი და ავღანეთი გამოეყო ბაღდადის ხალიფატს. ხალიფატის დაშლაში დიდი როლი ითამაშა ბაბექის მეთაურობით ხურამიტთა მოძრაობამ (816–837 წწ.). ხალიფა მუთასიმი (833–842 წწ.) ბიზანტიის იმპერიასთან და ხალიფატში აჯანყებებთან ბრძოლაში თურქებს იყენებდა. შედეგად, სახელმწიფო საქმეებში და ჯარში თურქების როლი თანდათან იზრდებოდა. ხალიფები თანდათან თურქ სამხედრო მეთაურებზე დამოკიდებულნი ხდებოდნენ. ასეთი სამხედრო მეთაური იყო აზერბაიჯანის საჯიდების დინასტიის დამაარსებელი და აფშინის ტიტულის მქონე აბუ საჯი.

ხალიფატის ისტორიის პერიოდები:

1. წინასწარმეტყველ მუჰამედისა და მისი მემკვიდრე 4 ხალიფის – აბუ ბაქრის, უმარის, უსმანის და ალის დრო. ამ პერიოდში, როდესაც დედაქალაქები იყო მედინა და მექა, არაბული სახელმწიფო ახლად ყალიბდებოდა და ვითარდებოდა.
2. ომაიანთა დინასტიის მმართველობის ხანა (661–750 წწ.). ამ პერიოდში დედაქალაქი იყო ქალაქი დამასკო (შამი).
3. აბასიანთა დინასტიის მმართველობის ხანა (750–1258 წწ.). 762 წელს დაარსდა ქალაქი ბაღდადი და დედაქალაქი დამასკოდან ბაღდადში გადავიდა. ამიტომ აბასიანთა დინასტიის მმართველობის პერიოდს ასევე ბაღდადის ხალიფატს უწოდებენ.

ახსენით არაბული სახელმწიფოს ისტორიის პერიოდებად დაყოფის მიზეზი.

მიწათმფლობელობის ფორმები ხალიფატში:

1. **სახელმწიფო** მიწები
2. მემკვიდრეობით გადაცემული **კერძო** მიწები
3. სამსახურის სანაცვლოდ გაცემული და მემკვიდრეობით გადაუცემელი **იქთა** მიწები
4. მუსულმანური რელიგიური დაწესებულებების კუთვნილი **ვაყფის** მიწები
5. **თემური** მიწები

შეიძლება თუ არა არაბთა ხალიფატს იმპერია ვუწოდოთ?

რატომ იყენებდა ხალიფატი თურქებს ბიზანტიის იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლაში?

“ჩვენ არ ვიყავით ისეთი მართალი ერი, როგორც თქვენ გგონიათ. ძლიერმა და დიდებულმა ალაჰმა წინასწარმეტყველ მუჰამედის მეშვეობით მიგვიყვანა ჭეშმარიტ გზაზე, ისლამის რელიგიით გაგვაკეთილშობილა... თუფლამ (თბილისში მუსულმანური თემის მეთაურმა) ასევე გვითხრა, რომ თქვენ გსურთ მეგობრობასა და მშვიდობაში ცხოვრება. მე და ჩემს გვერდით მყოფ მორწმუნეებს ეს შეთანხმება ძალიან გვინდოდა. ახლა მე თქვენთან ვგზავნი აბდ ალ-რაჰმან იბნ ჯაზი ას-სულამის. ის ჩვენ შორის ყველაზე კარგად იცნობს ალაჰის მეცნიერებას და ყველაზე კარგად კითხულობს “ყურანი ქერიმს”. თუფლასთან ერთად თქვენ გიგზავნით “ამანს” (შეთანხმებას). თუ მიიღებთ, ის მოგცემთ ამ შეთანხმებას. თუ ამას მოერიდებით, მაშინ თქვენთან იმავე პირობებით ვიომებთ. უეჭველად, ალაჰს არ უყვარს მოღალატე და მშიშარა ადამიანები”.

ამონარიდი მუსულმანი სარდლის, ჰაბიბ იბნ მასლამას 644 წელს თბილისის მოსახლეობისადმი გაგზავნილი წერილიდან

Layihe

Layline

38-39-ე გვერდებზე მოცემული რუკის საფუძველზე დაადგინეთ ცვლილებები, რაც მოხდა არაბთა ხალიფატის წარმოშობისა და განვითარების შედეგად.

Leyline

7 სამანიდების, ოღუზების, ყარახანიდების, ღაზნევიდების სახელმწიფოები

სამანიდები, ოღუზები, ყარახანიდები, დიდი ხანი, აფრასიაბი, სულთან მაჰმუდი, ღაზნა, დანდანაყანი

სამანიდების ფულადი ერთეული

ცენტრალურ აზიაში VIII ასწლეულის II ნახევარში განვითარებულმა სახალხო მოძრაობამ ხალიფატის საფუძვლებს დაარტყა. ამ მოვლენებმა გამოიწვია თურქული წარმოშობის ადგილობრივი ფეოდალების აქტიური მონაწილეობა სახელმწიფო მმართველობაში. აჯანყებების ჩახშობაში დამსახურების მქონე სამანიდების გვარის წარმომადგენლები ცენტრალურ აზიაში ხალიფატის გამგებლებად დაინიშნენ.

სამანიდების დინასტიის დამაარსებელი იყო სამან-ხუდატი. მისმა მემკვიდრეებმა 875 წელს დააარსეს სამანიდების სახელმწიფო, რომლის ცენტრიც იყო ქალაქი ბუხარა.

X საუკუნის პირველ ნახევარში სამანიდების სახელმწიფო განიცდიდა აყვავების ხანას. მისი მიწები მოიცავდა ხორასანის ჩათვლით, მთელ მავერანაჰრსა და ჩრდილო-აღმოსავლეთ ირანს. ამ პერიოდში ქვეყანაში განვითარებული იყო მიწათმოქმედება, გაიზარდა ბრინჯის, ყურძნის, აბრეშუმისა და ბამბის წარმოება.

ქალაქების განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ხელოსნობა და ვაჭრობა. დედაქალაქთან

სამანიდების სახელმწიფო

Lagvine

ერთად, ისეთი ქალაქები, როგორიცაა სამარყანდი, მერვი, ნიშაპური და ჰერათი, ასევე განიცდიდნენ აღმავლობის პერიოდს. სამანიდი ვაჭრები სავაჭრო ურთიერთობებს ინარჩუნებდნენ მრავალ ქვეყანასთან, დაწყებული აღმოსავლეთ ევროპიდან და ბიზანტიიდან ჩინეთამდე. სამანიდების სახელმწიფოში მოსახლეობის უმეტეს ნაწილს თურქები შეადგენდნენ. ამ მიზეზით, თურქი თავადები და სარდლები ფართოდ იყვნენ წარმოდგენილნი მმართველობაშიც.
სამანიდებმა ასევე დიდი როლი ითამაშეს ისლამის რელიგიის ცენტრალურ აზიაში გავრცელებასა და განმტკიცებაში.
X ასწლეულის პირველ ნახევარში სახელმწიფო განიცდიდა აღმავლობის პერიოდს. ამ პერიოდში სახელმწიფოს ტერიტორია მოიცავდა მავერანაჰრს, ხორასანს, ჩრდილო-აღმოსავლეთ ირანს. ამ ტერიტორიებზე მოსახლეობის დიდი ნაწილი თურქები იყვნენ. ამიტომ მმართველობაში ჭარბობდნენ თურქი თავადები და სარდლები.
მსხვილი ფეოდალების გამოყოფამ (დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვამ) ცენტრალური ხელისუფლების დასუსტება გამოიწვია. ამით ისარგებლეს ყარახანიდებმა და დაიწყეს ლაშქრობები სამანიდების სახელმწიფოს წინააღმდეგ. 999 წელს ბუხარა აიღეს და სამანიდების სახელმწიფო დაეცა.

ბუხარაში სამანიდი მმართველის მავზოლეუმი

3 **შეიძლება თუ არა სამანიდების სახელმწიფო ჩაითვალოს ხალიფატის დაშლის შედეგად წარმოქმნილ სახელმწიფოთა რიცხვში?**

4 **განსაზღვრეთ სამანიდების სახელმწიფოს დაცემის მიზეზები.**

Layine

ოღუზების სახელმწიფო

*** ოღუზი**

წარმოიქმნება სიტყვა "ოხ'-ის (ისარი, რომელიც ტომს, გვარს ან ტომობრივ გაერთიანებას აღნიშნავს) და სიმრავლის აღმნიშვნელი "უზ"-ის შეერთებით.

სახელწოდება ოღუზი* პირველად გვხვდება ორხონ-ენისეურ ძეგლებში. სახელი ოღუზი არაბულენოვან წყაროებში გამოიყენება როგორც "ღუზი", ხოლო სლავურ წყაროებში – როგორც "თურქი". ოღუზები, რომლებიც იყოფოდნენ **"ბოზ ოხ"** (რუხი ისარი) და "**უჩ ოხ"** (სამი ისარი) შტოებად, შედგებოდნენ **24 ტომისაგან.** ოღუზების დიდი ნაწილი I და II აღმოსავლეთ თურქთა სახაკანოს მმართველობის ქვეშ იმყოფებოდა. II აღმოსავლეთ თურქთა სახაკანოს დაშლის შემდეგ ოღუზები უიღურთა სახელმწიფოს მმართველობის ქვეშ მოექცნენ. ცენტრალურ აზიაში, მდინარე სირდარიასა და კასპიის ზღვას შორის მცხოვრები ტომები გაერთიანდნენ და **950 წელს დააარსეს ოღუზების სახელმწიფო.** წყაროებში ოღუზთა *იაბღუს სახელმწიფოს* სახელითაც ცნობილი ამ სახელმწიფოს დედაქალაქი იყო ქალაქი იენიქენდი.

ოღუზები ლაშქრობაში

სახელმწიფოს სათავეში იდგა ხელმწიფე, რომელსაც იაბღუ ეწოდებოდა. იაბღუს შემდეგ ქვეყანაში მეორე პირად მიჩნეული ჯარის მეთაური ატარებდა **სუბაშის** ტიტულს. ხელმწიფესთან ერთად მოქმედებდა სათათბირო ორგანო – **დივანი.**

თავდაპირველად ცის ტენგრის (გოი თანრი) თაყვანისმცემელმა ოღუზებმა X საუკუნის შუა ხანებში მიიღეს ისლამი. ისლამური და თურქული კულტურების გამაერთიანებელმა ოღუზებმა დიდი როლი ითამაშეს ახალი რელიგიის რეგიონში განმტკიცებაში.

სახელმწიფოში ფეოდალთა ერთმანეთთან ბრძოლამ, ხელისუფლებისათვის დაპირისპირებამ გამოიწვია უცხოელთა თავდასხმები. ყივჩაღების განუწყვეტელი შემოტევების შედეგად, 1000 წელს ოღუზების სახელმწიფო დაიშალა. სახელმწიფოს დაცემის შემდეგ ოღუზთა ტომების ნაწილი გავრცელდა შავი ზღვის ჩრდილოეთით, იქიდან კი ბალკანეთის ნახევარკუნძულზე.

3 **რომელმა ფაქტორებმა იმოქმედა ოღუზების სახელმწიფოს დაცემაზე?**

ᲘᲛᲣᲨᲐᲝ

სურათის მიხედვით მოამზადეთ ტექსტი.

აღწერეთ სურათი ზოგადად.

აღწერეთ საცხოვრებელი ადგილი.

დაადგინეთ ოღუზების საცხოვრებლის ირგვლივ მოთავსებული ურმების, წრიული გალავნებისა და კოშკის დანიშნულება.

ოღუზების დასახლება

layihe

ყარახანიდების სახელმწიფოს დროშა

ყარახანიდების სახელმწიფო

IX საუკუნეში აღმოსავლეთ თურქესტანში, ჯეთისუსა და ტიან-შანის მთების კალთებზე ცხოვრობდნენ აშინას გვარისადმი მიკუთვნებული, თურქულენოვანი ყარლუხები. ყარლუხები მეორე გოითურქთა სახელმწიფოს დაცემის შემდეგ უიღურების მმართველობის ქვეშ მოექცნენ. **ყარლუხებმა 840 წელს, სხვა თურქული ტომების მონაწილეობით, შექმნეს ყარახანიდების სახელმწიფო.** სახელმწიფოს საფუძველი ჩაუყარა ყუთლუღ ბილგე ყადირ-ხანმა. ის საკუთარ თავს თურქულ ენებზე **"დიდი ხანის"** მნიშვნელობის მქონე **ყარა-ხანს**

3 **რა მნიშვნელობა ჰქონდა ყარახანიდების და სხვა თურქული სახელმწიფოების მიერ ისლამის მიღებას?**

უწოდებდა, ამიტომ სახელმწიფოსაც ყარახანიდები ეწოდა. ისლამურ წყაროებში ყარახანიდები ცნობილნი არიან აგრეთვე, როგორც **აფრასიაბის დინასტია. ყარახანიდების სახელმწიფო იყო ერთ-ერთი პირველი თურქული სახელმწიფო, რომელმაც ისლამი მიიღო.** სათუყ ბუღრა-ხანის მიერ ისლამის ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებასთან ერთად, თურქესტანის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის უმეტესმა ნაწილმაც მიიღო ეს რელიგია.

მ



ისლამის მიღების შემდეგ თურქულ საზოგადოებებში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. ყარახანიდებსა და ღაზნევიდებში მომთაბარე ცხოვრების წესის მქონე ტომები გადავიდნენ დასახლებულ ცხოვრებაზე. ისლამის გავრცელებასთან ერთად, ყველა სფერომ, არქიტექტურიდან ხელოსნობამდე, განათლებიდან მეცნიერებამდე, დიდი განვითარება განიცადა. ისეთი ქალაქები, როგორიცაა ხვარაზმი, ბუხარა, დაშქენდი და სამარყანდი, გადაიქცნენ ხელოსნობის, ვაჭრობისა და კულტურის ცენტრებად.

Layline

ყარახანიდების სახელმწიფოს მთავარი მეტოქე იყო სამანიდების სახელმწიფო. ყარახანიდებმა ღაზნევიდებთან ალიანსში გაინაწილეს სამანიდების სახელმწიფოს ტერიტორიები.
ამგვარად, ყარახანიდების სახელმწიფოს საზღვრები მოიცავდა ფართო ტერიტორიებს ბალხაშის ტბიდან ჰინდუქუშისა და ყარაყორუმის მთებამდე.
ყარახანიდების სახელმწიფოში ქალაქები ვითარდებოდნენ სავაჭრო გზებზე მდებარეობის გამო. დედაქალაქებთან, ყაშღართან, ბალასაღუნთან, უზგენთან ერთად, ისეთი ქალაქები, როგორიცაა სამარყანდი, ბუხარა, ურგენჩი და თერმეზი, ასევე განთქმული იყვნენ, როგორც მთავარი სავაჭრო ცენტრები.
1042 წელს ყარახანიდების სახელმწიფო დაიყო აღმოსავლეთ და დასავლეთ ყარახანიდების სახელმწიფოებად. XIII საუკუნის დასაწყისში აღმოსავლეთ ყარახანიდები გაანადგურეს ყარაყიტაიებმა, ხოლო დასავლეთ ყარახანიდები – ხვარაზმშაჰებმა.

3 **რომელი დღეს არსებული სახელმწიფოები მდებარეობს ყარახანიდების სახელმწიფოს ტერიტორიაზე?**

შეავსეთ ცხრილი

ყარახანიდების სახელმწიფო	
აღმავლობის მიზეზები	დაცემის მიზეზები

Levine

ღაზნევიდების სახელმწიფო

***ყულამი**

არაბულად ნიშნავს მონას, ყმას. ზოგიერთ აღმოსავლურ სახელმწიფოში ასე ეძახდნენ ფულით ნაყიდ და ჯარში სამხედრო სამსახურის გამავალ პირებს.

სამანიდების სახელმწიფოს ყველაზე ძლიერ ხანაში, ისლამის რელიგიის გავრცელების არეალში დასახლებული იყვნენ თურქული ტომები. მათი დიდი ნაწილი მიიღეს სამსახურში ყულამად* აბასიან ხალიფებთან და პროვინციების გამგებლებთან. სამანიდების ჯარებშიც იყენებდნენ თურქული წარმოშობის ყულამების მომსახურებას. სამანიდების სახელმწიფოში მომხდარმა შინა არეულობამ სახელმწიფო დაასუსტა. ამით ისარგებლა თურქმა ყულამმა ალფ-თეგინმა და თავის დაქვემდებარებაში მყოფ თურქული წარმოშობის ჯარისკაცებთან ერთად ავღანეთში მდებარე ქალაქ ღაზნაში წავიდა და იქ გამაგრდა.

ამგვარად, 962 წელს აქ დაარსდა ახალი სახელმწიფო – ღაზნევიდების სახელმწიფო. ღაზნევიდების სახელმწიფოს დაარსებასთან ერთად, ავღანეთში თურქთა შემოდინება კიდევ უფრო გაძლიერდა.

სულთან მაჰმუდ ღაზნევი

მაჰმუდ ღაზნევის (998–1030) მმართველობის წლებში ღაზნევიდების სახელმწიფო განიცდიდა მისი ძლიერების მწვერვალს. მან ყარახანიდებთან ერთად დაამხო სამანიდების სახელმწიფო და მათი ტერიტორიები ერთმანეთში გაინაწილეს: **ხორასანი, ხვარაზმი, სისტანი** და **ავღანეთი** შეუერთდა ღაზნევიდების სახელმწიფოს.

ამის შემდეგ მაჰმუდ ღაზნევიმ ყურადღება ინდოეთისაკენ მიმართა. მან არაერთხელ მოაწყო ლაშქრობები ინდოეთში და ინდოეთის ჩრდილოეთ და ჩრდილო-დასავლეთ ნაყოფიერი მიწები ღაზნევიდების სახელმწიფოს შეუერთა.

ინდოეთის მდიდარ რესურსებს დაეუფლა ღაზნევიდების სახელმწიფო და ეკონომიკურად გაძლიერდა. ინდოეთში წარმატებული ლაშქრობების გამო, **აბასიანმა ხალიფამ** მაჰმუდ ღაზნევის **სულთნის ტიტული მიანიჭა. ამგვარად, მაჰმუდი გახდა პირველი თურქი მმართველი, რომელმაც სულთნის ტიტული მიიღო.** სულთან მაჰმუდმა თავისი ხელისუფლება გაავრცელა დასავლეთ ირანამდე, მათ შორის ქალაქებზე: რეიზე, ჰამადანსა და ისპაანზე. სულთან მაჰმუდის გარდაცვალების შემდეგ დაწყებულმა დაპირისპირებამ დაასუსტა ღაზნევიდების სახელმწიფო. **1040 წელს დანდანაყანის ბრძოლაში** სელჩუკებმა დაამარცხეს ღაზნევიდების ჯარი. ამ მარცხმა შეარყია ღაზნევიდების სახელმწიფო.

XII საუკუნის მეორე ნახევარში ღაზნევიდების ურთიერთობა თურქული წარმოშობის ღურიდების ტომებთან გამწვავდა. ღაზნაზე თავდასხმისას ღურიდებმა ქალაქი გადაწვეს. ღაზნევიდი მმართველი იძულებული გახდა, დედაქალაქი ლაჰორში გადაეტანა. ამის შემდეგ მათ ხელში მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთ ინდოეთის მიწები დარჩათ. თუმცა ღურიდებმა **1187 წელს ბოლო მოუღეს ღაზნევიდების სახელმწიფოს არსებობას.**

3 **თქვენი აზრით, რას შეიძლება გამოეწვია ღაზნევიდების სახელმწიფოს დასუსტება?**

Layline

3 **როგორ წარმოიშვა ღაზნევიდების სახელმწიფო?**

3 **რა იყო მაჰმუდ ღაზნევისათვის სულთნის ტიტულის მინიჭების მიზეზი?**

Დ **განსაზღვრეთ მსგავსი ნიშნები სულთან მაჰმუდ ღაზნევისა და თეთრი ჰუნების მმართველ მიჰირაკულას შორის.**

3 **რა როლი ითამაშა სულთან მაჰმუდ ღაზნევიმ სახელმწიფოს გაძლიერებაში?**

3 **რა არის ღაზნევიდების სახელმწიფოს დაკნინების მიზეზები?**

ქალაქ ღაზნას ხედი

Layline

8 ფრანკთა სახელმწიფო

გერმანული ტომები, ბარბაროსები, ფრანკთა სახელმწიფო, ხლოდვიგი, გალია, კარლოს დიდი, ვერდენის ხელშეკრულება, ფეოდალური დაქუცმაცებულობა

განსაზღვრეთ რომის მცდელობების წარუმატებლობის მიზეზები გერმანელების დამორჩილების საქმეში.

"რაინის ნაპირთან ბრძოლა გერმანელებსა და რომაელებს შორის ". მხატვარი ფრიდრიხ ტიუშაუსი

რომაელები მდინარე რაინის აღმოსავლეთით მცხოვრებ სხვადასხვა ტომებს გერმანელებს უწოდებდნენ. გერმანელები ხშირად ახორციელებდნენ თავდასხმებს რომის იმპერიის სასაზღვრო ტერიტორიებზე. ამ თავდასხმების თავიდან აცილების მსურველმა რომმა გერმანელების წინააღმდეგ ლაშქრობები მოაწყო. I საუკუნეში რომის მცდელობები, დაემორჩილებინა **გერმანელები,** წარუმატებელი აღმოჩნდა.
რომმა გერმანელების დამორჩილება რთულად და შეუძლოდ მიიჩნია და ლაშქრობები შეწყვიტა. მან მთელი რაინის გასწვრივ შექმნა თავდაცვითი სიმაგრეები და ამ გზით ცდილობდა ტომების თავდასხმებისაგან დაცვას. რომაელები ტომებს, რომლებიც დასახლებული იყვნენ დასავლეთით მდინარე რაინიდან, აღმოსავლეთით მდინარე ვისლამდე, ჩრდილოეთით ბალტიის და ჩრდილოეთის ზღვების სანაპიროებიდან სამხრეთით მდინარე დუნაიმდე მდებარე ტერიტორიებზე, "გერმანელებს" უწოდებდნენ. გერმანელების საცხოვრებელი ტერიტორიის დიდი ნაწილი ტყეებით იყო დაფარული. ამ მიზეზით, I საუკუნის დასაწყისში ისინი ნადირობითა და მესაქონლეობით იყვნენ დაკავებულნი და ჯერ კიდევ პირველყოფილი თემური წყობილების პირობებში ცხოვრობდნენ.
ამ პერიოდში გერმანული ტომები ხშირად არღვევდნენ რომის საზღვრებს და ახორციელებდნენ მტაცებლურ თავდასხმებს მის ტერიტორიაზე. რომიც ცდილობდა მათი

Lavine

იარაღის ძალით დამორჩილებას და აწყობდა ლაშქრობებს მათ წინააღმდეგ. თუმცა, მისი მცდელობები წარუმატებლად მთავრდებოდა.

საბოლოოდ, ამ გზის სირთულისა და უშედეგობის გამო, რომმა შეწყვიტა შეტევები და თავდაცვაზე გადავიდა. მან მთელი რაინის გასწვრივ შექმნა ძლიერი თავდაცვითი ნაგებობები და დაიწყო საზღვრების დაცვა.

ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები (ტომის ბელადის არჩევა, მშვიდობა და ომი, სისხლის სამართლის საქმეები) სახალხო კრებაზე წყდებოდა.

ჰუნებისაგან გაქცეულმა გერმანულმა ტომებმა დაიპყრეს დასავლეთ რომის იმპერიის გარკვეული ტერიტორია. იმპერიის დაკნინებისა და დაცემის პერიოდში ისინი აქ დასახლდნენ და დაიწყეს საკუთარი სახელმწიფოების შექმნა.

3 **თქვენი აზრით, რატომ ეწოდებოდა გერმანული ტომების მიერ შექმნილ სახელმწიფოებს ბარბაროსული სამეფოები?**

გუთების ტომები დასახლდნენ იტალიასა და ესპანეთში, ანგლები და საქსები – ბრიტანეთში, ვანდალები – აფრიკაში, ფრანკები კი – გალიაში (თანამედროვე საფრანგეთი).

ამ ტომების მიერ შექმნილ სახელმწიფოებს ბარბაროსული (ველური) სამეფოები ეწოდა. გერმანული ტომების მიერ დასავლეთ რომის იმპერიის ტერიტორიების დაპყრობამ გამოიწვია ანტიკური (რომაულ-ბერძნული) კულტურის დაცემა.

3 **თქვენი აზრით, რატომ გაანადგურეს გერმანელებმა რომაული კულტურა?**

რომაელთა მიერ შექმნილი მეცნიერება და განათლება დაკნინდა, სამეცნიერო და ტექნიკური მიღწევების ნაწილი განადგურდა, ქალაქები დაინგრა, ზოგიერთი მთლიანად გაქრა. **ევროპის ისტორიაში დასრულდა რომაული ხანა, მის ადგილას დაიწყო გერმანული ეტაპი.**

გერმანულმა ტომებმა გავლენა იქონიეს რიგი ევროპული ხალხების ჩამოყალიბებაზე.

გერმანული ლაშქარი მდინარე რაინის გადალახვისას

Layiha

ფრანკთა სახელმწიფოს წარმოქმნა

ხლოდვიგი

დასავლეთ რომის იმპერიის ტერიტორიებზე წარმოქმნილ სახელმწიფოებს შორის ყველაზე ძლიერი და ხანგრძლივი ფრანკთა სამეფო აღმოჩნდა.
სამეფოს დაარსებამდე ფრანკთა ტომები ორ შტოდ იყოფოდნენ. თითოეულ შტოს ხელმძღვანელობდნენ სამხედრო ბელადები, რომლებიც თავს მმართველებად თვლიდნენ.
V ასწლეულის ბოლოს ფრანკთა ტომები გაერთიანდნენ და დაიწყეს ლაშქრობა გალიის მიმართულებით. ფრანკთა ტომების გაერთიანებას ხელმძღვანელობდა **ხლოდვიგი.** დასავლეთ რომის იმპერიის დაცემის შემდეგ გალიას მართავდა ყოფილი რომაელი გამგებელი.
486 წელს, ქალაქ **სუასონთან** ახლოს გაიმართა ბრძოლა. ფრანკებმა დაამარცხეს თავი მმართველად გამოცხადებული ყოფილი რომაელი გამგებლის ძალები. ხლოდვიგმა გალიის ნაწილი დაიპყრო. რამდენიმე წლის შემდეგ ხლოდვიგმა გაანადგურა სხვა ტომების ბელადები, რომლებიც მას გალიაში ლაშქრობის დროს დაეხმარნენ და თავი ფრანკთა სახელმწიფოს მეფედ გამოაცხადა. ამგვარად წარმოიშვა ფრანკთა სახელმწიფო.

როგორ წარმოიშვა ფრანკთა სახელმწიფო?

layine

გალიის დაპყრობამ ცვლილებები გამოიწვია ფრანკების სამეურნეო ცხოვრებაშიც. ისინი სოფლის მეურნეობაში რომაელთა გამოცდილებას დაეყრდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მონები რჩებოდნენ, სამუშაოთა უმეტესობას თავისუფალი ადამიანები ასრულებდნენ. თავდაპირველად ფრანკები მიწას ერთობლივად – თემურად იყენებდნენ. შემდგომში მიწები ოჯახებს შორის გაიყო და მეზობლური თემის ჩამოყალიბება დაიწყო.

ხლოდვიგმა ქრისტიანობა მიიღო. ამით მან მოიპოვა სასულიერო პირებისა და ადგილობრივი მოსახლეობის სიმპათია და გაამყარა თავისი ძალაუფლება გალიაზე. ამან შექმნა პირობები რომაულ-გერმანული კულტურული ერთობის წარმოქმნისათვის. რომაულ-გერმანულმა ერთობამ კი მომავალში ბიძგი მისცა ფრანგი ერის ჩამოყალიბებას.

ხლოდვიგის მმართველობის პერიოდში **შეიქმნა ფრანკთა სახელმწიფოს პირველი კანონთა კრებული.** ეს კანონები შედგენილი იყო ფრანკების უძველესი ადათ-წესებისა და რომაული სამართლის საფუძველზე.

კანონები ძალაში რჩებოდა IX ასწლეულშიც.

1 გამოიკვლიეთ, როდის და ვისი მეთაურობით მოხდა გალიის დაპყრობა და რომის სახელმწიფოსთან შეერთება.



2 რა მნიშვნელობა ჰქონდა კანონთა კრებულის მიღებას?

3 თქვენი აზრით, რატომ იცავდა ფრანკთა კანონი ქალთა ღირსებას?

მ ფრანკების კანონთა კრებული VI საუკუნის დასაწყისში, მეფე ხლოდვიგის დროს, ლათინურ ენაზე შედგა. აქ, ძირითადად, აისახა წესებისა და კანონების დარღვევისთვის გათვალისწინებული ჯარიმები, ასევე ოჯახის, მემკვიდრეობის, ნივთისა და საკუთრების სამართლებრივი საკითხები.

ფრანკთა კანონებიდან:

- თუ მონამ თავისუფალი ადამიანი მოკლა, მისმა პატრონმა უნდა გადაიხადოს 200 სოლიდი* ჯარიმა და მონა გადასცეს იმ ოჯახს.
- თუ ვინმემ მოიპარა ხარი ან ძვირადღირებული ფური, უნდა გადაიხადოს 35 სოლიდი ჯარიმა. თუ მეფის ხარს მოიპარავს, უნდა გადაიხადოს 90 სოლიდი ჯარიმა.
- თუ ვინმემ თავისუფალი მამაკაცი შეურაცხყო, უნდა გადაიხადოს 3 სოლიდი ჯარიმა.
- თუ ვინმემ თავისუფალი ქალის ღირსება შელახა, უნდა გადაიხადოს 45 სოლიდი ჯარიმა.

*სოლიდი

რომსა და ბიზანტიაში 4,5 გრამიანი ოქროს ფულადი ერთეულია.

Layiha

კარლოს დიდი



კარლოს დიდი

ფრანკთა სახელმწიფოს ყველაზე ძლიერი ხანა ემთხვევა **კარლოს დიდის** (768–814) მმართველობის წლებს. კარლმა სახელმწიფოს გარე საფრთხისაგან დასაცავად შექმნა ძლიერი საცხენოსნო ჯარი და დაიწყო ლაშქრობები. მუსულმანებთან დაძაბული ბრძოლების შემდეგ მან პირენეის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთით ერთი პროვინცია დაიპყრო.

კარლის ომი მეომარ და მრავალრიცხოვან საქსთა ტომებთან 30 წელი გაგრძელდა. საბოლოოდ, კარლმა საქსი თავადებისათვის დიდი მიწის ნაკვეთების მიცემით მიიზიდა ისინი თავის მხარეს და დაიმორჩილა. კარლის ომი ავარების სახაკანოს წინააღმდეგ განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა.

ჩრდილოეთ იტალიაში დასახლებული ერთ-ერთი გერმანული ტომი საფრთხეს უქმნიდა რომის პაპს. კარლმა ისინი დაამარცხა, ეს საფრთხე აღმოფხვრა და ჩრდილოეთ იტალია დაიკავა. **პაპმა** მადლიერების გამოსახატავად **800 წელს კარლი** რომში მიიწვია. საზეიმო ცერემონიალზე პაპმა მას თავზე ოქროს გვირგვინი დაადგა და **იმპერატორად გამოაცხადა.**

ბიზანტიის იმპერიასთან და არაბთა ხალიფატთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შემდეგ, კარლმა ცვლილებები შეიტანა ჯარის შეკრების წესში. VIII ასწლეულიდან ფრანკთა ჯარი ძირითადად მხედრებისაგან შედგებოდა. გლეხების დიდი ნაწილი ჯარიდან მოკვეთილი იყო, რადგან ცხენისა და იარაღის შეძენას ვერ ახერხებდნენ და ცხენზე ბრძოლა არ შეეძლოთ.

3 **თქვენი აზრით, რით შეიძლებოდა დასრულებულიყო გლეხების ჯარიდან მოკვეთა?**

კარლმა დაპყრობილი მიწების ნაწილი დაურიგა თავის ნათესავებსა და ფრანკ თავადებს. თავადებს ამ მიწებზე მცხოვრები მოსახლეობისაგან შეგროვებული გადასახადების ხარჯზე უნდა შეეძინათ ცხენები, იარაღი და საბრძოლო მასალა საკუთარი თავისთვის და თავიანთ რაზმებში მყოფი მეომრებისთვის. კარლის დროს პირობითად გაცემული ეს მიწები შემდგომში გადაიქცა მემკვიდრეობით გადაცემად მუდმივ საკუთრებაში. იმპერატორის ამ ღონისძიებამ უარყოფითი გავლენა იქონია მომავალი იმპერიის ბედზე. მისი გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრეებს შორის ხელისუფლებისათვის დაწყებულმა ბრძოლამ დაასუსტა სახელმწიფო. საბოლოოდ, **843 წელს, ქალაქ ვერდენში, კარლის სამმა შვილიშვილმა მათ შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე იმპერია გაინაწილეს.**



რომის პაპის მიერ კარლოს დიდისათვის იმპერატორის გვირგვინის დადგმა

ევროპა IX–XI ასწლეულებში



იმპერიის დაშლის შედეგად შემდგომში წარმოიშვა **საფრანგეთის, გერმანიისა** და **იტალიის** სახელმწიფოები. ამ დაყოფამ გამოიწვია დასავლეთ ევროპაში ორ ასწლეულზე მეტ ხანს **(IX–XI) გაგრძელებული ფეოდალური დაქუცმაცებულობა.** თითოეული ეს სახელმწიფო დაიყო მსხვილ ფეოდალურ მამულებად, ისინი კი – უფრო მცირე საფეოდალოებად. თითოეული მსხვილი ფეოდალი თავის ტერიტორიაზე

3 **თქვენი აზრით, რა უარყოფითი შედეგები მოჰყვა ფეოდალურ დაქუცმაცებულობას?**

*ყმა გლეხი

გლეხი დამოკიდებული ფეიდალზე როგორც მიწის, ისე პირად ურთიერთობაში.

დამოუკიდებლად მოქმედებდა: საკუთარ ფულს ჭრიდა, კანონებს გამოსცემდა, სასამართლოს ხელმძღვანელობდა, სურვილისამებრ აწესებდა გადასახადებს და ზრდიდა მათ.
ფეოდალური დაქუცმაცებულობით ყველაზე მეტად გლეხები იტანჯებოდნენ. ფეოდალთა შორის ომების დროს სოფლები იძარცვებოდა, გლეხებსაც ხოცავდნენ. ასევე, გადასახადის გადახდა რომ არ შეეძლოთ, გლეხები კარგავდნენ მიწას და ფეოდალებზე დამოკიდებულნი ხდებოდნენ. ამან გამოიწვია გლეხების ყმებად ქცევა. ამგვარად, IX–XI ასწლეულებში დასავლეთ ევროპაში დასრულდა ფეოდალური ურთიერთობების ფორმირება.
ევროპაში ფეოდალური დაქუცმაცებულობის ხანის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი იყო **საფრანგეთის სამეფო.** საფრანგეთი ერთიან სახელმწიფოდ ითვლებოდა, თუმცა ქვეყანა მსხვილ ფეოდალურ მამულებად იყო დაყოფილი. **X ასწლეულის ბოლოს ხელისუფლებაში მოვიდა კაპეტინგების დინასტია.** მხოლოდ დედაქალაქ პარიზსა და ორლეანს შორის მდებარე მიწები ითვლებოდა კაპეტინგი მეფეების საკუთრებად.
გერმანიაში მსხვილი ფეოდალური მამულების – საჰერცოგოების გაერთიანების შედეგად წარმოიშვა ერთიანი გერმანიის სამეფო. გერმანიის მეფემ, **ოტო I-მა,** იტალიის ჩრდილოეთ ნაწილი თავის ხელისუფლებას დაუქვემდებარა. შემდეგ, ადგილობრივ ფეოდალებთან მებრძოლი პაპის მოწოდებით, 962 წელს რომში ჩავიდა. **აქ იგი პაპის მიერ იმპერატორად გამოცხადდა.** ამით საფუძველი ჩაეყარა სახელმწიფოს, რომელსაც შემდგომში **წმინდა რომის იმპერია** ეწოდა.
იტალია პოლიტიკური დაქუცმაცებულობის მდგომარეობაში იმყოფებოდა. რომის იმპერიის დროიდან შემორჩენილი ქალაქების აღდგენის შემდეგ, სახელმწიფო კვლავ განვითარდა და ისინი იქცნენ ხელოსნობისა და ვაჭრობის ცენტრებად. **IX–X ასწლეულებში ამ ქალაქებიდან გენუამ, ვენეციამ, პიზამ, ფლორენციამ მიიღეს თვითმმართველობის უფლება და იქცნენ დამოუკიდებელ ქალაქ-რესპუბლიკებად.**

Lavina

9 ბიზანტია. სლავები

ბიზანტია, "ოქროს ხიდი", სლავები, კიევის სამთავრო

ბიზანტიის იმპერია (აღმოსავლეთ რომი) წარმოიშვა ძველი რომის იმპერიის დაყოფის შედეგად. ხალხთა დიდი გადასახლების დროს ბიზანტიის სახელმწიფომ თავისი ტერიტორიის ნაწილი დაკარგა, თუმცა შეძლო არსებობის შენარჩუნება. იმპერიის მოსახლეობის უმეტეს ნაწილს ბერძნები შეადგენდნენ, ამიტომ ბერძნული ენა სახელმწიფო ენად იქცა. ***სახელმწიფოს სათავეში იდგა იმპერატორი. მას შეუზღუდავი ძალაუფლება ჰქონდა. იმპერატორი ამყარებდა ურთიერთობას უცხო სახელმწიფოებთან, გამოსცემდა კანონებს, ასრულებდა უზენაესი მოსამართლის როლს და ხელმძღვანელობდა ჯარს.***

VII ასწლეულში არაბთა თავდასხმების შედეგად ბიზანტიამ დაკარგა თავისი სამფლობელოების დიდი ნაწილი აფრიკასა და აზიაში. დასუსტებულ სახელმწიფოს ხელში დარჩა მცირე აზია, ბალკანეთის ნახევარკუნძულის სამხრეთი და იტალიის ზოგიერთი პროვინცია. XI ასწლეულში, სელჩუკი თურქების დასავლეთისკენ მიგრაციის შედეგად, ბიზანტიამ დაკარგა მრავალი სამფლობელო მცირე აზიაშიც.

3 რატომ ვერ ახერხებდა ბიზანტია სელჩუკთა თავდასხმების შეჩერებას?

სელჩუკთა თავდასხმების შეჩერება რომ ვერ შეძლო, ბიზანტიამ დახმარებისათვის მიმართა რომის პაპს. პაპმა ქრისტიანებს მოუწოდა **ჯვაროსნული ლაშქრობისაკენ** მუსულმანების წინააღმდეგ. ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა შეამცირა სელჩუკთა ზეწოლა ბიზანტიაზე, მაგრამ ვერ იხსნა იგი.

მცირე აზიის ნახევარკუნძულზე წარმოქმნილმა ოსმალთა სახელმწიფომ 1453 წელს ბოლო მოუღო ბიზანტიის სახელმწიფოს არსებობას.

ბიზანტიური ფული

მ "ამბობენ, რომ მხოლოდ ამ ქალაქის ბაზრებისა და მაღაზიების გაქირავებიდან, ხმელეთითა და ზღვით ქალაქში შემოსული ვაჭრებისაგან აღებული გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი დღეში 20 000 ოქროს ფულს აღწევს. ამ ქვეყნის მკვიდრნი, ბერძნები, ძალიან მდიდრები არიან ოქროთი და მარგალიტით. ისინი, თავადების შვილებივით, ოქროთი შემკულ ძვირადღირებულ აბრეშუმის ქსოვილებში გამოწყობილნი დასეირნობენ ცხენებით".

XII ასწლეულში მცხოვრები მოგზაურის დღიურიდან კონსტანტინოპოლის შესახებ

Layme



"ქალაქების ქვეყანა"

ქვეყნის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა ქმნიდა პირობებს ვაჭრობის განვითარებისათვის. აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, აფრიკიდან ევროპისაკენ მიმავალი სავაჭრო გზები გადიოდა ბიზანტიის ტერიტორიაზე. ქვეყნის დედაქალაქი კონსტანტინოპოლი მდებარეობდა ამ სავაჭრო გზების, ასევე ხმელთაშუა ზღვიდან შავ ზღვაში გამავალი გზების გადაკვეთაზე. ჩინეთიდან ევროპისაკენ მიმავალი დიდი აბრეშუმის გზაც ბიზანტიის ტერიტორიაზე გადიოდა.
ბიზანტიურ ოქროს ფულს იყენებდნენ აფრიკის, ევროპისა და აზიის მრავალ ქვეყანაში. ვაჭრობის ინტენსიურმა განვითარებამ პირობები შეუქმნა ქვეყანაში ხელოსნობის განვითარებასაც. ადრეულ შუა საუკუნეებში ბიზანტია განთქმული იყო თავისი საიუველირო ნაწარმით, იარაღით, მინის, აბრეშუმის და სხვადასხვა ხისა და ძვლის სახეობის ნაკეთობებით. ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარება იწვევდა ქალაქების აყვავებას. ბიზანტიის ტერიტორიაზე 1000-ზე მეტი ქალაქი იყო, ამიტომ მას "ქალაქების ქვეყანას" უწოდებდნენ. უდიდესი ქალაქი იყო კონსტანტინოპოლი, რომელსაც "ოქროს ხიდს" უწოდებდნენ.

ახსენით კონსტანტინოპოლისათვის "ოქროს ხიდის" სახელწოდების მიცემის მიზეზები.

ქალაქი ანტიოქია

ბიზანტიელი მეომარი

ᲠᲣᲙᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲖᲔ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲗ XI ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲑᲘᲖᲐᲜᲢᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲘ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲔᲑᲘ.

სლავების დასახლება ბიზანტიის გარშემო

ხალხთა დიდ გადასახლებაში მონაწილეთაგანი იყვნენ **სლავური** ტომებიც. VI ასწლეულისთვის სლავები დასახლდნენ დიდ ტერიტორიაზე, დასავლეთით მდინარე ელბიდან აღმოსავლეთით ვოლგის ზემო წელამდე. სლავები, რომელთა ძირითადი საქმიანობა მიწათმოქმედება იყო, ნაყოფიერი მიწების ძიებაში იყვნენ. მალე მათი ნაწილი დაიძრა მდინარე დუნაის აუზისკენ, იქიდან კი ბიზანტიის მიწებზე – ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთით. ისინი აქ დასახლდნენ, ბიზანტიის მოქალაქეობა მიიღეს და ხარკის გადახდა დაიწყეს. ადრეული შუა საუკუნეების ბოლოს დასრულდა სლავური ტომების დაყოფა. დაყოფის შედეგად სლავები დაიყვნენ აღმოსავლეთ, დასავლეთ და სამხრეთ სლავებად.

3 **შეიძლება თუ არა საცხოვრებელი ადგილის შეცვლით სხვა ტერიტორიებზე გადასახლებულ სლავებს ვუწოდოთ მომთაბარეები?**

კიევის რუსეთი

IX ასწლეულში წარმოიშვა აღმოსავლეთ სლავების პირველი სახელმწიფო – კიევის სამთავრო. სახელმწიფო, სადაც ნატურალური მეურნეობა ბატონობდა, შინაგანად მტკიცე არ იყო და დაიშალა. XIII ასწლეულის დასაწყისში დაქუცმაცებული რუსული სამთავროები მონღოლთა თავდასხმას შეეწირნენ. მონღოლებზე დამოკიდებულნი გახდნენ და ოქროს ურდოს სახელმწიფოს ხარკის გადახდა დაუწყეს.

3 **თქვენი აზრით, რა იყო მონღოლების მიერ რუსული მიწების ადვილად დაპყრობის მიზეზები?**



8 **გამოიკვლიეთ, ამჟამად მსოფლიოში რომელი სლავური სახელმწიფოები არსებობს.**

სლავები

Layihe

10 კულტურა

გოითურქული წარწერები, მედრესე, იბნ სინა, კალიგრაფია, წმინდა სოფიას ტაძარი, "კაროლინგური აღორძინება"



ორხონ-ენისეური ანბანი

თურქი ხალხების ისლამამდელ კულტურაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს დამწერლობას. ძველი თურქული ანბანი შედგებოდა 38 ასოსაგან: 34 თანხმოვანი და 4 ხმოვანი. წარწერებში ტექსტები იწერებოდა მარჯვნიდან მარცხნივ და ზემოდან ქვემოთ. ***ორხონ-ენისეური ძეგლები თურქი ხალხების მნიშვნელოვანი წერილობითი წყაროებია.*** V–VIII ასწლეულების ძეგლები ადასტურებენ, რომ თურქმა ხალხებმა შექმნეს მაღალი კულტურის ნიმუშები. ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანია აღმოსავლეთ თურქთა წარწერები.

ისლამამდელ პერიოდში თურქ ხალხებს სწამდათ ცის ღმერთის (გოი თანრი) რელიგიის. ორხონ-ენისეურ ძეგლებში აისახა რწმენა თურქის ღვთის შვილობისა და თურქების ღვთის მფარველობით ცხოვრებისა. ძველმა თურქებმა თავიანთი წვლილი შეიტანეს არქიტექტურისა და ხელოვნების განვითარებაშიც. მათ დააარსეს ქალაქები, აღმართეს ქანდაკებები თავიანთი სახაკანოების პატივსაცემად და შექმნეს ნახატები, რომლებიც ასახავდნენ მათ ცხოვრების წესს.

შეაგროვეთ დამატებითი ინფორმაცია ორხონ-ენისეური ძეგლების შესახებ.

Leyne

ისლამური კულტურა

ხალიფატის ხანაში, ერთიანი ისლამური კულტურის ფორმირების შედეგად, მუსულმანური ქვეყნები ითვლებოდა მსოფლიოს ყველაზე მოწინავე ქვეყნებად. ფართო ტერიტორიის მქონე ხალიფატში მეურნეობის განვითარებამ, დიდი ქალაქების არსებობამ და ისლამის რელიგიის გავრცელებამ ბიძგი მისცა კულტურის განვითარებას. ისლამის რელიგიის გავრცელების არეალში არაბული ენა იქცა სამეცნიერო და ლიტერატურულ ენად. სახელმწიფო საქმეები არაბულ ენაზე მიმდინარეობდა, მეჩეთებთან მოქმედ სკოლებში ისწავლებოდა წმინდა "ყურანი" და არაბული ენა. სკოლის დამთავრების შემდეგ მოსწავლეები სწავლას აგრძელებდნენ მედრესეებში. მედრესეებში, სადაც მეცნიერები ასწავლიდნენ, რელიგიურ ცოდნასთან ერთად იძლეოდნენ სამეცნიერო ცოდნასაც მათემატიკაში, ასტრონომიასა და მედიცინაში.
მოგვიანებით, ევროპაში მედრესეების მაგალითზე შეიქმნებოდა უმაღლესი სასწავლებლები.
რელიგიური ღვთისმსახურებაც ამ ენაზე სრულდებოდა. შეისწავლებოდა ძველი ევროპისა და აღმოსავლეთის ხალხების კულტურა, სხვადასხვა ენაზე არსებული სამეცნიერო და ლიტერატურული ნაწარმოებები ითარგმნებოდა არაბულ ენაზე. ხელნაწერი წიგნები ამშვენებდა მედრესეების მდიდარ წიგნთსაცავებს.
განათლების განვითარების შედეგად სამეცნიერო ცოდნა სწრაფად ვრცელდებოდა. ხალიფატში მეცნიერული ცოდნის მრავალი დარგი ვითარდებოდა. ამაზე გავლენას ახდენდა ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარებაც. ***ინდური ციფრების გამოყენებით არაბებმა საფუძველი ჩაუყარეს ალგებრის***

3 **თქვენი აზრით, რა არის არაბულენოვანი ისლამური კულტურის წარმოქმნის მიზეზები?**

წმინდა ყურანი - ქერიმის ნიმუშები

Leyline

ფარაბი

აბუ რეიჰან ალ-ბირუნი

იბნ სინა

მეცნიერებას.
არისტოტელეს ნაწარმოებების განმარტებების გამო დიდ მეცნიერს ***ფარაბის*** "მეორე მასწავლებელს" უწოდებდნენ. ფარაბიც, არისტოტელეს მსგავსად, ახდენდა სამეცნიერო ცოდნის კლასიფიკაციას.
ხვარაზმში მცხოვრები ***აბუ რეიჰან ალ-ბირუნი*** მოღვაწეობდა მეცნიერების სხვადასხვა დარგში. მან შექმნა აღმოსავლეთში პირველი გლობუსი, რომლის დიამეტრიც დაახლოებით 5 მეტრს აღწევდა. ***მან წამოაყენა აზრი დედამიწის მზის გარშემო ბრუნვის შესახებ.***
არაბთა ხალიფატში **ასტრონომიის** მეცნიერებაც განვითარდა. ***ობსერვატორიებში მომუშავე ასტრონომებმა გამოთვალეს დედამიწის სავარაუდო ზომები.***
მუსულმან მეცნიერს ***იბნ სინას "მეცნიერებათა შეიხს"*** უწოდებდნენ. მისი ნაშრომები მედიცინაში დიდი ხნის განმავლობაში იყო მთავარი სახელმძღვანელო როგორც აღმოსავლეთში, ისე ევროპის ქვეყნებში. იგი იყო გამოჩენილი აზერბაიჯანელი მეცნიერის ბაჰმანიარის მასწავლებელი.
ხალიფატში ისტორიის მეცნიერებაც განვითარდა. **ბალაზურიმ** დაწერა ***პირველი ისტორიული ნაშრომი,*** რომელიც მიეძღვნა არაბთა დაპყრობებს. ***ტაბერიმ***, რომელმაც აღწერა სახალიფოს ორასწლოვანი ისტორია, მოგვცა ინფორმაცია ხურამიტების მოძრაობის შესახებ.
ხალიფატის ხანაში არქიტექტურა ძალიან განვითარდა. შენდებოდა ახალი ქალაქები, შენდებოდა არქიტექტურული ძეგლები, რომლებიც ხელოვნების ნამდვილ ნიმუშებს წარმოადგენდა. ნაგებობებს შორის მთავარი ადგილი ეკავა მეჩეთებს. ქალაქ სამარაში მდებარე ***დიდებული მეჩეთი*** იმ დროის მშვენიერი არქიტექტურული ნიმუში იყო.
წიგნების გადაწერის შედეგად ვითარდებოდა ***კალიგრაფიის*** ხელოვნება.
არაბული ლიტერატურის "ოქროს ხანა" ემთხვევა აბასიანთა ხალიფატის მმართველობის ხანას. არაბულენოვანი ლიტერატურის განვითარებაში მონაწილეობდნენ ხალიფატში შემავალი ყველა ხალხის წარმომადგენლები.

დიდებული მეჩეთი

3 **რა გავლენა იქონია ისლამურ ქვეყნებში არაბული ენის სამეცნიერო ენად ქცევამ კულტურის განვითარებაზე?**

8 **გამოიკვლიეთ არაბთა ხალიფატის ხანაში ფერწერისა და მოქანდაკეობის განუვითარებლობის მიზეზები.**

ბიზანტიისა და ევროპის კულტურა

ადრეულ შუა საუკუნეებში ბიზანტიის კულტურა ვითარდებოდა. ეს კულტურა ძირითადად საზრდოობდა ძველი რომაული და ბერძნული ტრადიციებით. ბიზანტიის ქალაქები არა მხოლოდ ხელოსნობისა და ვაჭრობის ცენტრები იყვნენ, არამედ კულტურის კერებიც. VII ასწლეულიდან დაწყებული, ბერძნული ენა იქცა იმპერიის სახელმწიფო ენად. განათლება და მეცნიერება განვითარდა. ბიზანტიაში განათლებული ადამიანების რაოდენობა უფრო მეტი იყო, ვიდრე დასავლეთ ევროპაში. XI ასწლეულში კონსტანტინოპოლში გაიხსნა უნივერსიტეტი. აქ ფუნქციონირებდა სამართლისა და ფილოსოფიის ფაკულტეტები.

შუა საუკუნეების არქიტექტურის განვითარებაში ბიზანტიას განსაკუთრებული ადგილი უკავია. იმპერატორ **იუსტინიანეს ბრძანებით** კონსტანტინოპოლში აშენებული **წმინდა სოფიას ტაძარი** ბიზანტიური არქიტექტურის შესანიშნავი ნიმუშია. ოსმალებმა კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ ტაძარი მეჩეთად გადააკეთეს.

ანტიკური სამყაროდან შუა საუკუნეებზე გადასვლის პერიოდში დასავლეთ ევროპაში კულტურა დაკნინდა. განათლებული ადამიანები, ძირითადად, სასულიერო პირები იყვნენ. საეკლესიო სკოლებში გაკვეთილები ლათინურ ენაზე მიმდინარეობდა. ამ ენაზე კი იმ დროს არც ერთი ხალხი არ ლაპარაკობდა.

ფრანკთა იმპერატორი კარლოს დიდი დიდ ყურადღებას უთმობდა განათლებას, მეცნიერებასა და კულტურას. ის ხსნიდა სკოლებს, სასახლეში იწვევდა სხვადასხვა ქვეყნებიდან განათლებულ ადამიანებს, დედაქალაქ აახენში აშენებდა ქვის სასახლეებსა და ეკლესიებს. კარლოს დიდის ღონისძიებების შედეგად დაიწყო აღმავლობა კულტურაში. ამ პერიოდს, რომელიც ფრანკთა იმპერიის დაკნინებამდე გაგრძელდა, **"კაროლინგურ აღორძინებას"** უწოდებენ.

ბიზანტიური მოზაიკა

შეადარეთ ბიზანტიისა და დასავლეთ ევროპის კულტურები.

ხუთ წელიწადში აშენებული წმინდა სოფიას ტაძრის მშენებლობაზე ათი ათასი ადამიანი იყო მობილიზებული. იმპერატორს სურდა, ეს ადგილი მთავარ ტაძრად ექცია. ამ გიგანტური ნაგებობის ზომებია 76,5 x 68,4 მეტრი, სიმაღლე კი 51 მეტრია. მთავარი ოთხკუთხა ნაგებობის თავზე არის უზარმაზარი გუმბათი. ტაძრის შიდა კედლები და სვეტები მოპირკეთებულია სხვადასხვა ფერის მარმარილოთი და მორთულია მოზაიკებით*.

***მოზაიკა**

ხელოვნების ნიმუშია, რომელიც მზადდება ერთი ან სხვადასხვა ფერის მინის, ქვის ნაწილაკებისა და კერამიკისაგან.

აია სოფია

11 დიდი სელჩუკთა სახელმწიფო

სელჩუკები, ჩაღრი-ბეგი, თოღრულ-ბეგი, ნიშაპური, მალაზგირდის ბრძოლა

სელჩუკი დიდებულის ფიგურა

კინიკის ტომიდან **სელჩუკ-ბეგი** ოღუზთა სახელმწიფოში სუბაშის თანამდებობას იკავებდა. გარკვეული დროის შემდეგ, ოღუზთა მმართველთან ურთიერთობის გაფუჭების გამო, სელჩუკ-ბეგი მის გარშემო მყოფ ოღუზ ტომებთან ერთად არალის ტბისკენ გადასახლდა. ამ გადასახლების მეორე მიზეზი იყო მიწისა და საძოვრების სიმცირე. სელჩუკ-ბეგი ქალაქ ჯენთში მოვიდა. მასზე ადრე გადმოსახლებული მუსულმანი თურქებიც აქ ცხოვრობდნენ. სელჩუკ-ბეგი თავის დაქვემდებარებულ ოღუზებთან ერთად მუსულმანი გახდა. ამის შემდეგ მათ **თურქმენები** ეწოდათ. ისლამის მიღებამ რეგიონში სელჩუკ-ბეგის გავლენა გაზარდა და სხვა თურქ-მუსულმანური ტომების მის გარშემო გაერთიანებას შეუწყო ხელი. ამ ფაქტორმა ოღუზთა სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლაში მისი საქმე გააადვილა. სელჩუკ-ბეგის გარდაცვალების შემდეგ,

სელჩუკ-ბეგი

3 **რა ფაქტორები ზრდიდა სელჩუკების გავლენას რეგიონში?**

მისი მემკვიდრეები სელჩუკების სახელით გახდნენ ცნობილი. ბრძოლა მისმა ვაჟებმა და შვილიშვილებმა განაგრძეს. ამ ბრძოლაში განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ მისი შვილიშვილები, ძმები ჩაღრი და თოღრული, რომლებმაც ჯერ კიდევ ბაბუის სიცოცხლეში შეიძინეს მმართველობითი გამოცდილება.

ბეჭდვა

ყარახანიდი და ღაზნევიდი მმართველები, ძმების მეთაურობით სელჩუკების წინააღმდეგ, ერთობლივად იბრძოდნენ. ამ ბრძოლებმა სელჩუკთა შინაგანი ერთიანობა გააძლიერა.
სელჩუკები შემდგომ პერიოდებში პოლიტიკური ზეწოლის, მიწის სიმცირისა და საძოვრების უკმარისობის გამო ანატოლიაშიც შეიჭრნენ. მათ გადაწყვიტეს ფართომასშტაბიანი სადაზვერვო ლაშქრობა მოეწყოთ დასავლეთისკენ – ანატოლიაში. ლაშქრობას ჩაღრი-ბეგი მეთაურობდა. სელჩუკი ოღუზები XI ასწლეულის დასაწყისში ბიზანტიის აღმოსავლეთ პროვინციაში, ვანის ტბის მიდამოებში მივიდნენ. აქ ბიზანტია და მის მფარველობაში მყოფი ტომები სასტიკად დამარცხდნენ.

ჩაღრი-ბეგი

განსაზღვრეთ ბიზანტიაში სადაზვერვო ლაშქრობის შედეგი.

ჩაღრი-ბეგი გარკვეული დროის შემდეგ უკან დაბრუნდა. ამ ლაშქრობის შედეგად ოღუზებმა განსაზღვრეს ადგილი, სადაც მომავალში დამკვიდრდებოდნენ.
სელჩუკები მიმდებარე ტომებთან ერთად XI ასწლეულის 30-იან წლებში ხორასანშიც დასახლდნენ, რომელიც ღაზნევიდების მმართველობის ქვეშ იყო.

ამ პერიოდის წყაროებში ბიზანტიის აღმოსავლეთ პროვინციებში გამოჩენილი ჩაღრი-ბეგის მხედრების შესახებ ნათქვამია: "ქარივით მფრენ ცხენებზე ამხედრებული გრძელთმიანი, მშვილდოსანი და შუბოსანი თურქმენები..."

***

სამართლიანობით, გონიერებით, სიმამაცითა და პოლიტიკური ხედვით გამორჩეული თოღრულ-ბეგი სელჩუკთა სახელმწიფოს პირველი სულთანია. მან თავისი მმართველობის პერიოდში საფუძველი ჩაუყარა დიდ სელჩუკთა იმპერიას, აიყვანა იგი მსოფლიო სახელმწიფოს დონეზე და გამოყო რელიგია სახელმწიფოსგან. ძმა ჩაღრი-ბეგთან და მის ვაჟებთან ერთად მან ისლამურ სამყაროში ომაიანთა და აბასიანთა შემდეგ ახალ თურქ-ისლამური ასწლეულს ჩაუყარა საფუძველი. თურქებმა ახლო აღმოსავლეთი დაიპყრეს, ხალიფა თავიანთ მფარველობაში აიყვანეს და ისლამური სამყაროს ბატონ-პატრონები გახდნენ.

Layihe

დიდი სელჩუკთა სახელმწიფო

S სულთან მასუდის ჯარი რაოდენობრივად სელჩუკებს აღემატებოდა. იმდროინდელი ისტორიკოსები ამ ლაშქარს აღწერდნენ, როგორც "ისეთ უდიდეს და აღჭურვილ ჯარს, რომ მთელი თურქესტანიც კი ვერ გაუძლებდა მას".

სელჩუკები მათთვის მიცემული ტერიტორიებით არ დაკმაყოფილდნენ და **1038 წელს** ქალაქი ნიშაპური დაიპყრეს. ამგვარად, შეიქმნა ძლიერი თურქული სახელმწიფო – დიდი სელჩუკთა სახელმწიფო, რომლის ცენტრიც ქალაქი **ნიშაპური** გახდა. თოღრულ-ბეგმა აქ სელჩუკთა მმართველობის წესის დამკვიდრება და ორგანიზაციული მოწყობა დაიწყო.

ამის შესახებ რომ გაიგო, სულთან მასუდმა ინდოეთის ლაშქრობა შეწყვიტა და უკან დაბრუნდა. მან 300 საბრძოლო სპილო, 50-ათასიანი ლაშქარი შეკრიბა და სელჩუკების წინააღმდეგ გაილაშქრა.

1040 წელს სელჩუკები და ღაზნევიდები მერვთან ახლოს, დენდანეყანად წოდებულ ადგილას გადამწყვეტ ბრძოლაში შეხვდნენ ერთმანეთს. სამი დღის განმავლობაში მიმდინარე ბრძოლებში სელჩუკებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. ამ გამარჯვებამ სელჩუკების პოზიციები ცენტრალურ აზიაში გაამყარა და მათ ირანსა და

3 **როგორ ფიქრობთ, რატომ დაამარცხეს სელჩუკებმა რაოდენობრივად უფრო ძლიერი ღაზნევიდები?**

დენდანეყანის ბრძოლა

სულთან თოღრულ I-ის ბაღდადში შესვლა

სელჩუკი სარდალი

ერაყში გაუხსნა გზები.
დენდანეყანის გამარჯვების შემდეგ, **ქალაქ მერვში დიდი გურულთაი (ყრილობა)** შეიკრიბა. ყრილობაზე თოღრული **სულთნად** გამოცხადდა. აქ გადაწყდა ახალი ტერიტორიების დაპყრობა და ლაშქრობების მოწყობა სხვა არეულ რეგიონებში: ბიზანტიაში, სამხრეთ კავკასიაში, განსაკუთრებით აზერბაიჯანში.
ლაშქრობების ახლო მანძილიდან სამართავად დედაქალაქი 1043 წელს ქალაქ **რეიში** გადაიტანეს.
მოკლე დროში დიდი ტერიტორიები დაიმორჩილეს.
1054 წელს ლაშქრობა მოეწყო **სამხრეთ კავკასიაში.** ამ ლაშქრობის მთავარი მიზანი იყო რეგიონის მუსულმანური სახელმწიფოების საკუთარ მხარეზე გადაბირება და სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ ბრძოლაში მათი ძალების გამოყენება.
სულთანი თოღრული, თავისი ხელისუფლების აბასიანი ხალიფის სულიერი ავტორიტეტით განსამტკიცებლად, 1055 წელს **ბაღდადში** შევიდა. აბასიანმა ხალიფამაც განაცხადა სულთან თოღრულისადმი მორჩილება და იგი "აღმოსავლეთისა და დასავლეთის მმართველად" გამოაცხადა. ამის შემდეგ ხალიფას ხელში მხოლოდ რელიგიური ხელისუფლება დარჩა. ამის მიუხედავად, სელჩუკები იცავდნენ ხალიფას გარე საფრთხეებისგან და იგი თავიანთ მფარველობაში აიყვანეს.

შეაფასეთ სულთან თოღრულის ბაღდადის ლაშქრობის შედეგი თურქული სამყაროსთვის.

ამგვარად, სულთან თოღრულის მმართველობის პერიოდში სელჩუკები დიდ ტერიტორიებს დაეუფლნენ ამუდარიიდან მდინარე ევფრატამდე.
სულთან თოღრულ I-ის გარდაცვალების შემდეგ ხელისუფლებაში მოვიდა ჩაღრი-ბეგის ძე **ალფ-არსლანი (1063–1072).** მან პირველ ამოცანად ოღუზთა

Preview

ალფ-არსლანი

ერთიანობის შენარჩუნება და სახელმწიფოს კიდევ უფრო გაძლიერება დაისახა. ალფ-არსლანმა დაამარცხა ბიზანტიასთან კავშირში მყოფი სომხები, ქართველები და აფხაზები და დაიპყრო ქალაქები ანისი და ყარსი. **მისი მთავარი მიზანი ანატოლიის თურქულ მიწად ქცევა იყო.**

ალფ-არსლანმა ბიზანტიასთან ბრძოლის დაწყებამდე მათ სასახლეში ელჩები გაგზავნა და ზავი შესთავაზა. მაგრამ რომანოზ დიოგენემ მათ პასუხად უთხრა: "ისპაანი ჯობია თუ ჰამადანი? მე ისპაანში გამოვიზამთრებ, ჩემი ცხენები კი – ჰამადანში".
თურქმა ელჩმა კი პასუხად უთხრა: "შენი ცხენები ჰამადანში გამოიზამთრებენ, შენს შესახებ კი ეს ჯერ უცნობია".

ბიზანტიის იმპერატორმა რომანოზ დიოგენემ ლაშქარში გაიწვია ყველა იარაღის ტარების უნარის მქონე მამაკაცი. ბალკანეთის ნახევარკუნძულზე დასახლებული ოღუზ-პეჩენეგების რაზმებიც შეუერთდნენ ამ ლაშქარს. ზრდადი თურქული საფრთხის თავიდან ასაცილებლად, დახმარება ითხოვეს ევროპული სახელმწიფოებიდანაც. ამ ღონისძიებების შემდეგ დიოგენე დარწმუნებული იყო, რომ თურქულ საფრთხეს აღმოფხვრიდა და ანატოლიაში ადრე მოსული თურქებსაც სამუდამოდ გაიყვანდენ იქიდან. ბიზანტიის ჯარი ამ ღონისძიებების შემდეგ მალაზგირდის

მალაზგირდის ბრძოლა

მიმართულებით დაიძრა.
მხარეები 1071 წლის აგვისტოში **მალაზგირდის ველზე** შეხვდნენ ერთმანეთს. თურქი მხედრები ყველა მხრიდან შეტევაზე გადადიოდნენ, მაგრამ უშედეგოდ. ამ დროს თურქული ლაშქარი **"თურანის ტაქტიკის"** მიხედვით, იბრძოდა-იბრძოდა და ჩასაფრებებს აწყობდა, უკან იხევდა. ბრძოლის მიმდინარეობისას ოღუზები და პეჩენეგებიც გადავიდნენ თავიანთი თანატომელების მხარეზე. ვითარების სიმძიმე რომ დაინახა, იმპერატორმა უკანდახევის ბრძანება გასცა. ამით ისარგებლა ალფ-არსლანმა, გადამწყვეტი შეტევა

Layna

წამოიწყო მათზე და ბრძოლის ბედი გადაწყვიტა. დაჭრილი იმპერატორი თურქმა სარდლებმა ტყვედ აიყვანეს.
ალფ-არსლანმა დიდი სულგრძელება გამოიჩინა, შეიწყალა ბიზანტიის იმპერატორი და სამშვიდობო ხელშეკრულება დადო მასთან. ზავის პირობების თანახმად, ბიზანტია ყოველწლიურად უხდიდა სელჩუკებს ხარკს და საჭიროების შემთხვევაში სამხედრო დახმარებას უწევდა.
მსოფლიო ისტორიაში მალაზგირდის ბრძოლა მნიშვნელოვან გარდამტეხ მომენტად ითვლება. **რადგან ამ ბრძოლის შედეგად ანატოლია სამუდამოდ თურქულ მიწად იქცა**. ამ წარმატებული ბრძოლის შემდეგ, **აბასიანმა ხალიფამ ალფ-არსლანს უწოდა „მუსლიმანთა მხსნელი“ და „ისლამის ნათელი“.**

თურანის ტაქტიკა

3 რა როლი შეასრულა მალაზგირდის ბრძოლამ მსოფლიო ისტორიაში?

ალფ-არსლანი 1072 წელს მოკლეს შეთქმულების შედეგად. ხელისუფლებაში მოვიდა მისი ვაჟი, **მელიქ-შაჰ I (1072–1092).** მელიქ-შაჰ I-ის მმართველობის წლები სელჩუკთა სახელმწიფოს პოლიტიკური ძლიერების აყვავების ხანა იყო. ჯერ კიდევ მამამისის დროს ვეზირად დანიშნული **ნიზამულ-მულქი** მელიქ-შაჰ I-ის მმართველობის წლებშიც ახლო მრჩევლად გამოადგა მას.
მელიქ-შაჰ I მმართველობის პირველივე დღეებიდან შეუდგა ქვეყანაში შიგა სტაბილურობის შენარჩუნებას და აღმოსავლეთ საზღვრების განმტკიცებას. **იმპერიის ცენტრი ისპაანში გადაიტანა** და **მელიქ-შაჰ** I-მა ახალი ლაშქრობებისთვის მზადება დაიწყო.
მან დაამარცხა ყარახანიდები, ჩააყენებინა ისინი დამოკიდებულ მდგომარეობაში და ხარკის გადახდა აიძულა. მელიქ-შაჰის მმართველობის წლებში სახელმწიფო მოიცავდა დიდ ტერიტორიას, დასავლეთით ხმელთაშუა ზღვამდე.
მელიქ-შაჰ I-მა გადადგა ნაბიჯები, რომლებიც ხელს უწყობდა ეკონომიკის განვითარებას. ***კერძოდ, შექმნა ერთიანი საზომი, წონისა და ფულის სისტემები, უზრუნველყო ქარავნების გზების უსაფრთხოება და ვაჭრები ზოგიერთი გადასახადისგან გაათავისუფლა.***

5 რა იყო სახელმწიფოს აყვავების მიზეზები სულთან მელიქ-შაჰ I-ის დროს?

სელჩუკური მონეტები

სახელმწიფოს დაცემა

1092 წელს მელიქ-შაჰის გარდაცვალების შემდეგ, სახელმწიფო თანდათან დაკნინებას შეუდგა. ხანგრძლივმა შინაომებმა და დაპყრობილი ხალხების აჯანყებებმა დაასუსტა სახელმწიფო. ამ დასუსტებამ ხელი არ შეუშალა ევროპელი ჯვაროსნების თავდასხმებს და ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზე ზოგიერთი ტერიტორია დაიკარგა.
უკანასკნელმა სელჩუკმა სულთანმა **სენჯერმა** წარმატებული სამხედრო ოპერაციები ჩაატარა ყარახანიდებისა და ღაზნევიდების წინააღმდეგ, თუმცა დამარცხდა მონღოლური წარმოშობის ყარახიტაიებთან. ყარახიტაიებმა მავერანაჰრი დაიპყრეს. არამუსლიმანური ტომის მიერ სენჯერის დამარცხებამ მას მუსლიმან მოსახლეობაში ავტორიტეტი დაუკარგა. 1157 წელს სულთან სენჯერის გარდაცვალების შემდეგ, დიდი სელჩუკთა სახელმწიფო დაიშალა.

6 განსაზღვრეთ ფაქტორები, რომლებიც იწვევს დიდი სახელმწიფოების დაცემას.

Leyline

12 დიდი მონღოლთა იმპერია. ოქროს ურდო. მოსკოვის სამთავრო

ჩინგიზ-ყაენი, ყარაყორუმი, ნოინი, ბაჰადური, "დიდი იასა", იარლიყი, თარხანი, ბასკაკი, კნიაზი, "უგრაზე შეხვედრა", მეფე (ცარი)

ჩინგიზ-ყაენი

უძველესი დროიდან მონღოლები ცხოვრობდნენ ცენტრალური აზიის ველებიდან ალთაის მთების დასავლეთით მდებარე ვრცელ ტერიტორიებზე. ვინაიდან ტერიტორია მიწათმოქმედებისთვის უვარგისი იყო, მონღოლების ძირითადი საქმიანობა იყო ნადირობა და მომთაბარე მესაქონლეობა.

XII ასწლეულში მონღოლებში ტომობრივი ურთიერთობები უკვე დაიშალა. თანდათან მესაქონლეობით დაკავებულ მეურნეობებში დაიწყო სოციალური უთანასწორობის გაჩენა. უფრო მდიდარი მეურნეობები ძირითადი ტომისგან გამოეყვნენ და სხვა ტერიტორიებზე გადასახლდნენ. ტომთაშორისი დაპირისპირებები, კლიმატური პირობები, ბრძოლა საძოვრებისთვის უბიძგებდა მონღოლებს ახალ ტერიტორიებზე გადასახლებისკენ. ამიტომ, ახლად ჩამოყალიბებული **ფეოდალური ურთიერთობები მომთაბარე ხასიათს ატარებდა.**

ჩინგიზ-ყაენამდე დაქსაქსული მონღოლები თანდათან ქმნიდნენ ახალ გაერთიანებებს – **ურდოებს**. სამხედრო ორგანიზაციის მქონე ურდოების სათავეში იდგნენ **ბაჰადურები** და **ნოინები**. რაც უფრო იზრდებოდა მათ დაქვემდებარებული ტომების რაოდენობა, დიდი ყაენი მათ ანიჭებდა **ხანის** ტიტულს.

ერთ-ერთი მონღოლური ტომის ბელადმა, თემუჩინმა, დაამარცხა ნაიმანების, ქერაითებისა და მერკიტების ტომები. შემდეგ, 1206 წელს, მდინარე ონონის ნაპირზე მოიწვია ყრილობა. ყრილობაზე მონაწილეობდნენ მას დაქვემდებარებული ტომების ბელადებიც. ამ ყრილობაზე თემუჩინი **აირჩიეს დიდ ყაენად** და **მიიღო სახელი ჩინგიზი** (1206–1227). ამგვარად, საფუძველი ჩაეყარა დიდ მონღოლთა საყაენოს. ქალაქი **ყარაყორუმი** ახალი სახელმწიფოს დედაქალაქად აირჩიეს.

3 რაში მდგომარეობდა ჩინგიზ-ყაენის როლი მონღოლთა სახელმწიფოს შექმნაში?

მონღოლების წარმატებები, ძირითადად, დაკავშირებული იყო ჩინგიზ-ყაენის მახვილ გონებასთან და შორსმჭვრეტელ თვისებებთან. ის ყველაზე რთულ მომენტებშიც ამყარებდა თავის ხელისუფლებას დამოუკიდებელი და სწორი გადაწყვეტილებებით.

მონღოლთა კანონთა კრებულს ეწოდება "დიდი იასა"ან "ჩინგიზ-ყაენის კანონები". ჩინგიზ-ყაენი ამ კანონებში მიზნად ისახავდა დაპყრობილი ხალხების სამართლიანად მართვას.

Leyline

ყველას უნდა დაედო ფიცი "დიდ იასაზე"და უპირობოდ დამორჩილებოდა მის ყველა მუხლს. ეს კანონები წმინდად ითვლებოდა, დაუმორჩილებლები კი სიკვდილით ისჯებოდნენ. "დიდი იასას" თანახმად, ყველა დაპყრობილი მიწა და ხალხი ყაენის გვარის საკუთრებად ითვლებოდა. ამ მიზეზით, ჩინგიზ-ყაენმა ისინი თავის ვაჟებს შორის **ულუსებად** დაყო.

დ **განმარტეთ კანონთა კრებულის, სახელად "დიდი იასას" მნიშვნელობა.**

3 **როგორ იყო აგებული სამხედრო ორგანიზაცია მონღოლებთან?**

რკინის მუზარადი, რომელიც მონღოლ მეომარს ეკუთვნოდა

ჩინგიზ-ყაენს ფართო დაპყრობების დასაწყებად ძლიერი ლაშქარი უნდა შეექმნა. ამ მიზნით, დაპყრობილი ტერიტორიები, იქიდან გამოგზავნილი ჯარისკაცების რაოდენობის შესაბამისად, იყოფოდა ათეულებად, ასეულებად, ათასეულებად და თუმენებად. ჩინგიზ-ყაენი ტომების ბელადებსა და ნოინებს ლაშქარში ჯარისკაცების რაოდენობის მიხედვით ანიჭებდა **ათისთავის, ასისთავისა** და **ათასისთავის** წოდებებს. ლაშქარში მკაცრი დისციპლინის დამყარებით, ის სიკვდილით სჯიდა კანონების დამრღვევებს.

მონღოლთა დაპყრობები

მას შემდეგ, რაც ჩინგიზ-ყაენმა გააერთიანა ვრცელ ველებზე მცხოვრები ყველა მონღოლური და თურქული ტომი, მან დაიწყო დაპყრობები. შეიქმნა მმართველობის სისტემა, რომელსაც გააჩნდა მკაცრი დისციპლინის მქონე ძლიერი სამხედრო ორგანიზაცია. ჯარში შუბით შეიარაღებული მოხერხებული ცხენოსანი რაზმები წარმოადგენდნენ ლაშქრის მთავარ დამრტყმელ ძალას. ჯერ ირჩევდნენ დასაპყრობ ტერიტორიას, ზუსტი სადაზვერვო ინფორმაციის შესაგროვებლად იქ აგზავნიდნენ სავაჭრო ქარავნებს. ტერიტორიის შესახებ ზუსტი ინფორმაციის მიღების შემდეგ, ეწყობოდა მოულოდნელი თავდასხმა. დაპყრობილ ტერიტორიებზე იწვებოდა ქალაქები და სოფლები, ხოცავდნენ მოსახლეობას. ეს კეთდებოდა შიშის გასაჩენად და ახალი ტერიტორიების დაპყრობის დროს მოსახლეობის წინააღმდეგობის ჩასახშობად.

მომთაბარე მონღოლების შემოსევები დასახლებულ სამიწათმოქმედო რეგიონებში დამანგრეველი იყო. ჩინგიზ-ყაენმა და მისმა სარდლებმა ტრადიციად აქციეს სამიწათმოქმედო რეგიონებისა და ქალაქების დანგრევა, მათი მოსახლეობის განადგურება. ეს დაკავშირებული იყო იმასთან, რომ დაპყრობილი ვრცელი ტერიტორიების კონტროლის ქვეშ შესანარჩუნებლად მონღოლთა სამხედრო ძალები საკმარისი არ იყო.

ისინი სასტიკად ახშობდნენ დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე წარმოქმნილ აჯანყებებს და არ ერიდებოდნენ მასობრივ ხოცვა-ჟლეტას. მასობრივი ხოცვა-ჟლეტის მთავარი მიზანი იყო ხალხების დაშინება, დასუსტება და ადგილებზე დამპყრობლების წინააღმდეგ აჯანყებების თავიდან აცილება. თავდასხმის ქვეშ მყოფ ქვეყნებში ფეოდალური დაქუცმაცებულობის ბატონობა, შინაომები და ერთიანი სახელმწიფოს არარსებობა აადვილებდა მონღოლთა ლაშქრობებს. ხშირად ამ ქვეყნების მმართველებს ეშინოდათ,

მონღოლი მხედარი

მონღოლები ლაშქრობისას

განმარტეთ ჩრდილოეთ ჩინეთის დაპყრობის მნიშვნელობა.

შეეიარაღებინათ მასები და მონღოლების წინააღმდეგ გაეგზავნათ ისინი. 1207 წელს ჩინგიზ ხანმა გამარჯვებით დაიწყო სამხედრო ლაშქრობები. მან ციმბირი და აღმოსავლეთ თურქესტანი დაიმორჩილა. 1215 წელს, ქალაქ პეკინის დაპყრობის შემდეგ, დასრულდა ჩრდილოეთ ჩინეთის დაპყრობა.
შემდეგ მან თავისი ძირითადი სამხედრო ძალები დასავლეთისკენ მიმართა და ხორეზმშაჰთა სახელმწიფოს შეუტია. მიუხედავად იმისა, რომ ხორეზმშაჰ მუჰამადს ძლიერი არმია ჰყავდა, მან მონღოლებთან ღია ბრძოლას თავი აარიდა. იგი უფრო მეტად ქალაქების ციხე-კოშკების

ჩინგიზ ყაენი პეკინში შესვლისას

Layine

ხვარაზმშაჰებთან ბრძოლა

ბათუ-ყაენი

გამაგრებას ანიჭებდა მნიშვნელობას და წინააღმდეგობას ამ გზით ცდილობდა.

ჩინგიზ-ყაენმა ხვარაზმშაჰთა სახელმწიფოს მთავარ ცენტრებზე ერთდროულად იერიშის მიტანის მიზნით, ჯარი რამდენიმე ნაწილად დაყო. ქალაქები დაინგრა, მოსახლეობის ნაწილი კი მახვილს შეეწირა. ხვარაზმშაჰ მუჰამედი მონღოლებისთვის წინააღმდეგობის გაწევას ვერ ახერხებდა. მისი გარდაცვალების შემდეგ, წინააღმდეგობას მისი ვაჟი ჯალალედინი ხელმძღვანელობდა, თუმცა მანაც ვერ მიაღწია სასურველ შედეგს. ამგვარად, **ცენტრალური აზიის დაპყრობა დასრულდა.**

ჯებესა და სუბუდაის ლაშქრები ირანში გავლით სამხრეთ კავკასიისკენ დაიძრნენ. ამ ლაშქრობებმა მომავალში სამხრეთ კავკასიის დაპყრობას საფუძველი ჩაუყარა. მონღოლებმა 1222 წელს დერბენდის უღელტეხილზე გადმოსვლით ჩრდილოეთ კავკასიას მიაღწიეს. აქ მათ გაერთიანებული რუს-ყივჩაღთა ჯარები დაამარცხეს და თავის ქვეყანაში დაბრუნდნენ.

1235 წელს, დედაქალაქ ყარაყორუმში გამართულ გურულთაიზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება რუსეთის ველებისა და ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ლაშქრობების განხორციელების შესახებ. ჩინგიზ-ყაენის შვილიშვილის, ბათუ-ყაენის მეთაურობით მონღოლთა ლაშქარმა ვოლგის ბულგარები და რუსი მთავრები დაიმორჩილა, შეიჭრა პოლონეთში, უნგრეთსა და ჩეხეთში.

დიდი მონღოლთა ყაენის გარდაცვალების ამბავმა ბათუ-ყაენის ლაშქრობების შეჩერება გამოიწვია. ხანგრძლივი ლაშქრობების შედეგად ჯარისკაცების დაღლილობამ, სამხედრო რიგების დარღვევამ და დაპყრობილ ტერიტორიებზე განვითარებული სახალხო აჯანყებებმა ბათუ-ყაენს ევროპის სიღრმეში წინსვლაში ხელი შეუშალა.

ყუბილაი-ყაენის მმართველობის პერიოდში დედაქალაქი ყარაყორუმიდან პეკინში გადაიტანეს. მან სამხრეთ ჩინეთი დაიპყრო და 1271 წელს თავი ჩინეთის იმპერატორად გამოაცხადა, რითაც **იუანის დინასტიას** ჩაუყარა საფუძველი.

XIV ასწლეულის დასაწყისში მონღოლთა იმპერია დაიშალა და მის უზარმაზარ ტერიტორიაზე დამოუკიდებელი ფეოდალური სახელმწიფოები წარმოიშვა. მოგვიანებით, ჩინეთში გაჩაღებული აჯანყების შედეგად, იუანის მონღოლთა დინასტიის მმართველობას ბოლო მოეღო.

3 **მონღოლთა დაპყრობებით მოცულ ტერიტორიებზე რომელი თანამედროვე სახელმწიფოები არსებობს?**

ოქროს ურდოს სახელმწიფო

ჩინგიზ-ყაენმა ჯერ კიდევ სიცოცხლეშივე გაუნაწილა თავისი დიდი იმპერია ვაჟებს. მონღოლეთიდან დასავლეთით მდებარე ტერიტორიები ჩინგიზის უფროს ვაჟს, ჯუჩის, გადაეცა. ჯუჩის გარდაცვალების შემდეგ, იგი მისმა ვაჟმა, ბათუ-ყაენმა შეცვალა. ბათუ-ყაენის მეთაურობით დაიწყო მონღოლთა დასავლეთისკენ, ევროპისაკენ ლაშქრობები. შედეგად, XIII ასწლეულისის 40-იან წლებში ახალ სახელმწიფოს ჩაეყარა საფუძველი. ისტორიულ წყაროებში "ჯუჩის ულუსის", "დასავლეთის ულუსის" სახელით მოხსენიებული ეს სახელმწიფო, რუსულ წყაროებში "ოქროს ურდოდ" იწოდა. ეს სახელი ხანის კარვის საფარველის ოქროსფერს უკავშირდება. ევროპელებმაც ეს სახელწოდება რუსებისგან გადმოიღეს. სახელმწიფოს პირველი დედაქალაქი იყო ქალაქი **სარაი-ბათუ**, რომელიც ვოლგის (იდილის) ნაპირზე იყო დაარსებული.

XIII ასწლეულის მეორე ნახევარში ოქროს ურდოს სავარაუდო ტერიტორია

ოქროს ურდოზე დამოკიდებული რუსული სამთავროების ტერიტორია

Layine

3 როგორ იყო აგებული მმართველობის სისტემა ოქროს ურდოს სახელმწიფოში?

3 ვინ შეადგენდა ოქროს ურდოს მოსახლეობის ძირითად ნაწილს?

თავდაპირველად დიდ მონღოლთა იმპერიაზე დამოკიდებული ოქროს ურდო, XIII ასწლეულის ბოლოსთვის სრულიად დამოუკიდებლად განაგებდა თავის საქმეებს. ფართო ტერიტორიების მფლობელი ოქროს ურდოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხთა შორის უმრავლესობას თურქები შეადგენდნენ. უმცირესობაში მყოფი მომთაბარე მონღოლები თურქულ ტომებში აირია და მათი ენა, წეს-ჩვეულებები აითვისეს. **ოზბეკ-ყაენის მმართველობის პერიოდში ისლამის რელიგიის მიღებასთან ერთად, ქვეყანაში გათურქების პროცესი დასრულდა.**

ოქროს ურდოს სახელმწიფოს სათავეში მმართველი იდგა, რომელსაც **დიდი ყაენი** ეწოდებოდა. მის გვერდით, სათათბირო ორგანოს სახით, უზენაესი მეჯლისი მოქმედებდა. გადასახადებს **ბასკაკების** სახელით ცნობილი მოხელეები აგროვებდნენ. ოქროს ურდოში ფეოდალური ურთიერთობები ყალიბდებოდა. ფეოდალთა შორის ზოგიერთი პრივილეგირებული პირი - **თარხანები** - გადასახადებისაგან გათავისუფლების შესახებ დიდი ყაენისაგან იარლიყს (ბრძანებას) იღებდნენ.

მოხელეთა თვითნებობა, გადასახადების სიმრავლე ხალხის უკმაყოფილებას ზრდიდა. გაჩაღებული აჯანყებები მონღოლთა ბატონობას ურტყამდა და დაქვემდებარებულ ქვეყნებში დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვას ბიძგს აძლევდა.

ოქროს ურდოს დასუსტებით ისარგებლეს რუსმა მთავრებმა, მოსკოვის მთავრის გარშემო გაერთიანდნენ და 1380 წელს კულიკოვოს ველზე სარდალი მამაი-ყაენი სასტიკად დაამარცხეს.

ემირ თემურის დახმარებით ტახტზე ასული თოხთამიშ-ყაენმა 1382 წელს მოსკოვი აიღო. მისი მტაცებლური ლაშქრობები თემურზე დამოკიდებული ქვეყნების წინააღმდეგ, ორ სახელმწიფოს შორის შეტაკებების მიზეზი გახდა. 1395 წელს **მდინარე თერგის** ნაპირზე გამართულ ბრძოლაში თოხთამიშ-ყაენი დამარცხდა. ოქროს ურდოს აღმოსავლეთი პროვინციები თემურიდების სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდა. ამ მოვლენების შემდეგ ოქროს ურდო ვეღარ აღდგა და მისი დაშლა დაიწყო. XV საუკუნეში ოქროს ურდოს შემადგენლობიდან რამდენიმე ტერიტორია გამოიყო. ყაზანის, ასტრახანის, ციმბირის, ყირიმის სახანოები და ნოღაის ურდო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოები, წარმოიშვნენ.

მონღოლი მეომარი

3 რა ფაქტორებმა განაპირობა ოქროს ურდოს დასუსტება?

ოქროს ურდოს დაკარგული ძლევამოსილების აღდგენის მცდელი აჰმედ-ყაენი 1480 წელს მოსკოვის სამთავროს წინააღმდეგ სალაშქროდ გაემართა. მდინარე უგრის ნაპირთან რუსი მთავრების გაერთიანებულ ძალებსა და აჰმედ-ყაენის ლაშქარს შორის დაპირისპირება მოხდა. თუმცა ვერცერთმა მხარემ ვერ გაბედა მდინარის გადალახვა. აჰმედ-ყაენი უკან დაბრუნდა და მოგვიანებით მოკლეს. ისტორიაში **"უგრაზე დგომის"** სახელით ცნობილი ამ მოვლენის შედეგად, მოსკოვის სამთავროს ვასალური დამოკიდებულება ოქროს ურდოზე დასრულდა. ***შინაგანი აშლილობისა და შიდა ომების შედეგად, ოქროს ურდოს სახელმწიფო XVI ასწლეულის დასაწყისში დაიშალა.***

დ რუკაზე განსაზღვრეთ ოქროს ურდოს დაშლის შედეგად წარმოქმნილი თურქული სახანოების ტერიტორია.

მოსკოვის სამთავრო XV ასწლეულში

მოსკოვის სამთავრო

XIV ასწლეულის დასაწყისში მოსკოვის სამთავრო აღმავლობის პერიოდს განიცდიდა. რუსული მიწებიდან ხარკის აღებით დაკმაყოფილებული ოქროს ურდოს ყაენები, საჭიროების გაჩენის გარეშე, რუსულ ქალაქებზე თავდასხმებს არ ახორციელებდნენ. ამიტომ, ქალაქის ცხოვრებაში აღმავლობა მოხდა, სავაჭრო ცხოვრება აღდგა. მოსკოვი დიდ საამქრო და სავაჭრო ცენტრად გადაიქცა. გარე საფრთხეებიც ქვეყნის გაერთიანებას აუცილებელს ხდიდა. თავის დროზე ოქროს ურდოს ყაენებისგან ხარკის შესაგროვებლად იარლიყის მიმღები მოსკოვის სამთავრო, ხარკს დროულად აღარ იხდიდა. ოქროს ურდოს სახელმწიფოს თემურიდებთან ბრძოლაში დასუსტებამ, მოსკოვის სამთავროს გაძლიერების პირობები შექმნა. XV ასწლეულის მეორე ნახევარში, მთავარ ივანე III-ის დროს, რუსი მთავრების მოსკოვის სამთავროს გარშემო გაერთიანება დაჩქარდა. ეს პროცესი XVI ასწლეულის დასაწყისში დასრულდა. ერთიანი რუსეთის სახელმწიფო წარმოიშვა. 1533 წელს **ივანე IV** დიდი მთავრის ტახტზე ავიდა. მან 1547 წელს მეფის (ცარის) ტიტული მიიღო. **ივანე IV მრისხანე** პირველი რუსი მეფე გახდა.
მან ცენტრალიზებული მმართველობის სისტემა შექმნა და სახელმწიფო აპარატი გააუმჯობესა, სამხედრო სფეროში წესრიგი დაამყარა. ცენტრალურ ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსული ძალები გაანადგურა.
რუსეთის დაპყრობით გეგმებში ვოლგისპირეთის ტერიტორიების დაუფლება მთავარ მიზნად ითვლებოდა. თურქულ სახანოებში მიმდინარე დაპირისპირებების გამოყენებით, რუსეთმა XVI ასწლეულის მეორე ნახევარში ყაზანის, ასტრახანისა და ციმბირის სახანოები დაიპყრო. ამგვარად, რუსეთმა აღმოსავლეთის ქვეყნებთან პირდაპირი სავაჭრო ურთიერთობების დამყარების შესაძლებლობა მოიპოვა.

ივანე მრისხანე

3 **რა მნიშვნელობა ჰქონდა თურქული სახანოების დაპყრობას რუსეთის სახელმწიფოსთვის?**

Preview

13 დელის სასულთნო. დიდ მოგოლთა სახელმწიფო

ქუთბედდინ აიბაქი, სულთან ელედდინი, პანიპათის ბრძოლა, ბაბურ-შაჰი, აქბარ-შაჰი



ქუთბ-მინარი

ჩრდილოეთ ინდოეთში თეთრი ჰუნების, ღაზნევიდების და სხვა თურქული სახელმწიფოების ლაშქრობების შედეგად, რეგიონში თურქული ტომების პოლიტიკური უპირატესობა უზრუნველყოფილი იყო. ამ უპირატესობამ შემდგომ ხანაში ჩრდილოეთ ინდოეთში თურქული სახელმწიფოების – **დელის სასულთნოსა** და **დიდ მოგოლთა სახელმწიფოების** – გაჩენის პირობები შექმნა. ინდოეთის დიდი ნაწილი, განსაკუთრებით ჩრდილოეთი, VI ასწლეულიდან XIX ასწლეულის შუა ხანებამდე თურქების მმართველობის ქვეშ იმყოფებოდა.

3 რა იყო ჩრდილოეთ ინდოეთში თურქ-მუსულმანური მოსახლეობის ზრდის მიზეზი?

დელის სასულთნო

სასულთნო 1206 წელს ყივჩაღი თურქის, **ქუთბედდინ აიბაქის,** მიერ დაარსდა. აიბაქი ქვეყანაში თურქი მოსახლეობის რაოდენობის გაზრდისა და თურქული ენის გაბატონებისაკენ მიისწრაფოდა. ისლამის რელიგიის ინდოეთში ფართო გავრცელებაში მას დიდი დამსახურება ჰქონდა.

3 რა პირობებში წარმოიშვა დელის სასულთნო?

აიბაქს მემკვიდრე არ ჰყავდა, ამიტომ მისი გარდაცვალების შემდეგ ხელისუფლებაში მისი სიძე ელთუთმუში მოვიდა. მან ჩრდილოეთ ინდოეთში რამდენიმე ტერიტორიის შეერთებით თავისი პოზიცია გაამყარა. მონღოლთა საფრთხისგან თავის დაღწევა მოხერხდა. ელთუთმუშმა მონღოლთა თავდასხმებისგან თავის გადარჩენის მსურველი თურქული ტომების დიდი რაოდენობა მიიღო და ჩრდილოეთ ინდოეთში თურქული კულტურული ცხოვრების განგრძობადობა უზრუნველყო. აბასიანთა ხალიფის მიერ ინდოეთის სულთნად აღიარებამ მისი ხელისუფლება კიდევ უფრო გაამყარა.

დელის სასულთნოს მონეტები

(აიბაქის გარდაცვალების სცენა)

ს თავისი დროის დიდ დამპყრობელთაგანი აიბაქი ინდოეთის ჩრდილოეთ ტერიტორიებს დაეუფლა. გულუხვი, სამართლიანი, მფარველი მმართველი აიბაქი ამასთანავე ხელს უწყობდა კულტურის განვითარებასაც, ინდოეთში ააშენებინა მრავალი მეჩეთი და მავზოლეუმი.
სხვა თურქი სულთნების მსგავსად,მასაც სპორტი უყვარდა. აიბაქი 1210 წელს ჩოვგანის (პოლოს) თამაშის დროს ცხენიდან გადმოვარდა, რაც მისი სიკვდილით დასრულდა.

ელთუთმუშმა გააძლიერა ცენტრალური ხელისუფლება, შემოიღო იქთას სისტემა და რეგულარული არმია შექმნა. მისი სახელით მოჭრეს მონეტები.
XIII ასწლეულის ბოლოს ხელისუფლებაში მოსულმა ელეედინმა წარმატებული სამხედრო ოპერაციები ჩაატარა და სამხრეთ ინდოეთიც დაიმორჩილა. **სულთანმა ელეედინმა** საგადასახადო სისტემა მოაწესრიგა, ქვეყნის ეკონომიკა დაასტაბილურა და მონღოლთა საფრთხე მთლიანად აღკვეთა.
XIV ასწლეულის ბოლოს დელის სასულთნოს დასუსტებით ისარგებლა **ემირ თემურმა** და მასზე იერიში მიიტანა. ემირ თემურის მიერ დელის გაძარცვამ ქვეყანაში მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა. ამ იერიშის შემდეგ რამდენიმე ტერიტორია დელის სასულთნოს გამოეყო და დამოუკიდებელი გახდა.

3 **სულთან ელეედინის რომელმა ნაბიჯებმა განამტკიცა დელის სასულთნო?**

დ **განსაზღვრეთ XIV ასწლეულის ბოლოს დელის სასულთნოს დასუსტების შიდა და გარე მიზეზები.**

ამარავატის სკოლის რელიეფი. II საუკუნე

Layne

დელის სასულთნო
დიდ მოგოლთა სახელმწიფო
დელი
დელის სასულთნო
დიოგირი
ინდოეთის ოკეანე

Layine

დიდ მოგოლთა სახელმწიფო

XVI ასწლეულის დასაწყისში ინდოეთში არსებობდა დასუსტებული დელის სასულთნო და რამდენიმე დამოუკიდებელი მმართველი. ემირ თემურის შთამომავალი ბაბური **1526 წელს** დელის სასულთნოს თავს დაესხა. გადამწყვეტი ბრძოლა **პანიპათის** მახლობლად გაიმართა. ბაბურმა გაიმარჯვა და ბოლო მოუღო დელის სასულთნოს არსებობას. ინდოეთში **დაარსდა ახალი თურქული სახელმწიფო – დიდ მოგოლთა სახელმწიფო**. **აგრა** გახდა ახალი სახელმწიფოს დედაქალაქი. ბაბურ-შაჰმა რამდენიმე ინდოელი მმართველი დაამარცხა და ინდოეთში თავისი ხელისუფლება გაამყარა.

3 **რა პირობებში წარმოიშვა დიდ მოგოლთა სახელმწიფო?**

ბაბური

S მისი "ბაბურ-ნამე" იულიუს კეისრის "მემუარებზე" უფრო სერიოზული და გულწრფელია. ბაბური მტრების ნაკლოვანებების ჩამოთვლისას, მათ უპირატესობებსაც აღნიშნავდა და მამაცურად იქცეოდა. მიუხედავად იმისა, რომ იგი ორი დიდი სარდლის – ჩინგიზ-ყაენისა და ემირ თემურის – მემკვიდრე იყო, მან საკუთარი ინტელექტითა და მოღვაწეობით ინდოეთში ისეთი სამეფო შექმნა, რომ საბოლოოდ ამ თურქულმა სამეფომ ინდოეთში მუსულმანი თურქებისა და ბუდისტი ინდუსების ნაზავისგან ახალი ხალხის – პაკისტანელი ხალხის – ისტორიულ ასპარეზზე გამოსვლა გამოიწვია.

აქბარ-შაჰის მმართველობის წლები (1556–1605) ითვლება დიდ მოგოლთა იმპერიის უძლიერეს პერიოდად. მან პირველ რიგში უზრუნველყო შიდა სტაბილურობა. ინდოეთში განმტკიცდა რელიგიური შემწყნარებლობა, ინდუსებსა და მუსულმანებს შორის უფლებრივი თანასწორობა უზრუნველყოფილ იქნა. აქბარ-შაჰი წარმატებულ საგარეო პოლიტიკას ატარებდა, მან კარგი ურთიერთობა დაამყარა ოსმალეთის, სეფიანთა, ოზბეკთა და პორტუგალიის სახელმწიფოებთან.

აქბარ-შაჰი

3 **შეიძლება თუ არა აქბარ-შაჰი რეფორმატორ მმართველად ჩაითვალოს? დაასაბუთეთ თქვენი აზრი.**

Layine

14 ოსმალეთის იმპერია

კაიის ტომი, ოსმან-ღაზი, სულთან მურად I, სტამბოლი, ანკარის ბრძოლა, სულეიმან კანუნი, იენიჩარი

ანატოლიაში თურქების ჩასახლება კიდევ უფრო დაჩქარდა ალფ-არსლანის მალაზგირთის ბრძოლაში (1071) გამარჯვების შემდეგ. დიდი სელჩუკთა იმპერიის დაშლის შედეგად წარმოქმნილ სახელმწიფოთაგან ერთ-ერთი იყო **ანატოლიის სელჩუკთა სასულთნო.** XIII ასწლეულის I ნახევარში მონღოლთა ხეწოლით, ცენტრალურ აზიასა და აზერბაიჯანში მცხოვრები ზოგიერთი თურქული ტომი ამ სახელმწიფოს ტერიტორიას აფარებდა თავს. ანატოლიის სელჩუკი სულთნები ამ ტომებს, ძირითადად, ბიზანტიასთან სასაზღვრო ტერიტორიებზე ასახლებდნენ. ასეთი ტომებიდან ერთ-ერთი იყო **კაიის** ტომი. სოიუდი მათ გამოსაზამთრებლად გადაეცათ.

ოსმან-ღაზი

ანატოლიის სელჩუკთა სასულთნოს დასუსტების შედეგად, კაიის ბელადმა ოსმან-ღაზიმ 1302 წელს ახალ სახელმწიფოს ჩაუყარა საფუძველი. სახელმწიფოს მისი დამაარსებლის სახელი ეწოდა - **ოსმალეთი**. ოსმანის ავტორიტეტის ზრდაში დიდი როლი ითამაშა მისმა კეთილგანწყობილმა დამოკიდებულებამ ხელოსნებისა და ქრისტიანი მოსახლეობის მიმართ.

3 რა მნიშვნელობა ჰქონდა ოსმალეთის სახელმწიფოს წარმოქმნას?

ოსმანის შემდეგ ხელისუფლებაში მისი ვაჟი **ორხან-ღაზი** მოვიდა. მან დედაქალაქი სოიუდიდან ქალაქ ბურსაში გადაიტანა, რომელიც ჯერ კიდევ მამამისის დროს იყო დაპყრობილი. ბურსა გახდა ოსმალეთის დედაქალაქი. ბურსას ალყისა და აღების დროს, აზერბაიჯანის ქალაქ ხოიში მცხოვრები გეიქლი (ირმებიანი) ბაბაც თავის მომხრეებთან ერთად ოსმალთა არმიის დასახმარებლად მივიდა.

ორხნ-ღაზი

ორხან-ღაზის ინიციატივა საკუთარი ტერიტორიების გაფართოების შესახებ, ბიზანტიამ შეშფოთებით მიიღო. მალთეფეს მახლობლად, ოსმალთა არმია და ბიზანტიის ჯარი პირისპირ დადგნენ. ბრძოლის ბედი ოსმალთა არმიაში მყოფმა მშვილდოსნებმა გადაწყვიტეს. ბიზანტიელთა დამარცხებით ორჰან ღაზიმ უზრუნველყო თავისი სახელმწიფოს ტერიტორიის

Lavine

გასასვლელი ჩრდილოეთით
შავ ზღვაზე, ხოლო სამხრეთით
ეგეოსის ზღვის სანაპიროებზე. მან
ოსმალეთის სახელმწიფოს ტერიტორია
ადმინისტრაციულად დაყო ფაშალიკებად და
სანჯაყებად.

ოსმალეთის მხედრები

შეაფასეთ ორჰან ღაზის მოღვაწეობა.

აღწერეთ ოსმალეთის მხედრები.

ორჰან ღაზის ბურსაში შესვლა ქალაქის დაპყრობის შემდეგ

ოსმალეთის სახელმწიფოს აღზევება

ორჰან ღაზის შემდეგ ხელისუფლებაში მოსული მისი ვაჟი **მურადი** სულთნად გამოცხადდა. მისი მმართველობის პერიოდში დედაქალაქი გადაიტანეს ედირნეში. **1371 წელს** მცირერიცხოვანმა ოსმალურმა არმიამ **ჩირმენის ბრძოლაში** დაამარცხა ბალკანეთის ნახევარკუნძულის დაუფლების მცდელი სერბეთის სამეფოს ჯარი. სერბი ჯარისკაცების დიდი ნაწილი უკან დახევისას მდინარეში დაიხრჩო.

სერბების ჩირმენში მარცხისთვის შურისძიების მცდელობა უშედეგოდ დასრულდა. მათ 1389 წელს **კოსოვოს ბრძოლაში** უფრო მძიმე მარცხი განიცადეს.

მურად I-ის შემდეგ ხელისუფლებაში მოვიდა მისი ვაჟი, სულთან I ილდირიმ ბეიაზიდი. მან **ნიკოპოლის** ბრძოლაში ჯვაროსანთა გაერთიანებული ძალების დამარცხების შემდეგ **დაიპყრო ბულგარეთი** და კიდევ უფრო გააძლიერა ოსმალეთის პოზიციები ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. ილდირიმ ბეიაზიდ I- ის ძირითადი ყურადღება მიმართული იყო ბიზანტიის დედაქალაქის, კონსტანტინოპოლის აღებისკენ. ამ მიზნით მან ააგო მრავალი სიმაგრე და ციხესიმაგრე კონსტანტინოპოლის გარშემო. თუმცა ოსმალეთის სახელმწიფომ განიცადა ამირ თემურის თავდასხმა. 1402 წელს ანკარის მახლობლად გამართულ ბრძოლაში ამირ თემურმა გაიმარჯვა ოსმალებზე. რომის პაპმა, ამ ბრძოლაში ოსმალეთის დამარცხებით გახარებულმა, გასცა ბრძანება ეკლესიის ზარების უწყვეტად 3 დღით რეკვის შესახებ.

სახელმწიფოს ძლიერების აღმდგენმა **სულთან მეჰმედ II- მ 1453 წელს აიღო კონსტანტინოპოლი.** ქალაქს სახელი გადაერქვა, ეწოდა **ისტანბული** და დედაქალაქი იქ გადავიდა. ამ გამარჯვების შემდეგ დამპყრობლის - **ფათიჰის** წოდება მოხვეჭილმა მეჰმედ II-მ როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთში დაიპყრო ფართო ტერიტორიები.

3 **რომელი სახელმწიფოები იყვნენ ოსმალეთის სახელმწიფოს მოწინააღმდეგეები ბალკანეთში?**

კონსტანტინოპოლის ალყა

კონსტანტინოპოლის დაპყრობა

სულთან სელიმი

სულთან სულეიმანი

სულთან სელიმის თავდასხმის მთავარი სამიზნე გახდა აღმოსავლეთის თურქ-მუსულმანური სახელმწიფოები - აზერბაიჯანის სეფიანთა სახელმწიფო და ეგვიპტის მამლუქთა სასულთნო. აზერბაიჯანში ფეხის მოკიდების ვერ შემძლე სელიმ I-მა, ეგვიპტე ოსმალეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შეიერთა.
სულთან სულეიმანის დროს ოსმალეთის ტერიტორიები კიდევ უფრო გაფართოვდა. ***ისტორიაში "დიდებულის" და "კანონმდებლის" სახელებით ცნობილი სულთან სულეიმანის მმართველობის წლებში ოსმალეთმა მიაღწია თავისი ძლიერების მწვერვალს.*** ამ პერიოდში ოსმალები შეიჭრნენ ევროპის შიგნით და დაიპყრეს მნიშვნელოვანი ტერიტორიები ჩრდილოეთ აფრიკაში.

3 **როგორ ფიქრობთ, რატომ იყო ცნობილი სულთან სულეიმანი "კანონმდებლის" სახელით?**



Layine

ოსმალეთის სახელმწიფოს მართვა

იენიჩერი

ოსმალეთის სახელმწიფოში მთელი ხელისუფლება ეკუთვნოდა სულთანს. სულთნის შემდეგ სახელმწიფოში **მეორე პირი იყო დიდი ვეზირი.** ამ თანამდებობაზე ინიშნებოდა სულთნის ახლო ნათესავი. დიდი ვეზირი აკონტროლებდა ვილაიეთების მმართველობას, გადასახადების აკრეფას და ინახავდა სულთნის ბეჭედს. უმაღლეს სათათბირო საბჭოს ეწოდებოდა **დივანი.** ფინანსურ საქმეებს ზედამხედველობდა **დეფთერდარი** (ხაზინადარი). მოსახლეობა იყოფოდა ორ ნაწილად: მმართველებად და მართულებად. მმართველებში იგულისხმებოდნენ ისინი, ვინც იკავებდნენ თანამდებობებს სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებსა და ადმინისტრაციაში. მართულებს კი საერთო სახით რაიათი ეწოდებოდათ.

ოსმალეთის შეიარაღებულ ძალებში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ მსუბუქად შეიარაღებული **მხედრები** და **ქვეითი იენიჩრები.** იანიჩრები ძირითადად ობლად დარჩენილი ბავშვებისგან ფორმირდებოდნენ. ისინი სპეციალურ სამხედრო სკოლებში გადამზადების შემდეგ შედიოდნენ იანიჩართა კორპუსში.

მიწების უმეტესობა ეკუთვნოდა სახელმწიფოს. ჯარისკაცებისთვის, წვრილი სახელმწიფო მოხელეებისთვის გაცემულ მიწის ნაკვეთებს ეწოდებოდა **თიმარი**. XIV ასწლეულის ბოლოდან დაწყებული, სამხედრო მეთაურებსა და მაღალჩინოსნებზე დაიწყეს უფრო მსხვილი მიწის ნაკვეთების გაცემა, რომელსაც ეწოდებოდა ***ზიამეთი.***

3 **როგორ ფიქრობთ, რატომ აძლევდნენ სამხედრო მეთაურებსა და მაღალჩინოსნებს უფრო მსხვილ მიწის ნაკვეთებს?**

დ **შეადგინეთ ოსმალეთის სახელმწიფოს ისტორიის დროის ღერძი.**



Lawine

ოსმალეთის სახელმწიფო
დედაქალაქი
ქალაქი
რუმელია
ედირნე
სოფიედასა
ბურსა
ანკარა
ანატოლია
შავი ზღვა
ვასვიის ზღვა
ურფა
ხმელთაშუა ზღვა
ეგვიპტე
წითელი ზღვა
სუეცის ყურე

15 თემურიდების სახელმწიფო

თემური, შაჰრუხი, ჰუსეინ ბაიგარა, შეიბანიდები

განიხილეთ ამირ ჰუსეინსა და თემურს შორის არსებული ალიანსი.

თემურიდების სახელმწიფოს დამაარსებელი იყო თურქული სამყაროს დიდი დამპყრობელი, **ამირ თემური.** თურქესტანში დაბადებული თემური წარმოშობით ჩაღათაის ულუსის ბარლასის ტომიდან იყო. მან ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში, სამხედრო საქმის კარგად შესასწავლად, იმსახურა სამარყანდის მმართველთან. თემური მონაწილეობდა მნიშვნელოვან სამხედრო ოპერაციებში და დიდი დამსახურება ჰქონდა მტრის დამარცხებაში. ამ დამსახურებისთვის თემური დაჯილდოვებულიც კი იყო.
სამარყანდის მმართველის გარდაცვალების შემდეგ ხელისუფლებაში მოვიდა მისი ვაჟი, ამირ ჰუსეინი. მანაც გადაწყვიტა სამხედრო ოპერაციებში თემურის შესაძლებლობების გამოყენება. ამისთვის იგი ალიანსში შევიდა თემურთან.
თემურისა და ამირ ჰუსეინის გაერთიანებული ძალები დამარცხდნენ მონღოლური წარმოშობის ჩაღათაის მმართველთან ბრძოლაში. ჩაღათაის მმართველის მცდელობა, დაეპყრო სამარყანდი და იქ გამაგრებულიყო, წარუმატებლად დასრულდა. აჯანყებულმა მოსახლეობამ მონღოლები ქალაქიდან განდევნა. ამირ ჰუსეინმა და თემურმა ისარგებლეს ამით, შევიდნენ სამარყანდში და დაიწყეს ქვეყნის ერთობლივი მართვა. თუმცა, დიდი ხანი არ გასულა, მოკავშირეებს შორის უთანხმოება ჩამოვარდა და 1370 წელს ეს ბრძოლა დასრულდა თემურის გამარჯვებით. მან მოიწვია ყრილობა და მიიღო **"ამირის"** ანუ **"თურანის ამირის"** ტიტული. მან საფუძველი ჩაუყარა ახალ სახელმწიფოს - **თემურიდების სახელმწიფოს,** რომლის დედაქალაქი იყო **სამარყანდი**.
თემურის მთავარი მიზანი იყო ძლიერი სახელმწიფოს შექმნა და ფეოდალური დაქუცმაცებულობის აღმოფხვრა. ძლიერი ამირების დახმარების მოსაპოვებლად საჭირო იყო ახალი მიწები და სამხედრო ნადავლი. ამიტომაც დაიწყო მან დიდი ომები.
თემური კარგად ხვდებოდა, რომ ძალის გზით შექმნილი სახელმწიფოს დაცვა მხოლოდ კანონებით შეიძლებოდა. ამისთვის მან შეადგინინა კანონთა კრებული, სახელწოდებით **"თემურის კანონები".**

Layine

ამირ თემურის დაპყრობები

მმართველობის პირველ წლებში ამირ თემურმა დაიპყრო მთელი ცენტრალური აზია. თუმცა ხორეზმის დამორჩილება გაჭიანურდა XIV ასწლეულის ბოლომდე.
ამირ თემურს მოუწია ხანგრძლივი ბრძოლა სხვა ძლიერ სახელმწიფოსთან, ოქროს ურდოსთან. ამ ბრძოლაში განსაკუთრებით გამოირჩეოდა ოქროს ურდოს მმართველი თოხთამიშ-ხანი. ამირ თემურს დიდი როლი ჰქონდა თოხთამიშ-ხანის ხელისუფლებაში მოსვლაში. თავისი ხელისუფლების განმტკიცების შემდეგ მან დაიწყო ბრძოლა თემურთან კავკასიისა და წინა აზიისთვის. თოხთამიშ-ხანის პრეტენზიით, ეს ტერიტორიები ჩინგიზ-ხანის ანდერძის თანახმად მათ უნდა ერგოთ. ბრძოლა გაგრძელდა 1395 წლამდე. მდინარე თერგის ნაპირზე გამართულ გადამწყვეტ ბრძოლაში ამირ თემურმა თოხთამიშს მძიმე მარცხი აგემა. ბრძოლის შედეგად ამირ თემურმა დაიპყრო ოქროს ურდოს მდიდარი ტერიტორიები, განსაკუთრებით აღმოსავლეთ პროვინციები.
ამირ თემურს სურდა ლაშქრობა მდიდარ ინდოეთში. ამ პერიოდში ინდოეთი დელის სასულთნოს მმართველობის ქვეშ იყო. სასულთნოში ხელისუფლებისათვის ბრძოლამ

ტექსტის მიხედვით დაახასიათეთ ამირ თემური.

რატომ ებრძოდა თოხთამიში ამირ თემურს?

თემური სამხედრო ლაშქრობაში

ის დაასუსტა. შექმნილი ვითარებით ისარგებლა ამირ თემურმა და XIV ასწლეულის ბოლოს თავს დაესხა ინდოეთს. წარმატებით დასრულებული ამ თავდასხმის დროს ინდოეთი დაიპყრო და მისი მდიდარი საგანძური ხელში ჩაიგდო. XV ასწლეულის დასაწყისში თემური შეეჯახა სხვა დიდ თურქულ სახელმწიფოს, ოსმალეთს. ამას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა. თემურმა მცირე აზიაში ლაშქრობით შექმნა პირობები ზოგიერთი წვრილი მმართველის ოსმალების წინააღმდეგ გამოსვლისთვის. ისინი თემურს მიმართავდნენ დამოუკიდებლობის აღსადგენად. თემურის მიერ ჯერ კიდევ XIV ასწლეულის ბოლოს დამარცხებული ყარაყოიუნლუს ყარა იუსიფი და ჯალაირიდების სულთანი აჰმედი, რომლებიც ოსმალეთის სულთან ილდირიმ ბაიაზიდ I- ს აფარებდნენ თავს, მისგან დახმარებას ითხოვდნენ თემურის წინააღმდეგ. თემურმა ბაიაზიდისგან მათი გადაცემა მოითხოვა, მაგრამ უარი მიიღო. ასევე, მას სურდა დაუფლებოდა წინა აზიის მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრებს. ყოველივე ამან გარდაუვალი გახადა ორ სახელმწიფოს შორის შეტაკება. 1402 წელს ანკარის მახლობლად თემურიდებსა და ოსმალებს შორის ბრძოლა გაიმართა. ამირ თემურის მიერ ინდოეთიდან ჩამოყვანილმა საბრძოლო სპილოებმაც გადამწყვეტი გავლენა იქონიეს ომის მიმდინარეობაზე.

შეაფასეთ ანკარის ბრძოლის შედეგები თურქული სამყაროსთვის.

მიუხედავად იმისა, რომ ანკარის ბრძოლაში ამირ თემური გამარჯვებული გამოვიდა, ეს ტრაგიკული აღმოჩნდა მთელი თურქული სამყაროს მომავლისთვის. ოსმალების დასავლეთისაკენ წინსვლის პერიოდში გამართულმა ამ ბრძოლამ ბიზანტია გადაარჩინა. ამ გამარჯვების შემდეგ თემურიდების სახელმწიფო გახდა ფართო ტერიტორიების უდავო მფლობელი გობის უდაბნოდან ბალკანეთის ნახევარკუნძულამდე.

ჩინეთის წინააღმდეგ ლაშქრობისთვის მზადების დროს ამირ თემური მოულოდნელად გარდაიცვალა.

ანკარის ბრძოლა



Lavina

იმპერიის საშინაო პოლიტიკა

3 **რა იყო ამირ თემურის ლაშქრობების ეკონომიკური მიზანი?**

თემური ლაშქრობების დროს ეკონომიკურ მიზნებსაც მისდევდა. სახელმწიფოს ეკონომიკის გასავითარებლად მას დაპყრობილი ქვეყნებიდან თავის ქვეყანაში გადაჰყავდა გამოცდილი და შერჩეული ხელოსნები. ის აკონტროლებდა სავაჭრო გზებს, განსაკუთრებით აზიიდან ევროპაში მიმავალ გზებს. ამირ თემური ატარებდა ევროპის ქვეყნებთან პირდაპირი სავაჭრო ურთიერთობების დამყარების პოლიტიკას. ამ ნაბიჯით თემურს სურდა სამარყანდის როლის გაზრდა ევრო-აზიურ ვაჭრობაში.

თემური თავის საშინაო პოლიტიკაში იყენებდა გავლენიან მუსულმან სასულიერო პირებსაც. მას დიდი დამსახურება ჰქონდა ისლამის რელიგიის გავლენის გაზრდაში. **ამირ თემურმაც, ჩინგიზ-ხანის მსგავსად, დაყო სახელმწიფო ულუსებად.** ულუსების მმართველი გამგებლები ვალდებულნი იყვნენ გამოეყვანათ გარკვეული რაოდენობის ჯარისკაცი და ეკონტროლებინათ გადასახადების აკრეფა.

თემურიდების სახელმწიფოს დასუსტება და დაცემა

ამირ თემურის გარდაცვალების შემდეგ მის მემკვიდრეებს შორის დაიწყო ბრძოლა ხელისუფლებისთვის. ამ ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდა მისი ვაჟი **შაჰრუხი**. შაჰრუხმა დედაქალაქი ჰერათში გადაიტანა და აზერბაიჯანის ყარაყოიუნლუს სახელმწიფო დამოკიდებულ მდგომარეობაში ჩააყენა. ნორმალური ურთიერთობები დამყარდა ოსმალეთთან და ოქროს ურდოსთან. შაჰრუხის გარდაცვალების შემდეგ ხელისუფლებაში მოვიდა მისი ვაჟი **ულუღბეგი**. იგი იყო ცნობილი ასტრონომი და მეტ ყურადღებას აქცევდა სახელმწიფოს კულტურულ ცხოვრებას. ულუღბეგი დიდხანს ვერ დარჩა ხელისუფლებაში.

ამ პერიოდში ცენტრალურ აზიაში წარმოიშვა ახალი სახელმწიფო - შეიბანიდების სახელმწიფო. შეიბანიდებმა ისარგებლეს თემურიდების სახელმწიფოში არსებული შინაგანი არეულობით და დაიპყრეს რამდენიმე ტერიტორია, განსაკუთრებით ქალაქები ბუხარა და სამარყანდი. შეიბანიდების დაპყრობების შედეგად თემურიდების სახელმწიფოს ტერიტორია მხოლოდ ხორასანით შემოიფარგლა.

თემურიდების უკანასკნელი ძლიერი მმართველის, **ჰუსეინ ბაიგარას,** ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, დაკარგული მიწები დაბრუნდა, სახელმწიფოს გავლენა აღდგა. თუმცა მისი გარდაცვალების შემდეგ შეიბანიდებმა კვლავ გააძლიერეს ბრძოლა თემურიდების წინააღმდეგ. **1507 წელს** უკანასკნელი თემურიდი მმართველი ჩამოაგდეს ტახტიდან და ხორასანი დაიპყრეს.

ამით **თემურიდების სახელმწიფოს არსებობას ბოლო მოეღო.**

ᲘᲛ **შეადარეთ შაჰრუხის საგარეო პოლიტიკა მამამისის პოლიტიკას.**

Ს

სულთან შაჰრუხი მმართველობის პერიოდში, მამამისის, ამირ თემურისგან განსხვავებით, მნიშვნელობას არ ანიჭებდა ომებსა და დაპყრობებს, ეწეოდა მშენებლობით საქმიანობას მეცნიერებისა და კულტურის განვითარებასთან ერთად. მან გააფართოვა სავაჭრო ურთიერთობები სხვადასხვა ქვეყნებთან, მათ შორის ჩინეთთან, და მიაღწია იმპერიის **"თემურიდული რენესანსის"** სახელით ცნობილი მოძრაობის უმაღლეს წერტილს. შაჰრუხის დროს დედაქალაქები ჰერათი და სამარყანდი იყო მსოფლიოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კულტურული ცენტრი, ხოლო სახელმწიფოს ყოფილი ძლიერება კვლავ აღორძინდა.

Preview



16 ჯვაროსნული ლაშქრობები

ჯვაროსანი, კათოლიკე, ინდულგენცია, იერუსალიმის სამეფო, სელაჰედდინ აიუბი, გრანადის საამირო

***ჯვარი (Səlib)**

არაბული სიტყვაა და ნიშნავს "ჯვარს".

ევროპელი ქრისტიანების მიერ აღმოსავლეთის მუსულმანური ქვეყნების წინააღმდეგ წარმოებულ ჯვაროსნულ* ლაშქრობებს მსოფლიო ისტორიაში დიდი გავლენა და მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვა. ქრისტიან-კათოლიკური ეკლესიის ხელმძღვანელობით ჩატარებული ეს ლაშქრობები დაუნდობლობითა და სისასტიკით დარჩა მეხსიერებაში.

რელიგია და ხელისუფლება

IV ასწლეულში რომის იმპერიის დაშლამ გავლენა იქონია ქრისტიანულ ეკლესიაზეც. დასავლეთ ევროპაში ქრისტიანული ეკლესიის მეთაურად ითვლებოდა რომის

*** პატრიარქი**

მართლმადიდებლურ ეკლესიაში უმაღლესი სასულიერო წოდებაა.

სურათი, რომელიც ეძღვნება ქრისტიანული რელიგიის გახლეჩვას

3 **დასავლეთ რომის იმპერიის ადგილზე წარმოქმნილი რომელი სახელმწიფოს მეთაურმა - მეფემ მიიღო ქრისტიანობა?**

პაპი, ხოლო აღმოსავლეთ (ბიზანტიის) ეკლესიაში - პატრიარქი.
დასავლეთ რომის იმპერიის ნანგრევებზე საკუთარი სახელმწიფოების დამაარსებელმა ევროპელმა "ბარბაროსმა" ბელადებმა მიიღეს ქრისტიანობა და დაიწყეს იმის მტკიცება, რომ ეს ხელისუფლება მათ იესო წინასწარმეტყველისგან გადაეცათ.
ყოველივე ამან განამტკიცა ქრისტიანული რელიგია დასავლეთ ევროპაში.

Lavine

პაპსა და პატრიარქს შორის დაიწყო ბრძოლა ქრისტიანთა ერთიანი ლიდერობისთვის. ამან 1054 წელს გამოიწვია ქრისტიანული რელიგიისა და ეკლესიის ოფიციალური გაყოფა.

დასავლეთის ეკლესიას ეწოდა **კათოლიკური** (საყოველთაო), ხოლო აღმოსავლეთისას - **მართლმადიდებლური** (ჭეშმარიტი სარწმუნოება).

დასავლეთ ევროპაში ფეოდალური დაქუცმაცებულობის პერიოდში ერთადერთი გაერთიანებული, ცენტრალიზებული წესით მართული ორგანიზაცია იყო კათოლიკური ეკლესია. ქალაქი რომი და მისი მიმდებარე ტერიტორიები სახელდებოდა პაპის ოლქად. ამ ტერიტორიას პაპი მართავდა როგორც თავის საკუთრებად. კათოლიკური ეკლესია ასევე გადაიქცა ყველაზე მსხვილ მიწათმფლობელად.

ევროპაში დამუშავებული მიწების 1/3 ნაწილი ეკლესიას ეკუთვნოდა. მთელი დასავლეთ ევროპის მოსახლეობა ეკლესიას უხდიდა მეათედს. ყოველი ქრისტიანი ვალდებული იყო გადაეხადა ფული ეკლესიისთვის რელიგიური წეს-ჩვეულებების (ნათლობა, ქორწინება და ა.შ.) შესრულებისთვის, ასევე გამოეყო წილი თავისი შემოსავლიდან უამრავი ქრისტიანი წმინდანის პატივსაცემად გამართული დღესასწაულებისთვის. პაპები თავს აცხადებდნენ ღვთის მემკვიდრეებად დედამიწაზე, თვლიდნენ, რომ ჰქონდათ ნებისმიერი პირის შეწყალების უფლება და ახორციელებდნენ **ინდულგენციების*** – "სამოთხის ქვითრების" გაყიდვას. შეგროვებული სიმდიდრის დიდი ნაწილი იგზავნებოდა რომში. პაპი ევროპაში ყველაზე მდიდარი პიროვნება იყო. რიგი სახელმწიფოების მეფეები პაპისგან სესხულობდნენ ფულს. ისინი, ვინც აკრიტიკებდნენ კათოლიკურ ეკლესიას სიმდიდრის დაგროვების, ფუფუნების ხარჯვის, ხალხის მოტყუების გამო, ეკლესიის მხრიდან დევნას ექვემდებარებოდნენ. მათ **ერეტიკოსები**, ანუ სარწმუნოების განდგომილები უწოდეს.

ერეტიკოსებს გადასცემდნენ **ინკვიზიციას** – საეკლესიო სასამართლოს, ხოლო მათი ქონება ეკლესიის სასარგებლოდ დაყადაღება ხდებოდა.

პაპების გავლენა იმდენად გაიზარდა, რომ ინგლისის, პოლონეთისა და დანიის მეფეები თავს პაპის ვასალებად თვლიდნენ.

3 **რა შედეგები მოჰყვა პაპების მიერ წარმოებულ ბრძოლას?**

*** ინდულგენცია**

არის პაპის ბრძანება ცოდვათა მიტევების შესახებ.

3 **როგორ ფიქრობთ, იყო თუ არა სწორი ინდულგენციების გაყიდვა?**

Preview

რომის პაპის გამოსვლა ჯვაროსანთა წინაშე

ჯვაროსნული ლაშქრობების მიზეზები და დასაწყისი

რომის პაპი 1095 წელს გამოვიდა მოწოდებით, რომ ყველა ქრისტიანს დაეწყო ლაშქრობა ***"იესოს საფლავის" გასათავისუფლებლად, პალესტინაში "წმინდა მიწების" მუსულმანებისგან გასაწმენდად.*** მალე პაპის მოწოდებამ მთელ ევროპაში დიდი მღელვარება და ენთუზიაზმი გამოიწვია. ყველგან დაიწყეს ლაშქრობისთვის მზადება. ლაშქრობის მონაწილეთა შემადგენლობა და მიზნები მრავალფეროვანი იყო.

ლაშქრობის მონაწილეები და მიზნები

- **გლეხები**
  - ფეოდალური ექსპლუატაციისგან თავის დაღწევა, მიწის მფლობელობა
- **ფეოდალები**
  - ახალი მიწებისა და გლეხების ხელში ჩაგდებით სიმდიდრის დაგროვება
- **პაპი**
  - მუსულმანებისა და აღმოსავლელი ქრისტიანების კათოლიციზმზე მოქცევით საკუთარი პოზიციის განმტკიცება, ხელისუფლების გაფართოება და შემოსავლების გაზრდა

მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქი იერუსალიმი სამი რელიგიის (იუდაიზმი, ქრისტიანობა, ისლამი) წმინდა ქალაქად ითვლება. ქრისტიანთა რწმენით, იესო წინასწარმეტყველი აქ არის დაკრძალული.

მუსულმანური სამყაროს მესამე წმინდა მეჩეთი, ალ-აქსა, ამ ქალაქში მდებარეობს. ებრაელებს სწამთ, რომ ამ ქალაქში იდგა სოლომონის ტაძარი. მოგვიანებით ტაძარი რომაელებმა დაანგრიეს. ქალაქი იერუსალიმი VII საუკუნიდან არაბთა სახალიფოს შემადგენლობაში იყო. XI საუკუნეში სელჩუკთა სახელმწიფომ იერუსალიმი თავის მმართველობას დაუქვემდებარა.

მუსულმანთა მმართველობის პერიოდში ქრისტიანები და ებრაელები ქალაქში თავისუფლად ცხოვრობდნენ, თითოეული თავისუფლად ასრულებდა თავის რელიგიურ წეს-ჩვეულებებს.

ყუდსი (იერუსალიმი)

Leyine

3 **რა იყო ჯვაროსნული ლაშქრობების ნამდვილი მიზეზები?**

1096 წელს გამართული პირველი ჯვაროსნული ლაშქრობა ჯერ გლეხებმა დაიწყეს. ცუდად შეიარაღებულმა, სამხედრო საქმის არ მცოდნე გლეხებმა სელჩუკებთან გამანადგურებელი მარცხი განიცადეს. ამის შემდეგ დაიწყო კარგად შეიარაღებული და საბრძოლო გამოცდილების მქონე ფეოდალების ლაშქრობა.
1099 წელს იერუსალიმში შესულმა ჯვაროსანთა არმიამ მუსულმან და ებრაელ მოსახლეობას საშინელი ხოცვა-ჟლეტა მოუწყო.
ჯვაროსნებმა ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებზე დაპყრობილ ტერიტორიებზე შექმნეს საკუთარი სახელმწიფოები. ***პალესტინის მმართველი იერუსალიმის სამეფო ითვლებოდა ჯვაროსნული სახელმწიფოების მეთაურად.***
პირველ ჯვაროსნულ ლაშქრობაში ჯვაროსნების წარმატების მთავარი მიზეზი იყო დიდი სელჩუკთა სახელმწიფოს დასუსტება. იერუსალიმის დაკარგვამ მძიმე დარტყმა მიაყენა სელჩუკთა პოზიციებს მუსულმანურ სამყაროში. მარცხთან შეგუება არ სურდათ სელჩუკთა სასულთნოებსა და საბეგოებს. მათ გააერთიანეს ძალები საერთო მტრის წინააღმდეგ. ამან მალე გამოიღო ნაყოფი. მოსულის ემირმა დაამარცხა ჯვაროსნები და გაათავისუფლა ზოგიერთი ტერიტორია.
ამის საპასუხოდ დაიწყო მეორე ჯვაროსნული ლაშქრობა. თუმცა ეს ლაშქრობა ჯვაროსნთა მარცხით დასრულდა. ამის შემდეგ ჯვაროსნებმა კიდევ უფრო მძიმე დარტყმა მიიღეს. ***ეგვიპტის მმართველმა სელაჰედდინ აიუბმა დაამარცხა ჯვაროსანთა არმია და გაათავისუფლა იერუსალიმი.***
იერუსალიმის დასაბრუნებლად საღვთო რომის იმპერატორის, საფრანგეთისა და ინგლისის მეფეების მონაწილეობით ორგანიზებული მესამე ჯვაროსნული ლაშქრობაც უშედეგოდ დასრულდა.

საუკუნეების მანძილზე სხვადასხვა მტრის თავდასხმებს გაძლებული ეს ქალაქი პირველად ევროპელ ქრისტიანთა მიერ იქნა აღებული. ამ ქალაქში, რომელიც მდიდარი იყო მშვენიერი სასახლეებითა და შენობებით, ქანდაკებებით, სადაც მდებარეობდა იმ დროისთვის ევროპის ულამაზეს ეკლესიად მიჩნეული აია-სოფიას ტაძარი, ნახევარი მილიონი ადამიანი ცხოვრობდა. იმ პერიოდში დასავლეთ ევროპის უდიდეს ქალაქებში 10 ათასი ადამიანი იყო. ჯვაროსანთა ნამდვილი სახე და მიზნები აქ გამოვლინდა. მათ არ მორიდებიათ ქრისტიანული ქალაქის გაძარცვა და აია-სოფიას ტაძრის შებღალვაც კი.

3 რომელ ქალაქზეა საუბარი ტექსტში?

3 ჯვაროსნული ლაშქრობების ძარცვითი ხასიათი რომელ ლაშქრობაში გამოვლინდა ყველაზე მკაფიოდ?

მეოთხე ჯვაროსნულ ლაშქრობას ხელმძღვანელობდა პაპი ინოკენტი III. ამ მიზნით დაქირავებული იქნა ხომალდები ვენეციისგან, რომელსაც ძლიერი საზღვაო ფლოტი ჰყავდა. ვენეცია აღმოსავლეთის ქვეყნებთან ვაჭრობაში ბიზანტიას ეჯიბრებოდა. კათოლიკური ეკლესიის მტრობამ პატრიარქთან ასევე მიმართა ლაშქრობის მიმართულება ბიზანტიის დედაქალაქის, კონსტანტინოპოლისკენ. 1204 წელს ჯვაროსნებმა აიღეს კონსტანტინოპოლი და გაძარცვეს.
რელიგიის ნიღბის ქვეშ მიმდინარე ჯვაროსნული ლაშქრობების ნამდვილი მიზანი IV ჯვაროსნულ ლაშქრობაში გამოვლინდა.
ჯვაროსანთა ბატონობა ამ ქალაქზე 50 წელზე მეტხანს გაგრძელდა. საკუთარი დედაქალაქის დასაბრუნებლად დიდხანს მებრძოლმა ბიზანტიელებმა, ბოლოს და ბოლოს, შეძლეს ჯვაროსნების ქალაქიდან განდევნა. ბიზანტიის იმპერიამ დაკარგა თავისი ყოფილი ძლიერება და დიდებულება.

ჯვაროსნული ლაშქრობები ევროპაში მუსულმანების წინააღმდეგ

VIII ასწლეულის შუა ხანებიდან პირენეის ნახევარკუნძულზე კორდოვის საამირო ფუნქციონირებდა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. X ასწლეულის პირველი ნახევრიდან მას ეწოდა კორდოვის სახალიფო. შუა საუკუნეების პერიოდში მუსულმანური ესპანეთი იყო ევროპის კულტურულად და ეკონომიკურად ყველაზე განვითარებული ტერიტორია. აქ მუსულმანებთან ერთად ცხოვრობდნენ ქრისტიანები და ებრაელებიც. ქრისტიანებსა და ებრაელებს ნება დართული ჰქონდათ თავისუფლად შეესრულებინათ თავიანთი რელიგიური რწმენა და წეს-ჩვეულებები. კორდოვა იყო მეცნიერების, კულტურის, ხელოსნობისა და ვაჭრობის ცენტრი. აქ მოქმედებდა უნივერსიტეტი, მედრესეები. არსებობდა ბიბლიოთეკები, სადაც ათიათასობით ხელნაწერი წიგნი ინახებოდა. აშენებული იყო დიდებული შენობები აღმოსავლურ სტილში – სასახლეები, მეჩეთები. ღამით ქუჩებს ლამპებით ანათებდნენ. დასავლეთ ევროპიდან კორდოვაში ჩადიოდნენ ევროპელები სამეცნიერო ცოდნის გასაღრმავებლად, მუსულმანი მეცნიერებისგან სასწავლად, ალგებრისა და ასტრონომიის შესასწავლად. ევროპაში ახლაც გამოყენებული ციფრების გაცნობა კორდოვიდან დაიწყო.
მუსულმანური არქიტექტურის ულამაზესი ნიმუშები – სევილიაში აშენებული **ალ-კასარის სასახლე-ციხესიმაგრე,** გრანადაში მდებარე **ალჰამბრას სასახლე** დღემდე შემორჩენილია ესპანეთში. კორდოვის სახალიფოს სავაჭრო გემები ინარჩუნებდნენ სავაჭრო ურთიერთობებს ხმელთაშუა ზღვის აუზში მდებარე იტალიასთან, ბიზანტიასთან, აბასიანთა სახალიფოსთან, ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებთან.
შინაგანი არეულობის შედეგად კორდოვა დაიშალა რამდენიმე დამოუკიდებელ საამიროდ. რომის პაპებმა გადაწყვიტეს გამოეყენებინათ შექმნილი შესაძლებლობა.

Lavine

ისინი მოუწოდებდნენ ქრისტიანებს ჯვაროსნული ლაშქრობისკენ, რათა ესპანეთიდან განედევნათ მუსულმანი და ებრაელი მოსახლეობა. ჯვაროსნებმა დაიწყეს დაქუცმაცებული, ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობილი საამიროების ხელში ჩაგდება. პირენეის ნახევარკუნძულზე ერთმანეთის მიყოლებით გაჩნდა ქრისტიანული სახელმწიფოები: **პორტუგალიის, კასტილიის, არაგონისა და ნავარის** სამეფოები.

XIV ასწლეულში მუსულმანთა ხელში მხოლოდ გრანადის საამირო დარჩა. **კასტილიისა და არაგონის სახელმწიფოების გაერთიანების შედეგად 1479 წელს შეიქმნა ერთიანი ესპანეთის სამეფო.** ნავარა გაინაწილეს საფრანგეთთან, რამაც ესპანეთი კიდევ უფრო გააძლიერა. 1492 წელს ესპანეთის სამეფოს არმიამ დაიპყრო გრანადა. ამით დასრულდა მუსულმანების ესპანეთიდან განდევნის პროცესი.

პირენეის ნახევარკუნძულზე დარჩა მხოლოდ ქრისტიანული სახელმწიფოები – პორტუგალიისა და ესპანეთის სამეფოები. ქრისტიანებმა პირენეის ნახევარკუნძულზე არსებული მეჩეთები ეკლესიებად გადააკეთეს.

ჯვაროსანი მეომარი

ჯვაროსნული ლაშქრობების შედეგები

მიუხედავად იმისა, რომ ვერ მიაღწია დასახულ მიზნებს, ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა მნიშვნელოვანი შედეგები გამოიწვია დასავლეთ ევროპისთვის.

ლაშქრობების შედეგად:

✓ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ევროპელი ხალხების მსოფლმხედველობასა და კულტურაზე;

✓ გააქტიურდა ვაჭრობა ხმელთაშუა ზღვაზე;

✓ ჩრდილოეთ იტალიის ქალაქებმა (ვენეცია, გენუა) განდევნეს ბიზანტიელი და არაბი ვაჭრები და ხელში ჩაიგდეს ვაჭრობა ხმელთაშუა ზღვაზე;

✓ ევროპელებმა აღმოსავლეთისგან ისწავლეს **აბრეშუმის, წამლების, სუნამოების და სარკეების წარმოება, ქარის წისქვილების** მშენებლობა;

✓ განვითარდა სოფლის მეურნეობა. დაიწყო რიგი ახალი კულტურების – ბრინჯის, წიწიბურას, ლიმონის, გარგარის, საზამთროს მოყვანა;

✓ ევროპელები პირველად აღმოსავლეთში გაეცნენ **ქაღალდსა** და **დენთს;**

✓ ყოფაში გაჩნდა რიგი სიახლეები;

✓ დაეცა ლაშქრობების მთავარი ორგანიზატორისა და შთამაგონებლის, კათოლიკური ეკლესიის, პაპების გავლენა. ამან შეასუსტა ეკლესიის გავლენა სახელმწიფო საქმეებზე.

✓ ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა უარყოფითი გავლენა იქონია აღმოსავლეთის ქვეყნების ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაზე.

✓ რიგი ქალაქები აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის აუზში დაინგრა. მოსახლეობა განიცდიდა ხოცვა-ჟლეტასა და ძარცვას.

3 **რა იყო მთავარი შედეგი ევროპაში მუსულმანების წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობისა?**

დ **შეადგინეთ სქემა ჯვაროსნული ლაშქრობების შედეგებთან დაკავშირებით.**

Leyine

17 იტალია

ქალაქების ქვეყანა, ვაჭრობა, კომუნა, ქალაქ-რესპუბლიკები, ვენეცია

ევროპის სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, იტალიაში კლასიკური ფეოდალიზმის ხანაში ცენტრალიზებული სახელმწიფო არ ჩამოყალიბდა. იტალია პოლიტიკურად და ეკონომიკურად დაქსაქსული ქვეყანა რჩებოდა. ამის მიუხედავად, იტალია ქალაქების სიმრავლით გამოირჩეოდა. აქ 300-მდე ქალაქი იყო. განვითარებულ შუა საუკუნეებში იტალია *ქალაქების ქვეყნად* იყო ცნობილი.

ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი

იტალიაში დიდი ქალაქები ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით უფრო ადრე, IX-X ასწლეულებში გაჩნდა. ქალაქები, როგორც წესი, მდინარეებისა და ზღვების სიახლოვეს, სავაჭრო გზების გადაკვეთის ადგილებში დაარსდა. ზოგიერთი ქალაქი კი დიდი მონასტრებისა და მსხვილი ფეოდალური ციხესიმაგრეების გარშემო, აგრეთვე ანტიკური რომაული ციხეების ნანგრევების ადგილას წარმოიშვა.

ქალაქის მცხოვრებნი ძირითადად ხელოსნობითა და ვაჭრობით იყვნენ დაკავებულნი. მოსახლეობა ქალაქების

ფლორენცია

ირგვლივ მარცვლეულს თესავდა, მებაღეობასა და მებოსტნეობას მისდევდა, ასევე პირუტყვის ჯოგებსაც ამრავლებდა. გალავნით შემოსაზღვრული ქალაქების ტერიტორია მცირე იყო, ამიტომ აქ სახლებს ორ-სამსართულიანად აშენებდნენ. აღმოსავლეთის ქვეყნების ქალაქებთან შედარებით, აქ წყალსადენი და საკანალიზაციო სისტემა არ იყო, ამიტომ ანტისანიტარია სუფევდა. ქალაქებში ერთადერთი ფართო ადგილი საბაზრო მოედანი იყო. მოედნის გვერდით ქალაქის მთავარი ეკლესია მდებარეობდა.
ქალაქებში წარმოებული პროდუქციის უმეტესობა სახელოსნოებში მზადდებოდა. სახელოსნო ამავე დროს მზა პროდუქტის გასაყიდ მაღაზიასაც წარმოადგენდა. ვაჭრობა ქალაქელებს დიდ შემოსავალს აძლევდა.

ეკლესიის გუმბათის ნაწილი

3 **როგორ ფიქრობთ, რა იყო ქალაქების სწრაფი განვითარების ძირითადი მიზეზები?**

ადრე აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის სავაჭრო ურთიერთობებში ბიზანტია მთავარ როლს ასრულებდა. შემდგომში ხმელთაშუა ზღვის გავლით აღმოსავლეთის ქვეყნებთან ვაჭრობა ვენეციისა და გენუის ვაჭრების ხელში გადავიდა. მათ სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ აღმოსავლეთის ქვეყნებთან, რომელთაგან ერთ-ერთი აზერბაიჯანიც იყო.
ქალაქების დაარსების მიწები, როგორც წესი, ფეოდალებს ეკუთვნოდათ. ისინი ქალაქის მოსახლეობის სენიორებად ითვლებოდნენ და ქალაქელებისგან გადასახადს იღებდნენ. ქალაქების გამდიდრებასთან ერთად, სენიორები გადასახადის ოდენობასაც ზრდიდნენ. ქალაქების მთელი ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრება სენიორების კონტროლის ქვეშ იყო.
ევროპის უმეტეს ქვეყნებში ქალაქელები სენიორების ჩაგვრისგან თავის დასაღწევად იბრძოდნენ. იტალიის რიგმა ქალაქებმა სენიორების წინააღმდეგ ბრძოლაში გაიმარჯვეს და თვითმმართველობის უფლება მიიღეს. ასეთ ქალაქებს **კომუნა** ეწოდებოდა. თავისუფალი კომუნები თანდათან მიმდებარე ტერიტორიებსაც შეიერთებდნენ და დამოუკიდებელ ქალაქ-სახელმწიფოებად, ანუ ***ქალაქ-რესპუბლიკებად*** გადაიქცნენ.

ოქროს მონეტა (იტალია)

4 **შეადარეთ შუა საუკუნეების იტალიის ქალაქები აზერბაიჯანის ქალაქებს.**

Haylife

ქალაქ-რესპუბლიკები

3 **რა ცვლილებები შეიძლება გამოეწვია მმართველობაში ხელისუფლების ცალკეული ოჯახების ხელში გადასვლას?**

3 **როგორ აისახებოდა ვენეციის გეოგრაფიული მდებარეობა ხმელთაშუა ზღვაში სავაჭრო უპირატესობაზე?**

იტალიაში არსებულ ქალაქ-რესპუბლიკებს ჰქონდათ საკუთარი კანონმდებლობა, ადმინისტრაციული მმართველობა და ჯარი. მათ ფულის მოჭრისა და საბაჟოს აკრეფის უფლება გააჩნდათ.

XI-XV ასწლეულებში **ფლორენცია** იტალიის ეკონომიკურად განვითარებული ერთ-ერთი უდიდესი ქალაქ-სახელმწიფო იყო. ქალაქში დიდი რაოდენობით მსხვილი მაუდის სახელოსნოები იყო. აქ დაქირავებული შრომა გამოიყენებოდა. ქალაქის მდიდარ ოჯახებს შორის ხელისუფლებისთვის ბრძოლა მიმდინარეობდა. შედეგად, მედიჩის ოჯახი გამარჯვებული გამოდგა. მათ შორის იყვნენ მდიდარი ბანკირები და ვაჭრები. მედიჩების მმართველობის დროს ფლორენცია კიდევ უფრო განვითარდა.

XIV ასწლეულის შუა ხანებში **ვენეციის რესპუბლიკა** ევროპის ერთ-ერთი ძლიერი საზღვაო სახელმწიფო გახდა. ჯვაროსნული ლაშქრობებით ისარგებლა ვენეციამ და ეგეოსის ზღვის აუზში და კონსტანტინოპოლში სავაჭრო პუნქტები დაიპყრო.

ვენეცია შუამავლობით ვაჭრობიდან ძალიან დიდ შემოსავალს იღებდა. ჩინეთიდან, ინდოეთიდან, აზერბაიჯანიდან, ასევე ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებიდან ჩამოტანილი სხვადასხვა საქონელი ვენეციელი ვაჭრების მეშვეობით ევროპის ქვეყნებში ხვდებოდა.

აღმოსავლეთთან ვაჭრობა ვენეციაში ქსოვილის წარმოების განვითარებას ბიძგს აძლევდა. ***ხელის შრომაზე დაფუძნებული, შრომის დანაწილებისა და დაქირავებული შრომის გამოყენებით მომუშავე ასეთ მცირე საწარმოებს მანუფაქტურა ეწოდებოდა.*** სხვადასხვა ქვეყნებიდან, განსაკუთრებით აზერბაიჯანიდან ჩამოტანილი ნედლი აბრეშუმი, ბამბა და მატყლი აქ იქსოვებოდა. წარმოებული პროდუქცია ევროპის სახელმწიფოებში ძვირად იყიდებოდა და მაღალი შემოსავალი მიიღებოდა. ვენეციური სარკეები ბევრ ქვეყანაში იყო ცნობილი.

ვენეცია

Layine

Layline

აღმოსავლეთის ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობებში ვენეციის შავ ზღვაზე არსებული სავაჭრო ცენტრები მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ. იტალიის ქალაქ-რესპუბლიკები ქსოვილის საწარმოების მოთხოვნილებას აზერბაიჯანიდან მიღებული ნედლი აბრეშუმის ხარჯზე დაკმაყოფილებას ცდილობდნენ. გენუის რესპუბლიკის შუამავლობიდან ჩამოშორებულმა ვენეციამ აღმოსავლეთთან ვაჭრობაში სრულ უპირატესობას მიაღწია. ვენეციის უპირატესი მდგომარეობა ხმელთაშუა ზღვაზე ვაჭრობაში ოსმალების მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობამდე გაგრძელდა.

აღმოსავლეთთან შუამავლობითი ვაჭრობიდან დიდძალი შემოსავლის მიმღები ვაჭრები ცალკეულ პირებს პროცენტით ფულს ასესხებდნენ და შედეგად კიდევ უფრო მდიდრდებოდნენ. შემთხვევითი არ არის, რომ ევროპაში დაარსებული პირველი ბანკიც ჯერ კიდევ XII ასწლეულში ვენეციაში ამოქმედდა. აქ იმ დროიდანვე გამოიყენებოდა **ვექსელისა*** და **ჩეკის სისტემა***.

*** ვექსელი**

ფულის მიმღები პირის მიერ გაცემული წერილობითი სავალდებულო დოკუმენტია.

*** ჩეკის სისტემა**

ფასიანი ქაღალდების გამოყენების სისტემაა.

გ **განიხილეთ და დაასკვნეთ, თუ რა ცვლილებები შეიძლება გამოეწვია ადამიანთა ცხოვრებაში სხვისგან პროცენტით ფულის აღებას.**

18 საფრანგეთი

ცენტრალიზებული სახელმწიფო, პარიზი, ფილიპ IV ლამაზი, გენერალური შტატები, ასწლიანი ომი, ჟანა დ'არკი, პუატიეს ბრძოლა, აზენკურის ბრძოლა, ჟაკერიის აჯანყება, ლუდოვიკ XI

3 **რა არის ფეოდალური დაქუცმაცებულობა და პოლიტიკური დაქუცმაცებულობა? რა მსგავსი და განსხვავებული მხარეები აქვთ?**

3 **როგორ შეიძლება იმოქმედოს ბუნებრივ-გეოგრაფიულმა პირობებმა სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე? ახსენით თანამედროვე ეპოქასთან დაკავშირებით.**

საფრანგეთში XI ასწლეულში ფეოდალური დაქუცმაცებულობა გრძელდებოდა. ქვეყანა მსხვილ და მცირე ფეოდალურ სამფლობელოებად იყო დანაწევრებული. მეფის ხელისუფლება მთელ ქვეყანას არ მოიცავდა. მეფის სამფლობელო ჩრდილო-აღმოსავლეთ საფრანგეთში ძალიან მცირე იყო და მხოლოდ ქალაქებს - **პარიზსა** და **ორლეანს** მოიცავდა. მეფე მთელი საფრანგეთის ტერიტორიისთვის საერთო კანონებს ვერ იღებდა, მოსახლეობისგან გადასახადს ვერ აგროვებდა. ამიტომ მეფეს მუდმივი ჯარი და მოხელეები არ ჰყავდა.

ბუნებრივ-გეოგრაფიულმა პირობებმა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში თავისებური ნიშნების წარმოქმნა გამოიწვია. საფრანგეთის ჩრდილოეთისგან განსხვავებით, სამხრეთში ფეოდალური ურთიერთობები სუსტად იყო განვითარებული. ამის მიზეზი სამხრეთში ქალაქების განვითარება და მთიან რეგიონებში თავისუფალი თემების შენარჩუნება იყო. აღმოსავლეთის ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობებისთვის ხელსაყრელ მდგომარეობაში მდებარეობამ საფრანგეთის სამხრეთში ქალაქების განვითარებას შეუწყო ხელი.

საფრანგეთის ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება ქვეყანაში ერთიანი ხალხის ჩამოყალიბებას აფერხებდა. ქვეყნის ჩრდილოეთსა და სამხრეთში მცხოვრები მოსახლეობა სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდა. ეს ფეოდალურ დაქუცმაცებულობას კიდევ უფრო აძლიერებდა.

მარცვლეულის მოსავალის აღება

Layme

ქვეყნის გაერთიანებისათვის ხელშემწყობი ფაქტორები

XI ასწლეულში ევროპის სხვა ადგილების მსგავსად საფრანგეთშიც ხელოსნობა და სოფლის მეურნეობა სწრაფად ვითარდებოდა. ქალაქები იზრდებოდა, ვაჭრობა ფართოვდებოდა. თითოეული ოლქის სხვადასხვა პროდუქციის წარმოებაზე სპეციალიზაცია მათ ეკონომიკურად ერთმანეთთან აკავშირებდა. შედეგად, თანდათან ქვეყნის ეკონომიკური ერთიანობა ყალიბდებოდა. XIII ასწლეულის ბოლოს **პარიზი** მთელი ჩრდილოეთ საფრანგეთის ეკონომიკური ცენტრი გახდა. ამავე დროს, ოლქებს შორის ეკონომიკური კავშირების გაფართოებამ ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანებისათვის ხელსაყრელი პირობები შექმნა.
განუწყვეტელი შიდა და გარე ომები ფეოდალების მეურნეობით დაკავებას ხლუდავდა. ამიტომ ბევრი ფეოდალი თავის სახნავ-სათესი მიწებს ნაწილებად ჰყოფდა და გლეხებს სარგებლობაში ურიგებდა. მეტი ფული რომ სჭირდებოდათ, ფეოდალები მაღალი გამოსასყიდის სანაცვლოდ გლეხებს პირადი დამოკიდებულებისგან ათავისუფლებდნენ. თუმცა ფეოდალზე მიწის გამო დამოკიდებულება რჩებოდა. გლეხი მიწის ნაკვეთით სარგებლობისათვის ბატონს იჯარას უხდიდა.

შეადარეთ საფრანგეთის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებები შესაბამის პერიოდში აზერბაიჯანთან.

საფრანგეთის გაერთიანებისათვის ბრძოლის დაწყება

სამეფო მამულები მნიშვნელოვანი სავაჭრო გზების გზაჯვარედინზე მდებარეობდა. ამ გზებზე გამავალი ვაჭრებისგან აღებული გადასახადები სამეფო ხაზინას ამდიდრებდა. ცენტრალიზაციის პოლიტიკა ჯერ ქვეყნის ჩრდილოეთიდან დაიწყო. მეფე ფეოდალური თვითნებობის წინააღმდეგ იბრძოდა, ქალაქებს, ხელოსნობასა და ვაჭრობას მფარველობდა. ამიტომ ქალაქები ძლიერი სამეფო ხელისუფლების მომხრე იყო. მსხვილი ფეოდალები **ცენტრალიზებული სახელმწიფოს** შექმნას ხელს უშლიდნენ. მაგრამ გაუთავებელმა შიგა ომებმა ფეოდალები დაასუსტა. ამან კი სამეფო ხელისუფლების გაძლიერებას შეუწყო ხელი.

***ცენტრალიზებული სახელმწიფო**

ქვეყნის ერთიანი ცენტრალური ხელისუფლებისადმი დაქვემდებარება.

Layine

საფრანგეთის გაერთიანების ყველაზე დიდი დაბრკოლება **ინგლისის მეფე** იყო. კერძოდ, ჯერ კიდევ XI ასწლეულის მეორე ნახევარში ნორმანდიის ჰერცოგმა ინგლისი დაიპყრო. თავი ინგლისის მეფედ გამოაცხადა და საფრანგეთში თავისი სამფლობელო - **ნორმანდიაც** ხელში დაიტოვა. მისმა მემკვიდრეებმა თანდათან საფრანგეთის მიწების ნახევარზე მეტი თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარეს. ამიტომ ამ ტერიტორიების გამო ინგლისისა და საფრანგეთის მეფეებს შორის ომები მიმდინარეობდა. XIII ასწლეულის დასაწყისში საფრანგეთის მეფემ ნორმანდია ხელში ჩაიგდო. უკვე XIV ასწლეულის დასაწყისისათვის საფრანგეთის მიწების დიდი ნაწილი მეფის ხელისუფლების ქვეშ იყო გაერთიანებული. ამ ტერიტორიებს უკვე მეფის მიერ დანიშნული მოხელეები მართავდნენ. სამეფო სასამართლო ცენტრალურ ხელისუფლებას დაქვემდებარებულ ყველა ტერიტორიაზე უზენაეს სასამართლოდ იქცა. ქვეყნის ყველა ადგილას ადგილობრივ ფულთან ერთად, მეფის ფულადი ერთეულიც უნდა მიეღოთ. სამეფო ფული თანდათან ადგილობრივ ფულს ავიწროებდა. ეს კი მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე შიდა ვაჭრობას მნიშვნელოვნად აადვილებდა და საფრანგეთის ეკონომიკურად გაერთიანებას ეხმარებოდა. ამრიგად, საფრანგეთი თანდათან ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ გარდაიქმნებოდა. ქვეყნის დიდი ნაწილი ცენტრალურ ხელისუფლებას დაექვემდებარა.

3 **რა ფაქტორებმა შეუწყო ხელი საფრანგეთის გაერთიანებას?**

მონარქიის განმტკიცება

აქტიური და სასტიკი მმართველი, მეფე **ფილიპე IV (1285–1314)** თავისი სამფლობელოების კიდევ უფრო გაფართოებას ცდილობდა. განუწყვეტელი ომების შედეგად დაცარიელებული სამეფო ხაზინის შესავსებად გადასახადები გაზარდა. აგრეთვე, მეფე ფილიპე IV-მ ებრაელების მევახშეობით დაკავება საბაბად გამოიყენა, ქონება ჩამოართვა და ქვეყნიდან გააძევა. ფილიპე IV-ის მიერ ეკლესიის მიწებისთვის გადასახადების დაწესებამ რომის პაპთან კონფლიქტი გამოიწვია. მან პაპის დასასჯელად იტალიაში შეიარაღებული რაზმი გაგზავნა. პაპის სასახლეში შეღწევა რომ მოახერხა, ამ რაზმმა იგი შეურაცხყო. ამ შეურაცხყოფას ვერ გაუძლო პაპმა და მცირე ხანში გარდაიცვალა. მის შემდგომი პაპები გარკვეული დროით საფრანგეთის მეფეებზე დამოკიდებულნი გახდნენ. მონარქიის განმტკიცებასთან ერთად პაპების გავლენა ევროპის ქვეყნებზე თანდათან შესუსტდა.

ფილიპე IV

გენერალური შტატები

პაპის წინააღმდეგ ბრძოლაში ქვეყნის ყველა სოციალური ფენის მხარდაჭერის მოსაპოვებლად მეფე ფილიპე IV-მ 1302 წელს მოიწვია კრება, რომელსაც **გენერალური შტატები** ეწოდა. გენერალური შტატები შედგებოდა **სამღვდელოების, თავად-აზნაურებისა** და **შეძლებული ქალაქის მცხოვრებთა** წარმომადგენლებისაგან. იმ დროიდან მოყოლებული, მეფეები ახალი გადასახადების დაწესების სურვილის დროს იწვევდნენ გენერალურ შტატებს. ამ გადასახადების ტვირთი ქალაქის მოსახლეობასა და გლეხებს აწვებოდა. ამრიგად, საფრანგეთში **შეზღუდული მონარქია** ჩამოყალიბდა. ეს იყო ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნის პირველი საფეხური. მონარქია ჯერ კიდევ არ იყო საკმარისად ძლიერი, რომ ზედა ფენების მხარდაჭერის გარეშე ემართა ქვეყანა. მეფე ქვეყნის სამართავად სხვადასხვა ფენის წარმომადგენელთა კრებას ეყრდნობოდა.

ასწლიანი ომი

ინგლისის მეფეს სურდა დაებრუნებინა თავისი სამფლობელოები, რომლებიც საფრანგეთის გაერთიანების პროცესში დაკარგა. მდიდარი ქალაქების მქონე **ფლანდრიის** გამო მეტოქეობამ საფრანგეთისა და ინგლისის მეფეებს შორის მტრობა კიდევ უფრო გააძლიერა. ფრანგმა მეფეებმა არაერთხელ სცადეს ფლანდრიის ანექსია, მაგრამ ვერ მიაღწიეს წარმატებას. ამავე დროს, ინგლისსაც არ სურდა ფლანდრიის, რომელთანაც ფართო სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდა, საფრანგეთის მიერ დაპყრობა.

ომის დაწყების საბაბი კი ინგლისის მეფის მიერ ნათესაური კავშირების გამოყენებით საფრანგეთის ტახტზე პრეტენზიის გამოცხადება იყო. ამრიგად, 1337 წელს ინგლისსა და საფრანგეთს შორის ახალი ომი დაიწყო. ეს ომი შესვენებებით ერთ საუკუნეზე მეტხანს გაგრძელდა, ამიტომ **ასწლიანი ომი (1337–1453)** ეწოდა.

ომის დასაწყისში ინგლისის ჯარმა როგორც ზღვაზე, ისე ხმელეთზე არაერთი გამარჯვება მოიპოვა. მშვილდოსნებისა და ცხენოსანი ჯარის მოქმედებების სწორი კოორდინაციის შედეგად ინგლისის არმია გამარჯვებული გამოდიოდა. 1356 წელს **პუატიეს ბრძოლაში** საფრანგეთის მეფე ტყვედ ჩავარდა.

*** ფლანდრია**

ფლანდრია ისტორიული ოლქია, რომელიც მოიცავს თანამედროვე ბელგიის, ნიდერლანდებისა და საფრანგეთის ნაწილს.

3 ასწლიანი ომის დაწყების პერიოდში, როგორი პოლიტიკური მდგომარეობა იყო აზერბაიჯანში?

3 როგორ ფიქრობთ, ქვემოთ მოცემულ მინიატურაზე გამოსახულთაგან რომელია ინგლისის ჯარი? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრებები ტექსტის საფუძველზე.

ინგლისის ჯარები	ფრანგული ჯარები
• რიცხობრივად არც თუ ისე ბევრი იყო, მაგრამ უკეთ იყო ორგანიზებული. • იმ დროს თავიანთი ოსტატობით ცნობილი ინგლისელი მშვილდოსნები მხარს უჭერდნენ ცხენოსანი ჯარის მოქმედებებს. • ცალკეული ჯარის სახეობები ბრძოლებში ერთმანეთთან კარგად იყო კოორდინირებული. • ყველა სამხედრო ძალა მთავარსარდალს ემორჩილებოდა.	• რიცხობრივად ბევრი იყო, მაგრამ არ არსებობდა ერთიანი სარდლობა. • ძირითადად, ცხენოსანი რაინდული რაზმებისაგან შედგებოდა. • მშვილდოსნები ცოტა იყო. რაინდებს არ სურდათ თავიანთი მოქმედებების მათთან კოორდინაცია. • ჯარი დანაწევრებული იყო ცალკეულ მსხვილ ფეოდალთა რაზმებად. • მეფე მხოლოდ თავის განსაკუთრებულ რაზმს, ანუ ჯარის ნაწილს, სარდლობდა.

12 ცხრილის გამოყენებით განსაზღვრეთ ინგლისისა და საფრანგეთის ჯარების მსგავსი მხარეები.

1360 წელს საფრანგეთის ახალმა მეფემ ინგლისთან მძიმე პირობებით ზავი დადო. მისი მიზანი იყო დროის მოგება და ძალების ახლებურად ორგანიზება.

1415 წელს ინგლისის არმიამ ახალი ძალით შეუტია და **აზენკურის ბრძოლაში** გაიმარჯვა. საფრანგეთის ჩრდილოეთი ინგლისელებმა დაიკავეს. მაგრამ ხალხის წინააღმდეგობამ მათი გადამწყვეტი გამარჯვება შეაფერხა. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოსახლეობა ინგლისელების წინააღმდეგ პარტიზანულ ომს აწარმოებდა.

ინგლისელებმა ალყა შემოარტყეს მნიშვნელოვან ქალაქ ორლეანს. ციხის აღებას შეიძლებოდა საფრანგეთის ჯარის ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან ალყაში მოქცევა მოჰყოლოდა.

იმ მომენტში როდესაც საფრანგეთის ბედი წყდებოდა, გლეხის გოგონამ, **ჟანა დ'არკმა,** შეძლო ომის მსვლელობაში გარდატეხის მოხდენა.

პუატიეს ბრძოლა. შუა საუკუნეების მინიატურა

Lavine

ახალგაზრდა გოგონას მიერ სამხედრო ტაქტიკის ათვისება, მეომრებისათვის სამშობლოს დამცველად შეხედვა, სახიფათო ადგილებში ყველაზე წინ ყოფნა მათში სულის ამაღლებასა და რწმენას ბადებდა. 1429 წელს ორლეანის მიდამოებში გამარჯვება ფრანგებისათვის პირველი დიდი გამარჯვება იყო. ჟანას სახალხო ავტორიტეტი აწუხებდა მეფესა და ფეოდალებს. ცოტა ხანში, როდესაც ჟანა ტყვედ ჩავარდა, საფრანგეთის მეფემ მისი გათავისუფლებისთვის არანაირი ნაბიჯი არ გადადგა. ინგლისელებმა, ჟანას სამხედრო წარმატებების მნიშვნელობის შესამცირებლად, მას ჯადოქრობაში დასდეს ბრალი და სიკვდილით დასაჯეს. ასწლიანი ომის დასასრულისთვის საფრანგეთის მეფემ რაინდებისა და დაქირავებულებისაგან შემდგარი მუდმივი ჯარი შექმნა. ომი **1453 წელს** დადებული ზავით დასრულდა. საფრანგეთის მიწები გათავისუფლდა. მხოლოდ კალეს პორტი დარჩა ინგლისელებთან.

ჟაკერიის აჯანყება

ჟაკერიის აჯანყების ჩახშობა

ომით გამოწვეულმა სიძნელეებმა, შავი ჭირის ეპიდემიამ და გადასახადების ზრდამ ხალხის მდგომარეობა გააუარესა. პუატიეს ბრძოლაში სამარცხვინო დამარცხებამ ფეოდალების მიმართ უკმაყოფილება კიდევ უფრო გაზარდა. ასეთ ვითარებაში, **1358 წელს** საფრანგეთში ყველაზე დიდი გლეხთა აჯანყება მოხდა. თავად-აზნაურები გლეხებს "ჟაკებს" ეძახდნენ იმის გამო, რომ ისინი მოკლე ჟაკეტებს ატარებდნენ (ფრანგ. jaqet). ზოგიერთი ქალაქი აჯანყებულთა მხარეს გადავიდა. გლეხები თვლიდნენ, რომ ფეოდალთა ჩაგვრის შესახებ მეფემ არ იცოდა და გამოდიოდნენ ფეოდალების წინააღმდეგ "კეთილი მეფისათვის". ფეოდალებმა მოლაპარაკებაზე დაპატიჟეს და ეშმაკობით ხელში ჩაიგდეს აჯანყების ხელმძღვანელი. აჯანყება ჩაახშეს, მაგრამ შეშინებულმა ფეოდალებმა დიდი ხნის განმავლობაში ვერ გაბედეს გადასახადების გაზრდა.

3 **რა იყო ჟაკერიის აჯანყების შედეგები?**

ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნის დასრულება

ასწლიანი ომის შემდეგ დაუსრულებელი ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნის პროცესი გაგრძელდა.

ეს გადამწყვეტ ეტაპზე შევიდა **ლუდოვიკო XI-ის** მმართველობის დროს. სახელმწიფოს მართვის უნარისათვის ლუდოვიკო XI თავის მტრებთან ბრძოლაში ეშმაკობას იყენებდა. იგი თავის მოწინააღმდეგეებს ერთმანეთის წინააღმდეგ ბრძოლისკენ უბიძგებდა, რითაც ხელს უშლიდა მათ გაერთიანებას და თითოეულს ცალ-ცალკე ამარცხებდა.

ამრიგად, XV ასწლეულის ბოლოს საფრანგეთის, როგორც ერთიანი სახელმწიფოს, ჩამოყალიბება ძირითადად დასრულდა. უკვე ქვეყანას მეფე მართავდა. ეს ნიშნავდა **ცენტრალიზებული სახელმწიფოს** შექმნას.

ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნამ ხელი შეუწყო **აბსოლუტური მონარქიის** *(მეფის ერთპიროვნული ხელისუფლების)* ჩამოყალიბების პროცესს.

Layna

რუკის საფუძველზე გააანალიზეთ XI-XV ასწლეულებში საფრანგეთში მომხდარი გეოპოლიტიკური ცვლილებები.

Layline

19 ინგლისი

ჰასტინგსის ბრძოლა, ნორმანული დაპყრობა, პარლამენტი, უოტ ტაილერის აჯანყება, ალისფერი და თეთრი ვარდების ომი

ვილჰელმ I

ინგლისის ერთი ნაწილი ვიკინგებმა IX ასწლეულიდან დაიპყრეს. ისინი აქ ადრე დასახლებულ ანგლო-საქსებს შეერივნენ და ინგლისელები ეწოდათ. ***ინგლისში ფეოდალიზაციის პროცესი XI ასწლეულის მეორე ნახევარში ნორმანების მიერ დაპყრობით დასრულდა.*** ნორმანდია საფრანგეთის ჩრდილო-დასავლეთში მდებარეობდა. ნორმანდიის ჰერცოგ ვილჰელმის პრეტენზია ინგლისის ტახტზე ამ ქვეყანაში ლაშქრობის საბაბი გახდა. ამ პრეტენზიას საფუძვლად ედო მისი ნათესაობა გარდაცვლილ ინგლისის მეფესთან. 1066 წელს **ჰასტინგსთან** ვილჰელმისა და ინგლისის მეფის ჯარები პირისპირ შეხვდნენ. ბრძოლა ნორმან მშვილდოსანთა შეტევით დაიწყო, მაგრამ წარუმატებელი აღმოჩნდა. იმიტომ, რომ ანგლო-საქსების ფართო ფარები მათ ისრებისგან იცავდა. შეტევებისგან შედეგს მიუღწეველმა ნორმანებმა ეშმაკობას მიმართეს და უკან დაიხიეს.



სქემის საფუძველზე გააანალიზეთ ჰასტინგსის ბრძოლის მსვლელობა.

Layout

ამით გამხნევებულმა ანგლო-საქსებმა შეტევაზე გადაინაცვლეს. მაგრამ ნორმანთა ჯარი უკან შემოტრიალდა და სწრაფად მოძრავმა ცხენოსანმა ჯარმა ანგლო-საქსი ქვეითები დაამარცხა.
ვილჰელმი ლონდონში შევიდა და თავი ინგლისის მეფედ გამოაცხადა. სამოქალაქო ადმინისტრაციასა და საეკლესიო თანამდებობებზე ადგილობრივები ნორმანებმა შეცვალეს. დაპყრობის შედეგად მმართველი ფენა შეიცვალა. ყველა სახნავი მიწის მეშვიდედი ნაწილი, ქალაქების უმრავლესობა მეფის საკუთრება გახდა. დაპყრობილი ტერიტორიების ნაწილის თავის ვასალებზე დარიგებამ ამ პერიოდში ინგლისში სამეფო ხელისუფლება გააძლიერა. ამრიგად, ინგლისის მეფე უდიდეს მიწათმფლობელად იქცა. გლეხების მნიშვნელოვანი ნაწილი ყმურ მდგომარეობაში ჩააგდეს.

ჰასტინგსის ბრძოლა. შუა საუკუნეების მინიატურა

3 **როგორ ფიქრობთ, მინიატურაზე გამოსახულთაგან რომელია ინგლისის ჯარი? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრებები ტექსტის გამოყენებით.**

5 ნორმანების მოსვლამდე ინგლისელები პატარა სოფლებში ცხოვრობდნენ. თითოეული ოჯახი თავის კუთვნილ მიწის მცირე ნაკვეთს ამუშავებდა. თითოეულ ოჯახს ჰქონდა დიდი და ღია ტერიტორია, ე.წ. საერთო მიწა, სადაც ისინი თავიანთ ცხვრებს, ძროხებსა და ღორებს მწყემსავდნენ. თითოეულ სოფელს ჰყავდა შერიფი, ანუ პოლიციელი, რომელიც კანონების დაცვას აკონტროლებდა. ინგლისელი გლეხები ომის დროს მეფის სარდლობით იბრძოდნენ დამპყრობლების წინააღმდეგ.

6 **წყაროს საფუძველზე შეაფასეთ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ინგლისში ნორმანული დაპყრობის წინ.**

Leavine

ლონდონი შუა საუკუნეებში

ინგლისში დაპყრობის შემდეგ, მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც რჩებოდნენ თავისუფალი გლეხები. ყმებთან ერთად თავისუფალი გლეხების არსებობა შუა საუკუნეებში ინგლისში აგრარული განვითარების ერთ-ერთი თავისებურება იყო. ქალაქებმა ჯერ კიდევ ნორმანულ დაპყრობამდე, X-XI ასწლეულებში, გაჩენა დაიწყო. დაპყრობის შემდეგ ინგლისის საგარეო სავაჭრო ურთიერთობები გაფართოვდა. ქალაქების განვითარების საფუძველს, სხვა ქვეყნების მსგავსად, ხელოსნობა და ვაჭრობა შეადგენდა.

ნორმანული დაპყრობის შედეგები ინგლისისთვის	
პოლიტიკური შედეგები	**სოციალურ-ეკონომიკური შედეგები**
• სამეფო ხელისუფლება გაძლიერდა. • ქვეყნის პოლიტიკური ერთიანობა განმტკიცდა. • ცენტრალიზებული სახელმწიფოს საფუძველი ჩაეყარა.	• ფეოდალიზაციის პროცესი დასრულდა. • გლეხები ძირითადად ყმურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. • შიდა და საგარეო ვაჭრობა გაფართოვდა.

Layire

როგორც ცნობილია, ინგლისში ქალაქების უმეტესობა მეფის საკუთრებაში მდებარეობდა. ამიტომ საფრანგეთისგან განსხვავებით, ინგლისში ქალაქებმა თვითმმართველობის უფლება ვერ მოიპოვეს. ყველა ფეოდალი უშუალოდ მეფის ვასალი იყო. ამ მხრივ ინგლისი სხვა ევროპული ქვეყნებისგან განსხვავდებოდა. ფეოდალები ვალდებულნი იყვნენ მეფისთვის სამხედრო სამსახური გაეწიათ და გადასახადი გადაეხადათ. ამ ფაქტორებმა XI-XII ასწლეულებში ინგლისში სამეფო ხელისუფლების უფრო სიძლიერეზე იქონია გავლენა. XII ასწლეულის მეორე ნახევარში ინგლისში სამეფო ხელისუფლება კიდევ უფრო გაძლიერდა. **ჰენრი II-ის** მმართველობის დროს საფრანგეთის ზოგიერთი მიწაც მის ხელში გადავიდა.

ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებაში ჰენრი II-ის რეფორმებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა.

სასამართლო რეფორმის თანახმად, ყველა თავისუფალ ადამიანს გარკვეული გადასახადის სანაცვლოდ შეეძლო მეფის სასამართლოსთვის მიემართა. ამრიგად, მთელი ქვეყნისთვის **ერთიანი სამეფო სასამართლო** ყალიბდებოდა.

სამხედრო რეფორმის საფუძველზე ფეოდალებს უნდა გადაეხადათ სპეციალური გადასახადი, რომელსაც **"ფარის ფული"** ეწოდებოდა. ამ გადასახადის ხარჯზე მეფე სამხედრო სამსახურში იწვევდა დაქირავებულ რაინდებს.

ეს ამცირებდა მეფის დამოკიდებულებას ფეოდალურ ჯარებზე. გარდა ამისა, ყველა თავისუფალ ადამიანს თავისი ქონების შესაბამისად უნდა ჰქონოდა გარკვეული იარაღი და მეფის მოწოდებით ლაშქრობაში უნდა მიეღო მონაწილეობა.

ეს რეფორმები აძლიერებდა სამეფო ხელისუფლებას. XII ასწლეულის ბოლოსაკენ ნორმანებისა და ინგლისის ადგილობრივი მოსახლეობის თანდათანობითი შერევის პროცესი დასრულდა და ქვეყანაში ენობრივი განსხვავებები გაქრა.

მოსახლეობის ძირითადი ნაწილის - გლეხების, ქალაქელებისა და ფეოდალების უმეტესობის სასაუბრო ენა ინგლისური ენა იყო. მაგრამ ფეოდალური არისტოკრატია, სამეფო მოხელეები ფრანგულ ენასაც იყენებდნენ.

სახელმწიფო ორგანოებში ოფიციალურ ენად კი ფრანგული და ლათინური ენა გამოიყენებოდა.

მეფე ჰენრი II

3 **რაში მდგომარეობდა "ფარის ფულის" არსი?**

3 **საფრანგეთისგან განსხვავებით, რა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური თავისებურებები ჰქონდა ინგლისს XI ასწლეულში?**

Მ **შეავსეთ ცხრილი ჰენრი II-ის რეფორმებთან დაკავშირებით.**

ჰენრი II-ის რეფორმები	
სასამართლო	
სამხედრო	
შედეგი	

Layine

პარლამენტის შექმნა

3 **რა როლი ჰქონდა პარლამენტს სახელმწიფო მმართველობაში?**

1265 წელს ინგლისის ისტორიაში პირველად მოიწვიეს პარლამენტი. პარლამენტში წარმოდგენილი იყვნენ მსხვილი ფეოდალები, უმაღლესი სამღვდელოება, რაინდები და ქალაქების წარმომადგენლები. მეფეს გადასახადები პარლამენტთან შეთანხმებით შეეძლო დაეწესებინა. XIVასწლეულში პარლამენტმა გადასახადების დაწესებასთან ერთად, კანონების გამოცემის უფლებაც მოიპოვა.

რ **როგორ აისახება ეპიდემიები სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე, დააკავშირეთ თანამედროვე ეპოქასთან.**

XIV ასწლეულის შუა წლებში ევროპა და ინგლისი **ჭირის ეპიდემიამ** მოიცვა. ადამიანების მიერ **"შავი სიკვდილის"** სახელით წოდებული ამ ეპიდემიის შედეგად ინგლისის მოსახლეობის ნაწილი დაიღუპა. ეპიდემიის დასრულების შემდეგ სამუშაო ძალაზე მოთხოვნა გაიზარდა. ამიტომ მიიღეს კანონი, რომელიც 12-დან 60 წლამდე ასაკის ყველა ადამიანს, ვისაც არ გააჩნდა მიწა და შემოსავლის სხვა წყარო, აიძულებდა დაბალი ხელფასით ემუშავა. უარმყოფელნი მკაცრ სასჯელს ექვემდებარებოდნენ. ეს დაუნდობელი კანონები მოსახლეობის უკმაყოფილებას და აჯანყებებს იწვევდა. სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა ლეგენდები ცნობილ **რობინ ჰუდზე,** რომელიც ფეოდალური ჩაგვრის წინააღმდეგ იბრძოდა.

XIV ასწლეულის მეორე ნახევარში ინგლისში გლეხების მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა. ასწლიანი ომის მსვლელობაში გადასახადების ზრდამ გლეხების უკმაყოფილება გამოიწვია.

1381 წელს **უოტ ტაილერის** ხელმძღვანელობით გლეხთა აჯანყება მოხდა. გლეხებმა ლონდონზე გაილაშქრეს, რათა მეფეს შეხვედროდნენ და მათი მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებები ეთხოვათ. ისინი "კეთილ მეფეს" ენდობოდნენ. მეფესთან შეხვედრილმა გლეხებმა მოსთხოვეს **ყმობისა** და **ბეგარის გაუქმება, გადასახადების შემცირება**. მეფე თავიდან მოთხოვნებს დათანხმდა. მაგრამ შემდეგ ეშმაკობასა და ღალატს მიმართა და აჯანყების ჩახშობა შეძლო. აჯანყება დამარცხდა, თუმცა გადასახადები გარკვეულწილად შემცირდა, დაბალი ხელფასით მუშაობის იძულების კანონები შერბილდა. გლეხების ყმობისაგან გათავისუფლება დაჩქარდა.

უოტ ტაილერის აჯანყება

რ **შეადარეთ უოტ ტაილერისა და საფრანგეთის ჟაკერიის აჯანყება.**

	უოტ ტაილერის აჯანყება	ჟაკერიის აჯანყება
განსხვავებული მხარე		
მსგავსი მხარე		

ალისფერი და თეთრი ვარდების ომი

ალისფერი და თეთრი ვარდების ომი

ინგლისში **XV ასწლეულის მეორე ნახევარში** ორ ფეოდალურ დაჯგუფებას შორის ხელისუფლებისათვის ომი დაიწყო. ფეოდალური დაჯგუფებებიდან ერთ-ერთის დროშაზე ალისფერი, მეორეზე კი თეთრი ვარდის გამოსახულება იყო. ვარდების ფერის შესაბამისად, ამ ომს **ალისფერი და თეთრი ვარდების ომი** ეწოდა.
ომი მოიცავდა 1455–1485 წლებს. შედეგად ინგლისში ახალი დინასტია – **ტიუდორები** მოვიდა ხელისუფლებაში. ამ დინასტიის დამაარსებელმა, **ჰენრი VII-მ,** ცენტრალური ხელისუფლების განსამტკიცებლად მსხვილ ფეოდალებთან ბრძოლა დაიწყო. მან გასცა ბრძანება ფეოდალური სამხედრო რაზმების გაუქმების შესახებ. დაუმორჩილებელი ფეოდალების ციხესიმაგრეები ქვემეხების სროლით დაანგრიეს. ამრიგად, ინგლისში **აბსოლუტური მონარქიის** შექმნის პროცესი დაიწყო.
ცენტრალიზებული ფეოდალური სახელმწიფოს შექმნამ და ეკონომიკური კავშირების გაფართოებამ ინგლისში ენობრივი განსხვავებების თანდათანობით გაქრობა გამოიწვია. ფრანგული, ლათინური და სხვა ენების გავლენით გამდიდრებული ინგლისური ენა ჩამოყალიბდა. XV ასწლეულში ინგლისელთა ტერიტორიული და ენობრივი ერთიანობა ძირითადად განისაზღვრა.

ელიზაბედ I

ელიზაბედ I

XVI ასწლეულში ტიუდორების დინასტიის უკანასკნელი მმართველი, **ელიზაბედ I**, კოლონიებისათვის ბრძოლაში ინგლისელ მეკობრეებს მფარველობდა. ამ პერიოდში საზღვაო ვაჭრობისა და კოლონიებისათვის ბრძოლაში ინგლისის მთავარი მეტოქე ესპანეთი იყო. დედოფლის ბრძანებით ინგლისელი მეკობრეები ესპანურ გემებს თავს ესხმოდნენ. ამან ორ სახელმწიფოს შორის შეტაკება გამოიწვია.
1588 წელს ესპანეთის საზღვაო ფლოტი, რომელსაც **"უძლეველი არმადა"** ეწოდებოდა, **ლა-მანშის** სრუტეში დამარცხდა. ამის შემდეგ საზღვაო ვაჭრობისა და კოლონიებისათვის ბრძოლაში ინგლისის პოზიციები გაძლიერდა.
ელიზაბედ I-ს სურდა ჩრდილოეთ ამერიკაში ინგლისური კოლონიის დაარსება. ამიტომ მან რამდენიმე ექსპედიცია მოაწყო ამ მხარეში. ამ ექსპედიციების შედეგად ამერიკიდან ინგლისში კარტოფილი და თამბაქო ჩამოიტანეს. ინგლისში დაიწყეს ამ კულტურების მოყვანა.

შეავსეთ დროის ღერძი ინგლისის XI–XV ასწლეულების ისტორიასთან დაკავშირებით.



Leyla

20 რეფორმაცია

მარტინ ლუთერი, ტომას მიუნცერი, აუგსბურგის ზავი, პროტესტანტობა

2 განსაზღვრეთ მიზეზები, რომლებმაც ხელი შეუწყო რეფორმაციის დაწყებას გერმანიაში.

3 რა იყო გერმანიის დაქსაქსულობის მიზეზი და რა პრობლემებს ქმნიდა ეს?

3 რა იყო ეკლესიის ავტორიტეტის მოპოვების ძირითადი მიზეზები ევროპაში?

რეფორმაცია რელიგიური მოძრაობაა. ის ლათინური სიტყვაა და ნიშნავს "განახლებას" და "მოწესრიგებას". ეს მოძრაობა XVI ასწლეულის პირველ მეოთხედში გერმანიიდან დაიწყო და თანდათან ევროპის დიდ ნაწილზე გავრცელდა. რეფორმაციამ ბევრ ევროპულ ქვეყანას, განსაკუთრებით კი გერმანიას, ბევრი სიახლე მოუტანა. გერმანიაში რეფორმაციის გაჩენას ჰქონდა პოლიტიკური, რელიგიური, სოციალური და ეკონომიკური მიზეზები.

პოლიტიკური თვალსაზრისით. რეფორმაციის წინ, სხვა ევროპულ სახელმწიფოებთან შედარებით, გერმანია პოლიტიკურად ერთიანი კი არა, დაქსაქსული იყო. საღვთო რომის იმპერიის საზღვრებში მოქცეული გერმანია, ზოგიერთი ევროპული ქვეყნისგან განსხვავებით, მოკლებული იყო ძლიერ სამეფო ხელისუფლებას. დაქსაქსული გერმანიის ტერიტორია მრავალ მდიდარ ოჯახს, მრავალრიცხოვან თავადსა და ჰერცოგს შორის იყო დაყოფილი.

მეორე მხრივ, საღვთო რომის იმპერიის მმართველი დინასტია, ჰაბსბურგები, ხელს უწყობდნენ კათოლიკური ეკლესიის ყურადღების გერმანიაზე მიმართვას. ამ მიზეზით ეკლესია გერმანიაში ისე მოქმედებდა, როგორც სურდა. გერმანულ მიწებზე, გერმანელი ხალხის კულტურულ ცხოვრებაზე, აგრეთვე გერმანელ გმირებზე ნაწარმოებების დაწერამ და მათმა სწრაფმა გავრცელებამ მოსახლეობაში, გაზარდა ხალხის საბრძოლო სულისკვეთება კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ.

რელიგიური თვალსაზრისით. რეფორმაციამდელ პერიოდში გერმანელების რელიგიური ცხოვრება კათოლიკური ეკლესიის კონტროლის ქვეშ იყო. გერმანიაში პოლიტიკური ხელისუფლების სისუსტით სარგებლობდა ეკლესია და რელიგიურ სფეროში არსებულ ძალაუფლებას ეკონომიკური შემოსავლის წყაროდ აქცევდა. რომის პაპები გერმანიაში ინდულგენციების გაყიდვით დიდძალ ფულს შოულობდნენ.

სოციალური თვალსაზრისით. XVI ასწლეულში გერმანიაში სოფელთან შედარებით ქალაქში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობა მცირე იყო.

ვინაიდან მოსახლეობის ქალაქებში დასახლების დონე დაბალი იყო, ეს განათლებაზეც აისახებოდა. გერმანელების ამ პერიოდში სოფლებში ცხოვრება რეფორმაციის დაწყებისათვის ხელშემწყობი ფაქტორი იყო. გერმანელების თვითშეგნების პროცესში განსაკუთრებით

Layme

დიდი გავლენა ჰქონდათ გლეხებს. იმიტომ, რომ გლეხები ნაკლებად განათლებულნი ან გაუნათლებელნი იყვნენ და ლათინური კულტურისათვის უცხონი იყვნენ. მათ ქალაქელებთან შედარებით უფრო მეტად შეინარჩუნეს გერმანული იდენტობა.

გერმანია კულტურულადაც კათოლიკური ეკლესიის გავლენის ქვეშ იყო. ეკლესია რელიგიური რიტუალების საშუალებით ლათინური ენის გერმანიაში სავალდებულო ენად ქცევას ცდილობდა. განათლებაში ლათინური ენის ცოდნა სავალდებულო იყო და გერმანულ ენაზე მოლაპარაკე მოსწავლეებს სჯიდნენ. მარტინ ლუთერიც ასეთ მოსწავლეთაგანი იყო, რამაც მის მომავალ საქმიანობაზე გავლენა მოახდინა.

ეკონომიკური თვალსაზრისით. რეფორმაციის წინ გერმანია ჩამორჩებოდა ინგლისს, იტალიასა და ჰოლანდიას. ინფლაცია გაიზარდა, მონოპოლიზმმა და მექრთამეობამ ფართო გავრცელება ჰპოვა. ვაჭრები ცდილობდნენ, სახელმწიფოს მხრიდან მათ მიმართ ჩარევისთვის თავი აერიდებინათ იმპერატორისათვის ქრთამის მიცემით. ამ პერიოდში გერმანიაში ეკონომიკა, ძირითადად, სოფლის მეურნეობასა და სამთო მოპოვებაზე იყო დაფუძნებული. გერმანია ფულის მოთხოვნილებას, ძირითადად, გაყიდული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარჯზე აკმაყოფილებდა.

გერმანიაში მიწების დიდი ნაწილი კათოლიკურ ეკლესიას ეკუთვნოდა. ეკლესია ამ მიწებიდან დიდი რაოდენობით გადასახადებს აგროვებდა. ამ გადასახადების ხარჯზე შენდებოდა ახალი ეკლესიები, ფინანსდებოდა ოსმალებთან წარმოებული ომები.

1517 წელს მარტინ ლუთერის მიერ ვიტენბერგში 95 მუხლიანი თეზისების* ეკლესიის კარებზე გამოკვრით დაიწყო გერმანიაში რეფორმაციული მოძრაობა. ინდულგენციების მკვეთრი კრიტიკის შემცველი ეს თეზისები რეფორმაციის პროგრამად იქცა. ლუთერის კათოლიკური ეკლესიისადმი პროტესტი მოკლე დროში მივიდა რომის პაპამდე. პაპმა ლუთერი რომში დაიბარა, მაგრამ ის არ წავიდა....

...იმიტომ, რომ კარგად იცოდა წინა გამოძახებების შედეგები. ლუთერმა გერმანიაში დიდი ავტორიტეტის მქონე საქსონიის თავადს შეაფარა თავი. მას კი, პაპების მცდელობების მიუხედავად, ლუთერი მათთვის არ გადაუცია.

3 **როგორ ფიქრობთ, რა გავლენა იქონია მარტინ ლუთერის აქ მოსწავლეობამ მის მომავალ საქმიანობაზე?**

*** თეზისი**

ინფორმაციის ძირითადი აზრების მოკლე წერილობითი შინაარსი.

Levine

მარტინ ლუთერის მიერ ვიტენბერგში 95 მუხლიანი თეზისების ეკლესიის კარებზე გამოკვრა

ვორმსში გამართულ კრებაზე მიიღეს გადაწყვეტილებები ლუთერისა და მისი მომხრეების წინააღმდეგ. ამ გადაწყვეტილებების თანახმად, ლუთერის ნაწარმოებები უნდა დაეწვათ, მისი მომხრეები კი დაეპატიმრებინათ. მაგრამ საქსონიის თავადმა ამის საშუალება არ მისცა. თავადებისგან განსხვავებით, იმპერატორი რეფორმაციის გერმანიაში გავრცელების წინააღმდეგი იყო. ამიტომ მიიღო გადაწყვეტილებები, რომ რეფორმაცია სხვა ტერიტორიებზე არ გავრცელებულიყო. ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ რამდენიმე თავადმა და ქალაქმა **გააპროტესტა***. ამ დროიდან მოყოლებული, ლუთერის მომხრეებს **პროტესტანტები** ეწოდათ.

მარტინ ლუთერის გამოსვლა სასულიერო პირების წინაშე

პროტესტანტი რეფორმატორები

ლუთერისა და პროტესტანტების მიერ წარმოებული ბრძოლა 1555 წელს **აუგსბურგის** ზავის ხელმოწერით დასრულდა. ზავის თანახმად, პროტესტანტების რელიგიური თავისუფლება ოფიციალურად იქნა აღიარებული, პროტესტანტ თავადებს დიდი პრივილეგიები მიენიჭათ.

***პროტესტი**

ნიშნავს გაპროტესტებას.

რეფორმაციის შედეგად რელიგიური წეს-წესრიგი მნიშვნელოვნად შეიცვალა. ადრე კათოლიკური ეკლესიის გავლენის ქვეშ მყოფი ევროპა იძულებული გახდა, მიეღო ახლად წარმოქმნილი პროტესტანტული ეკლესია. რეფორმაციის წარმატებით დასრულების მრავალი მიზეზი არსებობდა.

1. **პოლიტიკური ხელისუფლება.** გერმანიაში ზოგიერთი თავადი რეფორმაციის მომხრე იყო. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა საქსონიის თავადი. მან განსაკუთრებული როლი ითამაშა ლუთერის კათოლიკური ეკლესიისგან დაცვაში.

2. **სტამბა.** ლუთერის იდეები სტამბებში გაზეთებისა და წიგნების სახით გერმანულ ენაზე იბეჭდებოდა და ხალხში სწრაფად ვრცელდებოდა. რომის პაპების მიერ გავრცელებული ლათინური ენისგან განსხვავებით, ეს ნაწარმოებები მოსახლეობისთვის ადვილად გასაგები იყო.

XI ასწლეულში ქრისტიანობა, ამჯერად კი კათოლიკური ეკლესია გაიყო. გამოყოფილი პროტესტანტები უკვე აღარ ემორჩილებოდნენ პაპს. კათოლიკურმა ეკლესიამ დაკარგა როგორც თავისი ქონების დიდი ნაწილი, ისე ადრინდელი ავტორიტეტი.

3 **როგორ შეაფასებდით სტამბის როლს რეფორმაციის წარმატების მიღწევაში?**

რეფორმაციამ გამოააშკარავა კათოლიკური ეკლესიის ნამდვილი განზრახვები. როდესაც მასებმა მათგან განდგომა დაიწყეს, პაპმა ყველა საშუალებას მიმართა დაკარგულის დასაბრუნებლად.

იესოს საზოგადოების, პაპის სასამართლოების შექმნა ამ მიზანს ემსახურებოდა. შექმნილი ორგანოები მკაცრი წესებით იმართებოდა. პაპები მიზნის მისაღწევად ხოცვა-ჟლეტას აწყობდნენ, მათ წინააღმდეგ მებრძოლებს კოცონზე წვავდნენ. ასეთი საშინელი ხოცვა-ჟლეტა მოხდა 1572 წელს საფრანგეთში. დედაქალაქ პარიზში პროტესტანტები მასობრივად გაჟლიტეს.

Layine

თომას მიუნცერი

გლეხთა რეფორმაცია გერმანიაში

გლეხთა რეფორმაციის ხელმძღვანელი იყო თომას მიუნცერი. იგი, ლუთერისგან განსხვავებით, მოუწოდებდა ფეოდალური წესებისა და არსებული პრობლემების შეიარაღებული ბრძოლის გზით გადაწყვეტისკენ. ამისათვის გლეხები 1524 წელს აჯანყდნენ.

ქალაქის ღარიბი ფენებიც გლეხების მხარეს აჯანყებას შეუერთდნენ. ისინი ფეოდალების ქონებას იტაცებდნენ და ძარცვავდნენ. მდიდარი ქალაქელები კი ლუთერთან ერთად ფეოდალების მხარეს გადავიდნენ და აჯანყებულების მოკვლისკენ მოუწოდებდნენ.

გლეხები ერთიანად კი არა, ცალ-ცალკე იბრძოდნენ და სამხედრო საქმეც არ იცოდნენ. ერთი ჯგუფი აჯანყებას იწყებდა, მეორე ჯგუფი კი უკან იხევდა. აჯანყებულების წინააღმდეგ დაქირავებული ჯარი გაგზავნეს. მიუნცერის მცდელობის მიუხედავად, გლეხთა აჯანყება 1525 წელს დამარცხდა. თავად მიუნცერი ტყვედ ჩავარდა და სიკვდილით დასაჯეს.

გლეხთა ომი ფეოდალური წესების წინააღმდეგ იყო მიმართული. ფეოდალური წესების გაუქმება **ბურჟუაზიის*** ინტერესებში შედიოდა. თუმცა, ახლადჩამოყალიბებულმა ბურჟუაზიამ აჯანყების ხელმძღვანელობა ვერ შეძლო.

აჯანყების სასტიკი ჩახშობის შემდეგ, გლეხების მიმართ ფეოდალური წესები კიდევ უფრო გამკაცრდა. ***პირადად თავისუფალი გლეხებიც ყმებად აქციეს.*** ფეოდალური დაქუცმაცებულობა კი დიდხანს გაგრძელდა.

*** ბურჟუაზია**

კაპიტალისტურ საზოგადოებაში მმართველი კლასი, რომელიც ფლობს წარმოების საშუალებებსა და იარაღებს და იყენებს დაქირავებულ შრომას მოგების მისაღებად.

გლეხთა ომი



1 დაადგინეთ მარტინ ლუთერისა და თომას მიუნცერის რეფორმაციისადმი დამოკიდებულების მსგავსი და განსხვავებული მხარეები.

	მარტინ ლუთერი	თომას მიუნცერი
განსხვავებული მხარე		
მსგავსი მხარე		

3 რა იყო გერმანიაში გლეხთა აჯანყების დამარცხების მიზეზები?

Layme

XVI-XVII ასწლეულებში რეფორმაცია და
კონტრრეფორმაცია დასავლეთ ევროპაში
კათოლიკური ეკლესიის ბატონობის ტერიტორიები
ლუთერანული
კალვინისტური
ანგლიკანური
ტერიტორიები, სადაც კათოლიკებსა და
პროტესტანტებს შორის ბრძოლა გრძელდებოდა
XVII ასწლეულის შუა ხანებში კათოლიკეებისთვის
დაბრუნებული ტერიტორიები
საღვთო რომის იმპერიის საზღვრები
ბალტიის ზღვა
ჩრდილოეთის ზღვა
ირლანდია
ინგლისი
ლა-მანშის სრუტე
საღვთო რომის
იმპერია
საფრანგეთი
ბისკაის ყურე
ოსმალეთის
იმპერია
იტალია
ბალეარის ზღვა
ტირენიის
ზღვა
პორტუგალია
ესპანეთი
გიბრალტარის სრუტე
ხმელთაშუა
ზღვა
Layire

21 ტექნიკური გამოგონებები. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები

ბრძმედის ღუმელი, მუშკეტი, კარაველა, ქრისტეფორე კოლუმბი, ამერიგო ვესპუჩი, მაგელანი, ინდიელები.

ევროპაში XV-XVI ასწლეულებში ტექნიკური აღჭურვილობის განვითარებაში დიდი სიახლეები იქნა მიღწეული. წყლის ძრავები გაუმჯობესდა, **გამოიგონეს ზემოდან მბრუნავი ბორბლები**. ეს ბორბლები უფრო სწრაფად მოძრაობდა, რადგან წყალი მათ ზემოდან ეცემოდა. ასეთი ბორბლები შესაძლებელს ხდიდა მადნების მეტი რაოდენობით მოპოვებას მაღაროებში, ქაღალდის წარმოებასა და ლითონის გამოჭედვას.
ახალი ბორბლები ზრდიდა მადნის მოპოვების პროდუქტიულობას. ეს კი საჭიროებდა ლითონის დნობისა და დამუშავების გაუმჯობესებას. შედეგად, გაჩნდა მსხვილი **ბრძმედები** (ლითონის მსხვილი სადნობი ღუმელები). ბრძმედებში შესაძლებელი იყო მეტი ლითონის დნობა. ლითონის დამუშავების გაფართოების შედეგად გაიზარდა თუჯის, რკინისა და ფოლადის წარმოება. გაიზარდა მოთხოვნა ქვანახშირზე, როგორც საწვავზე.
თუჯისა და რკინის წარმოების ზრდამ შექმნა პირობები ცეცხლსასროლი იარაღის წარმოებისთვის. XVI ასწლეულში იყენებდნენ მძიმე **საველე ქვემეხებს.** უკვე დაიწყეს ხელის ცეცხლსასროლი იარაღის: **პისტოლეტებისა და მძიმე თოფების (მუშკეტების)** დამზადება. ამ სიახლეების შედეგად, ფეოდალური რაინდული ჯარი ადგილს უთმობდა ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებულ დაქირავებულ ჯარს. ფეოდალური ციხესიმაგრეები უკვე საიმედო თავშესაფარს აღარ წარმოადგენდა. ქვემეხების სროლებს ადვილად შეეძლო ამ ციხეების გალავნის დანგრევა.

3 **რა სიახლეები გამოიწვია ცეცხლსასროლი იარაღის წარმოებამ სამხედრო სფეროში?**

5 დენთი პირველად ჩინელებმა აღმოაჩინეს და იყენებდნენ გასართობ ღონისძიებებში. შემდეგ ის თურქებმა აითვისეს. ჯვაროსნული ლაშქრობების დროს ევროპელებმაც დაიწყეს მისი გამოყენება. დენთის გამოყენებით დამზადდა ცეცხლსასროლი იარაღი. მეფეები ქვემეხების გამოყენებით იპყრობდნენ დაუმორჩილებელი მსხვილი ფეოდალების ციხესიმაგრეებს.



ამით ევროპაში ფეოდალური დაქუცმაცებულობა ძლიერმა სამეფო ხელისუფლებამ შეცვალა.

ევროპელი მეზღვაურები შორეულ ექსპედიციებში გასვლას ფრთხილობდნენ. შორეულ ექსპედიციაში გასვლა ძალიან სახიფათოდ ითვლებოდა. მათ არ გააჩნდათ ზუსტი რუკები და მიმართულების დასადგენად ზღვის ნავიგაციის ინსტრუმენტები. ამიტომ, გემების ადგილსამყოფელს მხოლოდ მაშინ ადგენდნენ, როცა ამინდი მოწმენდილი იყო და ვარსკვლავებს ხედავდნენ.

კარაველა

კომპასის შექმნამ და ერთგვარი ნავიგაციური ინსტრუმენტების გამოგონებამ მეზღვაურთა საქმე გააადვილა. ახლა ისინი ღია ზღვაში ადვილად აღწევდნენ შორეულ ნაპირებამდე.
XV ასწლეულში სპეციალური მცურავი გემების – **კარაველების** – აგებამ ზღვის მოგზაურებს შორეულ ექსპედიციებში გასვლის საშუალება მისცა. წინამორბედებისგან განსხვავებული ეს გემები სწრაფად მოძრაობდნენ და ქარის მიმართულების მიუხედავად, ნებისმიერი მიმართულებით ცურავდნენ.

3 **რა იყო XV-XVI ასწლეულების ტექნიკური სიახლეების დადებითი და უარყოფითი მხარეები?**

ევროპელები ამერიკაში

კონსტანტინოპოლის დაპყრობამ გაართულა ევროპელების კავშირები აღმოსავლეთის ქვეყნებთან. ოსმალები აკონტროლებდნენ მცირე აზიასა და სირიაში გამავალ ტრადიციულ სავაჭრო გზებებს. ამიტომ, ევროპელი ვაჭრები და მოგზაურები იძულებულნი გახდნენ, ახალი გზები ეძიათ.
ფულის მოსაჭრელად ძვირფასი ლითონების სიმცირეც იზიდავდა მათ აზიის ქვეყნებისკენ. ოქრო, ვერცხლი, აღმოსავლური ნატიფი ქსოვილები და ძვირადღირებული სანელებლებიც ევროპელთა ინტერესს იწვევდა. განსაკუთრებით იზიდავდა მათ ინდოეთი.
ევროპელმა მოგზაურებმა დაიწყეს ჰიპოთეზების გამოთქმა დედამიწის სფერულობის შესახებ. მათი აზრით, დასავლეთისკენ მოძრაობით შეუფერხებლად შეიძლებოდა ...
...ინდოეთამდე მიღწევა. მაგრამ მეზღვაურებს ამხელა

Layline

ქრისტეფორე კოლუმბი

ამერიგო ვესპუჩი

*** მისიონერობა**

რომელიმე რელიგიის ქადაგება იმ ტერიტორიებზე, სადაც ის არ არის გავრცელებული.

3 **რა მნიშვნელობა ჰქონდა ამერიკის კონტინენტის აღმოჩენას?**

4 **ჩამოთვალეთ ამერიკის კონტინენტის აღმოჩენამდე მიმყვანი ფაქტორები.**

მანძილის დასაფარად გამოცდილება არ ჰქონდათ. იტალიელი წარმოშობის **ქრისტეფორე კოლუმბი** ახალგაზრდობაში ბევრ გეოგრაფიულ რუკას გაეცნო. იგი ცდილობდა დაერწმუნებინა ესპანეთის მეფე, რომ ესპანეთიდან დასავლეთისკენ გაცურვით ინდოეთში მოხვედრა შესაძლებელი იყო.

საბოლოოდ, თანხმობის მიღების შემდეგ, კოლუმბი 1492 წელს კარაველებით დასავლეთისკენ გაემგზავრა. დიდი ხნის შემდეგ კოლუმბის გემები ნაპირს მიადგნენ. რადგან იფიქრეს, რომ ეს ადგილები ინდოეთი იყო, ნანახი ადგილობრივებს შეცდომით ინდოელები უწოდეს. შედეგად, **აღმოჩენილ იქნა** კუნძულები **კუბა** და **ჰაიტი**, მაგრამ ოქრო და სხვა ძვირფასი ლითონები ვერ იპოვეს. რამდენიმე ექსპედიციის მოწყობის მიუხედავად, კოლუმბის სიმდიდრის ძიება უშედეგო აღმოჩნდა.

გარკვეულ ხანში იტალიელმა მოგზაურმა, **ამერიგო ვესპუჩიმ,** დაამტკიცა, რომ კოლუმბის მიერ აღმოჩენილი ადგილები ახალი კონტინენტი იყო. ამიტომ, ამ კონტინენტს მის პატივსაცემად ამერიკა ეწოდა.

ევროპელების აღმოჩენილ მიწებზე ყველაზე ადრე ჯარისკაცები, ვაჭრები და ქრისტიანი **მისიონერები*** მიდიოდნენ.

ვაჭრები ამ ტერიტორიებზე მტაცებლური მეთოდებით ვაჭრობდნენ, მღვდლები კი ადგილობრივი მოსახლეობის გაქრისტიანებით მათ მორჩილებაში ყოლას ისახავდნენ მიზნად. ვინც ქრისტიანობას არ იღებდა, სიკვდილით ისჯებოდა.

ასე ნადგურდებოდა ახალი კონტინენტის მკვიდრნი ძველი კონტინენტის გაუმაძღარი და ბარბაროსული გონებით, ძარცვავდნენ მათ ქონებას, თავადებს კი მასობრივად ხოცავდნენ. ევროპელმა დამპყრობლებმა ამერიკელი ხალხებიც და მათი უძველესი და მდიდარი კულტურაც სასტიკად გაანადგურეს.

ადგილობრივი მოსახლეობის – ინდიელების – გენოციდმა ამერიკაში მონების საჭიროება შექმნა. ***მონებით მოვაჭრეებმა აფრიკიდან აქ შავკანიანი მონების შემოყვანა დაიწყეს.***

ინდოეთის საზღვაო გზის აღმოჩენა

პორტუგალიის მეფეები აღმოსავლეთის ქვეყნებისკენ ახალი გზების საპოვნელად ატლანტის ოკეანეში გემებს მუდმივად აგზავნიდნენ. ეს გემები აფრიკის დასავლეთ სანაპიროების გასწვრივ მიცურავდნენ. გემებზე მყოფნი ადგილობრივებს შუშის მძივებსა და სარკეებს აძლევდნენ და სანაცვლოდ ოქროს მტვერსა და სპილოს ძვალს იღებდნენ. ამიტომაც, აფრიკის სანაპიროს ზოგიერთ ადგილს ოქროს ნაპირი და სპილოს ძვლის ნაპირი ეწოდება. აქ თანდათან მონებით ვაჭრობაც დაიწყო.

ბარტოლომეუ დიაშის მეთაურობით პორტუგალიურმა ექსპედიციამ აფრიკის დასავლეთ სანაპიროების გასწვრივ იცურა. მან კონტინენტის სამხრეთ ბოლოზე იმედის კონცხი აღმოაჩინა და ინდოეთის ოკეანეში გავიდა. თუმცა, მეზღვაურები დაღლილობისა და გავრცელებული ავადმყოფობების გამო, დიაშის ექსპედიცია იძულებული გახდა უკან დაბრუნებულიყო.

XV ასწლეულის ბოლოსთვის, საუკეთესო რუკებითა და კარაველებით აღჭურვილი ახალი ექსპედიცია მომზადდა. მას პორტუგალიელი **ვასკო და გამა** მეთაურობდა. ოთხი თვის შემდეგ, ამ ექსპედიციამ იმედის კონცხი გადალახა და აფრიკის აღმოსავლეთ სანაპიროებს მიაღწია. მცხუნვარე სიცხისა და შტორმებისგან დაქანცული, გამოცდილი მეზღვაურები ავადმყოფობებისგან იღუპებოდნენ. საბოლოოდ, ერთი ზღვის გზამკვლევის დახმარებით, მათ ინდოეთის ოკეანეში შელწევა შეძლეს. 1498 წელს, დასავლურმა ექსპედიციამ ინდოეთის ქალაქ კალიკუტის პორტს მიაღწია. კალიკუტის მმართველთან წარმოშობილი კონფლიქტი ხანმოკლე იყო და ვასკო და გამას უპირატესობით დასრულდა. გემები სანელებლებით დატვირთეს და ევროპელები სამშობლოში დაბრუნდნენ. რამდენიმე გემის დაღუპვის მიუხედავად, ამ მოგზაურობამ ევროპელებს დიდი მოგება მოუტანა. ***ამგვარად, ინდოეთის საზღვაო გზა აღმოჩენილ იქნა.***

S შუა საუკუნეებში ევროპაში წერდნენ ხის, ქვისა და თიხის ფირფიტებზე. იმ დროს ჩინელებს აბრეშუმისგან, ხოლო თურქებს ბამბისგან შეეძლოთ ქაღალდის დამზადება. მაშინ ევროპაში აბრეშუმი და ბამბა ცოტა იყო, ამიტომ ქაღალდი ძვირი ჯდებოდა. მოგვიანებით, ევროპელებმა ქაღალდის დამზადება თავად დაიწყეს.

S **თქვენი აზრით, რატომ იყო ევროპელებისთვის ინდოეთის საზღვაო გზის ძიება მნიშვნელოვანი?**

ვასკო და გამას ექსპედიცია

Layine

პირველი მოგზაურობა დედამიწის გარშემო. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შედეგები

3 რა დაამტკიცა პირველმა დედამიწის ირგვლივ მოგზაურობამ?

ესპანელი მეზღვაურები **ფერნანდო მაგელანის** მეთაურობით, ქრისტეფორე კოლუმბის იდეის განმეორებით, 1519 წელს დედამიწის გარშემო მოგზაურობას შეუდგნენ. მათ ატლანტის ოკეანის გავლით დასავლეთისკენ სურდათ გადაადგილება, რათა აზიაში მოხვედრილიყვნენ. სამხრეთ ამერიკის სანაპიროების გასწვრივ მოძრავმა ესპანელმა მეზღვაურებმა ახალ ოკეანეში გასვლა შეძლეს. რამდენიმე თვის განმავლობაში აქ არცერთი შტორმი არ შეხვედრიათ, ამიტომ ამ ოკეანეს წყნარი ოკეანე უწოდეს. ატლანტის ოკეანიდან წყნარ ოკეანეში გამავალ სრუტეს კი მაგელანის სრუტე დაარქვეს. აზიაში, ფილიპინის კუნძულებზე, ადგილობრივებთან შეტაკების დროს მაგელანი მოკლეს, თუმცა დარჩენილმა მეზღვაურებმა 1522 წელს ესპანეთში დაბრუნება შეძლეს.



Lavira

ამგვარად, პირველმა მოგზაურობამ დედაიწის გარშემო პრაქტიკულად საბოლოოდ დაამტკიცა დედამიწის სფერული ფორმა. ესპანელმა მეზღვაურებმა ევროპიდან დასავლეთისკენ გაცურეს და უკან დაბრუნება შეძლეს. გეოგრაფიული აღმოჩენების შედეგად, სავაჭრო გზები ზღვებიდან ოკეანეებზე გადავიდა, მსოფლიო ვაჭრობა წარმოიშვა. ამით, აღმოსავლეთის დიდი იმპერიების ტერიტორიებზე გამავალმა სავაჭრო გზებმა მნიშვნელობა დაკარგეს. ვენეცია და გენუა ამ გზებს მიღმა აღმოჩნდნენ. აზიის ქვეყნებთან ვაჭრობა, ძირითადად, ნიდერლანდების, ინგლისისა და პორტუგალიის პორტებში იქნა თავმოყრილი. მსოფლიო ვაჭრობის გაფართოებამ კოლონიური დაპყრობებისათვის შექმნა პირობები. პორტუგალიელებმა არაბეთისა და ინდოეთის ნახევარკუნძულების, აღმოსავლეთ აფრიკის ინდოეთის ოკეანის სანაპიროებზე მდებარე ქალაქები დაიპყრეს. აღმოსავლეთისკენ მოძრავმა პორტუგალიელებმა ზონდისა და მოლუკის კუნძულები დაიკავეს და ჩინეთისა და იაპონიის სანაპიროებამდე მიაღწიეს. ესპანელები მექსიკაში შევიდნენ და ბრაზილიის გარდა, მთელ სამხრეთ ამერიკას დაეუფლნენ. ისინი ყველა კოლონიაში ადგილობრივ მოსახლეობას – ინდიელებს – მიწებს ართმევდნენ და მათ მონებად აქცევდნენ.

დაადგინეთ დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შედეგები.

დაპყრობილ ტერიტორიებზე ადგილობრივი ხალხების რიცხვი სწრაფად მცირდებოდა. ესპანელები და პორტუგალიელები მაღაროებსა და პლანტაციებში აფრიკული წარმოშობის შავკანიან მონებს იყენებდნენ. მათი ცხოვრების წესი ძალიან მძიმე იყო. საცხოვრებელი პირობების არარსებობა, არასრულფასოვანი კვება, ცოლ-შვილისგან დაშორება – ამ ყველაფრის გამო მონები პლანტაციებში დიდხანს ვერ ძლებდნენ და იხოცებოდნენ. უკმაყოფილების გამოხატვისას კი მძიმე წამებას ექვემდებარებოდნენ.

ვინაიდან მონებით ვაჭრობა ძალიან მომგებიანი იყო, ყველა გემს აფრიკიდან შავკანიანი ადამიანები ამერიკაში გადაჰყავდა.

22 აღმოსავლეთის ხალხთა კულტურა

"ნიზამიე", ასტრონომია, მაჰმუდ ყაშგარი, გურ-ამირის მავზოლეუმი, სინან ხოჯა

ულუღ-ბეკი

3 თქვენი აზრით, რა იყო სახელმწიფოს მეთაურების მხრიდან მეცნიერებისა და განათლებისადმი ყურადღების მიქცევის მიზეზი?

თურქმა ხალხებმა, რომლებმაც მსოფლიო კულტურას უნიკალური მარგალიტები აჩუქეს, ადრე შექმნილი კულტურის ბრწყინვალე ნიმუშები კლასიკური ფეოდალიზმის პერიოდში კიდევ უფრო გაამდიდრეს. ამ პერიოდში განათლება და მეცნიერება განვითარდა. დიდი სელჩუკი სულთნის, ალფ-არსლანის მიერ XI ასწლეულის 60-იან წლებში ბაღდადში გახსნილი "ნიზამიე" მსოფლიოს ერთ-ერთ პირველ მედრესედ ითვლება. ამ უმაღლეს მედრესეში რელიგიურ ცოდნასთან ერთად, ისწავლებოდა იურისპრუდენცია, ფილოლოგია, მათემატიკა და ასტრონომია.

მუსულმანური აღმოსავლეთის მეორე უმაღლესი სასწავლებელი XIV ასწლეულის დასაწყისში თებრიზში დაარსებული მედრესე იყო. თემურიანთა მმართველი ულუღ-ბეკიც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ქვეყანაში მედრესეების მშენებლობას.

ოსმალეთის სულთან სულეიმან I კანონის მმართველობის პერიოდში სასწავლებლების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. თურქულ სახელმწიფოებში საგანმანათლებლო დაწესებულებების გამრავლებამ შექმნა პირობები მეცნიერების განვითარებისათვის.

"ნიზამიეს" მედრესე

Lame

ასტრონომიის დარგში მნიშვნელოვანი მიღწევები იქნა მოპოვებული. ისპაჰანის ობსერვატორიის ხელმძღვანელმა, **ომარ ხაიამმა,** სელჩუკი მმართველის, მელიქ-შაჰის პატივსაცემად შედგენილ **"ჯალალის კალენდარში"** გრიგორიანულ კალენდარზე უფრო ზუსტი გამოთვლები შეძლო.

ვარსკვლავთა მნათობთა ციკლური სახელწოდებების *(გველი, ცხენი, ცხვარი, მაიმუნი* და *ა.შ.)* თურქულ ენაზე დაფიქსირება მაჰმუდ ყაშგარის სახელს უკავშირდება. ასტრონომიის განვითარებაში დამსახურებული **ულუღ-ბეკის** მიერ სამარყანდში **ობსერვატორია** შეიქმნა. მან ციურ სხეულთა მოძრაობის ამსახველი ცხრილი შეადგინა და მთვარისა და მზის ორბიტები განსაზღვრა.

გეოგრაფიის მეცნიერების განვითარებაში ჩინელი მეზღვაურების როლი უდაოა. ჩინელმა მეცნიერებმა ინდოეთიდან აფრიკამდე ყველა ქვეყანა შეისწავლეს და ამის შესახებ ღირებული კვლევითი ნაშრომები დაწერეს. ოსმალეთის სახელმწიფოს დაპყრობების ზრდასთან ერთად, გეოგრაფიული ცოდნაც ვითარდებოდა. ცნობილი თურქი ადმირალი, **ფირი რეისი,** ამ სფეროში თავისი მოღვაწეობით განსაკუთრებით გამოირჩეოდა.

ომარ ხაიამი

ფირი რეისი

ფირი რეისმა 1513 წელს მსოფლიოს დიდი რუკა შეადგინა და სულთან სელიმს წარუდგინა. მან მოგვიანებით ეს საქმიანობა განაგრძო და "ბაჰრიე" სახელწოდების საზღვაო ატლასი შექმნა, რომელიც სულთან სულეიმანსაც გააცნო. ფირი რეისმა მსოფლიოს რუკაში ამერიკის კონტინენტიც შეიტანა. ეს კი იმის დასტურია, რომ თურქი მოგზაურები და გეოგრაფები ამერიკის კონტინენტის არსებობის შესახებ ინფორმირებულნი იყვნენ.

ფირი რეისის
1513 წელს
შედგენილი
მსოფლიო
რუკის ერთი
ფრაგმენტი

Layline

ამ პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა მედიცინის მეცნიერების განვითარებას. ოსმალეთის სახელმწიფოს ქალაქ ედირნესა და აზერბაიჯანის ქალაქ თებრიზში **"დარუშშიფას"** (საავადმყოფოს) სახელწოდების საავადმყოფოები გაიხსნა.
გამოჩენილი მეცნიერის, ფაზლულაჰ რაშიდადინის სამედიცინო ნაშრომებმა მას დიდი პოპულარობა მოუტანა. პირველი **"ფარმაკოლოგიის"*** წიგნი ჩინეთში დაიწერა და სხვადასხვა მკურნალობის მეთოდი განისაზღვრა.

ფაზლულაჰ რაშიდადინის ძეგლი

*** ფარმაკოლოგია**

მეცნიერება წამლების შესწავლის შესახებ.

დიდ მოგოლთა მმართველის, აქბარ შაჰის დროს, ინდური კულტურა უფრო სწრაფად განვითარდა. ამიტომ ამ პერიოდს **"აქბარის საუკუნეს"** უწოდებენ.

ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲐ

განსაზღვრეთ ფაქტორები, რომლებმაც გავლენა იქონიეს აღმოსავლეთის ქვეყნებში მეცნიერების განვითარებაზე.

აქბარ შაჰისთვის "აქბარნამეს" წიგნის კითხვა



მაჰმუდ ყაშგარი

ლიტერატურა

ეპოქის გამოჩენილი თურქი მეცნიერი, ლიტერატურათმცოდნე და ფოლკლორისტი იყო მაჰმუდ ყაშგარი. იგი არის **"Divani lüğət-it-türk"** ("თურქულ ენათა დივანი") ნაწარმოების ავტორი. ლექსიკონში ასახულია თურქული ენების სიმდიდრის ამსახველი მაგალითები, ხალხური პოეზიის ნიმუშები, ანდაზები და გამონათქვამები. ნაწარმოების ბოლოს ასევე დართულია პირველი რუკა, რომელიც იმ პერიოდში თურქი ხალხების საცხოვრებელი ტერიტორიების აღწერას იძლევა.

9 შეაგროვეთ ინფორმაცია მაჰმუდ ყაშგარის სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ.

მოლა ნასრედინი

მევლანა ჯალალედინ რუმი, იუნუს ემრე, იმადედინ ნასიმი, ელიშირ ნავაი და მაჰმად ფუზული იმ დროის ყველაზე ცნობილი თურქ-მუსულმანი პოეტები იყვნენ.

ზეპირსიტყვიერი ხალხური შემოქმედების უდიდესი წარმომადგენელი, თურქული მახვილგონივრულობისა და გონიერების ნათელი სიმბოლოა **ხოჯა (მოლა) ნასრედინი.** მოლა ნასრედინის სახელთან დაკავშირებით აზერბაიჯანშიც შეიქმნა საინტერესო ხუმრობები.

3 რა იცით მოლა ნასრედინის შესახებ?

"დივანი ლულათ-ით-თურქში" თურქების საცხოვრებელი ტერიტორიების აღწერის მომცემი რუკა

Layihe

სამარყანდი, ულუღ-ბეკის ობსერვატორიის შესასვლელი

არქიტექტურა და ხელოვნება

შუა საუკუნეებში თურქ-მუსულმანური არქიტექტურა გამოირჩეოდა თავისი სტილითა და მრავალფეროვნებით. სელჩუკთა სახელმწიფოში მოღვაწე არქიტექტორებმა ააგეს მრავალი სასახლე, ქარავან-სარაი, მეჩეთი, მედრესე, მავზოლეუმი და გუმბათი. არქიტექტურის განვითარების თვალსაზრისით, ისეთი ქალაქები, როგორიცაა სამარყანდი, სტამბოლი და თებრიზი, განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ.
ამირ თემურის მიერ სამარყანდში აგებული შენობები თავისი ბრწყინვალებით მნახველებს აოცებდა. თემურის საფლავზე აგებული გურ-ამირის მავზოლეუმი სამარყანდის არქიტექტურის შედევრად ითვლება. სამარყანდის ობსერვატორიის მშენებლობას ხელმძღვანელობდა ულუღ-ბეკი, რომელიც სახელმწიფო მოღვაწისა და ასტრონომის გარდა, თავისი დროის გამოჩენილ არქიტექტორადაც ითვლებოდა.

გურ-ამირის მავზოლეუმი

Layne

ქუთბ მინარი

ქუთბედდინ აიბაქი



არქიტექტორი სინანი

ინდოეთში წარმოქმნილი თურქული სახელმწიფოების პერიოდში ინდურ-მუსულმანური კულტურა აღმავლობას განიცდიდა. XIII ასწლეულის დასაწყისში დელის სულთანმა, ქუთბედდინ აიბაქმა, ააგებინა მინარეთი, რომელსაც **"ქუთბ მინარი"** ეწოდება და დღესაც ინარჩუნებს თავის ბრწყინვალებას. 73 მეტრი სიმაღლის ოთხსართულიანი მინარეთი აგებულია წითელი ქვიშაქვითა და თეთრი მარმარილოთი. ოსმალური არქიტექტურის ერთ-ერთი მთავარი ცენტრი იყო ქალაქი სტამბოლი. აქ თურქი არქიტექტორების მიერ აგებული **ფაიფურის პავილიონი, თოფქაფის, ფენერბაჰჩესა** და სხვა სასახლეები დღესაც თავისი ბრწყინვალებით ამშვენებს ქალაქს.

ახსენით ოსმალური არქიტექტურის განვითარების თავისებურებანი.

იმ დროის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი არქიტექტორი იყო სინან ხოჯა. მის მიერ აგებული არქიტექტურული ძეგლები, როგორიცაა **შეჰზადეს, სულეიმანიესა და სელიმიეს მეჩეთები**, დღესაც ინარჩუნებენ თავის სიდიადეს.

ამ პერიოდში ჩინელი არქიტექტორები აგებდნენ მშვენიერ სასახლეებს, სახლებს და ზევითკენ მოხრილი, გვერდითი გამონაზარდებიანი თაღებით შემკულ ტაძრებ-პაგოდებს.

ჩინეთში მიღწეულ იქნა არაერთი მნიშვნელოვანი კულტურული და ტექნიკური წარმატება. პირველად დაიწერა მუსიკალური ნაწარმოებები ნოტებით, წარმოიშვა ბალეტი. გამოიგონეს დენთი და ლითონის ქვემეხი. ჩინეთში თიხის სპეციალური სახეობისგან დამზადებულ მტკიცე, ნახევრად გამჭვირვალე, ჩხრიალა ჭურჭელს სხვა ქვეყნებში დიდი სიამოვნებით ყიდულობდნენ. მათ **ჩინურ ფაიფურის ნაწარმს** უწოდებდნენ.

სელიმიეს მეჩეთი

3 XI–XV ასწლეულებში მიღწეული რომელი კულტურულ-ტექნიკური მიღწევები გამოიყენება დღესაც?



სელიმიეს მეჩეთის ინტერიერი

სელიმიეს მეჩეთი ედირნეში ოსმალეთის სულთან სელიმ II-ის ბრძანებით არქიტექტორ სინანმა ააგო. არქიტექტორ სინანის მიერ 90 წლის ასაკში ნაგები და "ოსტატობის შედევრად" წოდებული სელიმიეს მეჩეთი, როგორც მისი, ასევე მთლიანად ოსმალური არქიტექტურის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნამუშევარია. კარის წარწერის მიხედვით, შენობის მშენებლობა 1568 წელს დაიწყო. მეჩეთი 1575 წელს გაიხსნა სალოცავად.

სელიმიე მოწმენდილ ამინდში მოჩანს როდოპის მთებიდან და უზუნქიორპიუს სულეიმანიეს სოფლიდან. 2011 წელს სელიმიეს მეჩეთი და მისი კომპლექსი იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შეიტანეს.

23 ევროპისა და ამერიკის ხალხთა კულტურა

უნივერსიტეტი, ჰუმანისტები, წიგნის ბეჭდვა, კოპერნიკი, შექსპირი, გოთიკური სტილი, "მონა ლიზა", მაიას კალენდარი.

დასავლეთ ევროპაში, ადრეულ შუა საუკუნეებთან შედარებით, XI–XVI ასწლეულებში განათლება, მეცნიერება და ხელოვნება საგრძნობლად განვითარდა. XI ასწლეულში ევროპაში გაჩნდა პირველი უმაღლესი სასწავლებლები – უნივერსიტეტები. გაკვეთილები ყველგან ლათინურ ენაზე მიმდინარეობდა. ამიტომ ევროპელებს ნებისმიერ უნივერსიტეტში შეეძლოთ სწავლა.

ევროპაში პირველი უნივერსიტეტი იტალიაში, ქალაქ ბოლონიაში შეიქმნა. მოგვიანებით, საფრანგეთში, ინგლისსა და ევროპის სხვა ქვეყნებშიც დაიწყეს ასეთი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაარსება.

რაფაელ სანტი. "ათენის სკოლა"

სწრაფად მზარდ და კეთილმოწყობილ ქალაქებს უფრო მეტი განათლებული ადამიანი სჭირდებოდა. ამის შედეგად, ქალაქებში გაჩნდა **ინტელიგენცია**, რომელიც გონებრივი შრომით იყო დაკავებული. ეკლესიის სწავლებასთან დაკავშირებული ცოდნის გაჩენა დაკავშირებული იყო მეურნეობის განვითარებასთან. XIII საუკუნეში ინგლისში მოღვაწე **როჯერ ბეკონი** ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი იყო. იგი ამბობდა, რომ ცოდნის შეძენა დაკვირვებისა და ექსპერიმენტის საშუალებით შეიძლება.
ამ პერიოდში იტალიაში კულტურული აღმავლობა ხდებოდა. ახალი კულტურის წარმომადგენელთა ყურადღებას უფრო მეტად ადამიანი და მისი მოღვაწეობა იპყრობდა. მათ **ჰუმანისტებს** უწოდებდნენ. დაკვირვებებსა და ექსპერიმენტებს ატარებდნენ მეცნიერები, რომლებიც ცდილობდნენ მოვლენების ახსნას და მათი მიზეზების შესწავლას. ძველი საბერძნეთისა და რომის კულტურისადმი დიდ ინტერესს გამოხატავდნენ ჰუმანისტები, რომლებიც თავიანთ ნაწარმოებებს ლათინურის ნაცვლად, მშობლიურ ენაზე წერდნენ. ახალი კულტურის შექმნის პერიოდს **რენესანსის ხანა** ეწოდება. იტალიის ქალაქი ფლორენცია რენესანსული კულტურის ცენტრად იქცა.
ამ პერიოდში სამეცნიერო ცოდნა ქაღალდზე ხელით იწერებოდა და მრავლდებოდა. ეს კი წიგნზე მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებდა. გერმანელმა მეცნიერმა **გუტენბერგმა 1445 წელს** ბეჭდური მეთოდით პირველი წიგნი გამოსცა.
კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთმა უდიდესმა გამოგონებამ, წიგნის ბეჭდვამ, ბიძგი მისცა განათლების, მეცნიერებისა და ლიტერატურის განვითარებას.

განსაზღვრეთ ფაქტორები, რომლებმაც ბიძგი მისცეს მეცნიერებისა და განათლების განვითარებას ევროპაში XI–XVI საუკუნეებში.

გუტენბერგი პირველი ნაბეჭდი "ბიბლიის" გამოცემის პროცესში

შუა საუკუნეებში განვითარდა ისეთი განსაკუთრებული მეცნიერებები, როგორიცაა მენიშნეობა (ასტროლოგია) და ალქიმია. მენიშნეები ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ, თითქოს, ვარსკვლავებით მომავლის განსაზღვრა შესაძლებელია. ალქიმიკოსები ეძებდნენ ისეთ "ჯადოსნურ ქვას", რომლის საშუალებითაც ნებისმიერი ლითონის ოქროდ გარდაქმნა იქნებოდა შესაძლებელი. მენიშნეთა და ალქიმიკოსთა დაკვირვებები და ექსპერიმენტები ხელს უწყობდა ასტრონომიისა და ქიმიის შესახებ ცოდნის დაგროვებას.



ნიკოლოზ კოპერნიკი

ჯორდანო ბრუნო

გალილეო გალილეი

დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შემდეგ კიდევ უფრო განვითარებულმა გეოგრაფიის მეცნიერებამ ასტრონომიის განვითარების პირობებიც შექმნა. შუა საუკუნეებში სამყაროს აგებულების შესახებ შეხედულებები შეცდომით ემყარებოდა პტოლემეს მოძღვრებას. ამ მოძღვრების თანახმად, დედამიწა არ მოძრაობს და მსოფლიოს ცენტრში მდებარეობს. პოლონელმა მეცნიერმა, **კოპერნიკმა**, განაცხადა, რომ დედამიწა ბრუნავს როგორც თავისი ღერძის გარშემო, ისე მზის გარშემოც. იტალიელი მეცნიერი, **ბრუნო**, კი მიუთითებდა, რომ სამყარო უსასრულოა. ცაზე ტელესკოპით დამკვირვებელი პირველი მეცნიერი იყო ვენეციელი **გალილეი**.
დასავლეთ ევროპაში მეცნიერების განვითარებაზე დიდი გავლენა იქონია მუსულმანი მეცნიერების ნაშრომებმა. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ იბნ სინა, ალ-ბირუნი და ნასირედინ თუსი.

გალილეო გალილეიმ, ეკლესიის სამრეკლოზე დაყენებული სადამკვირვებლო მილის საშუალებით, შეუიარაღებელი თვალით ხილული ციური სხეულების 30-ჯერ გადიდებას მიაღწია. მისმა აღმოჩენებმა დაადასტურა კოპერნიკისა და ბრუნოს მოძღვრება. თუმცა, რომში გამოძახებული და საეკლესიო სასამართლოზე წარდგენილი მეცნიერი, წამების შიშით, იძულებული გახდა "მოენანიებინა". მოგვიანებით გაჩნდა ასეთი გადმოცემა, რომ, თითქოს, გალილეიმ დედამიწის მოძრაობაში რწმენის უარყოფის შემდეგ, ფეხზე წამოდგა და თქვა: "და მაინც ბრუნავს".

გალილეი ლეონარდო დონატოს უჩვენებს ტელესკოპს

Learline

ლიტერატურა

თომას მორი

უილიამ შექსპირი

დასავლეთ ევროპის ჰუმანისტი მწერლები გმობდნენ ფეოდალურ წესებს და ეკლესიის ბრძოლას მეცნიერების წინააღმდეგ, ისურვებდნენ უფრო სამართლიან წყობილებას. ინგლისელი მწერალი, **თომას მორი**, აკრიტიკებდა ქვეყანაში მიმდინარე უსამართლობებს და თავის მიერ გამოგონილ **"უტოპიის კუნძულზე"** აღწერდა ყველას თანასწორ ცხოვრებას. "უტოპია" ბერძნულად "არარსებულ ადგილს" ნიშნავს.

გენიალური ინგლისელი მწერლის, **უილიამ შექსპირის**, "ჰამლეტი", "ოტელო", "მეფე ლირი" და სხვა მსგავსი ნაწარმოებები მის მსოფლიო პოპულარობას უზრუნველყოფდა.

ამ პერიოდში საფრანგეთში, ესპანეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში მოღვაწე პოეტებისა და მწერლების ლიტერატურული ნაწარმოებები ემსახურებოდა კულტურის ნიმუშების გამდიდრებას.

? როგორ წარმოგიდგენიათ "უტოპიის კუნძული"?

? როგორი იყო დასავლეთ ევროპელი ჰუმანისტი მწერლების დამოკიდებულება იმ ეპოქის მიმართ, რომელშიც ისინი ცხოვრობდნენ?

! XVI ასწლეულში ინგლისელი ხალხი დიდად იყო გატაცებული თეატრით. ხანდახან დედოფალი ელისაბედიც კი შენიღბული მოდიოდა სანახაობაზე. უილიამ შექსპირის მთელი ცხოვრება თეატრს უკავშირდებოდა. იგი თავიდან ლონდონის "გლობუსის" თეატრში მსახიობად მუშაობდა, შემდეგ კი ამავე თეატრის ერთ-ერთი მფლობელი გახდა. შექსპირმა 37 პიესა, ასევე მრავალი ლექსი დაწერა.

Texbis

რომანული სტილის ნაგებობა

არქიტექტურა და ხელოვნება

XI ასწლეულიდან ევროპაში მიმდინარეობდა ფართო სამშენებლო სამუშაოები. მშენებლები ეყრდნობოდნენ ძველი რომისა და ბიზანტიის არქიტექტურულ ტრადიციებს. ასეთ ნაგებობებს **რომანული სტილის ნაგებობები** ეწოდებოდა. XII საუკუნის ბოლოს ევროპაში გაჩნდა გოთური არქიტექტურა*. ქალაქებში, ძირითადად, მერიის შენობები, სავაჭრო სახლები, სასტუმრო სახლები და მთავარი ტაძრები შენდებოდა გოთურ სტილში.

*** გოთური არქიტექტურა**

მაღალი წვეტიანი თაღის მქონე, კედლებში მრავალი დიდი სარკმლის განთავსებით ხასიათდება.



პოკროვის ტაძარი

მოსკოვში, წითელ მოედანზე მდებარე პოკროვის ტაძარი (ასევე ცნობილი როგორც ვასილი ნეტარის ტაძარი) შუა საუკუნეების რუსული არქიტექტურის მწვერვალია.
იტალიის რენესანსის ერთ-ერთი უდიდესი მოღვაწე, ფლორენციელი **ლეონარდო და ვინჩი** იყო გენიალური მხატვარი, გამომგონებელი ინჟინერი, არქიტექტორი, მოქანდაკე, მუსიკოსი და პოეტი. მისი ნამუშევარი, ახალგაზრდა ქალაქელი ქალის პორტრეტი "მონა ლიზა" ("ჯოკონდა") ცნობილია მთელ მსოფლიოში.

ლეონარდო და ვინჩი

ლეონარდო და ვინჩი. "მონა ლიზა"

Live

დაწერეთ ესსე სახელწოდებით "გენიალური მოქანდაკე", რომელიც მიეძღვნება მიქელანჯელოს მოღვაწეობას.

რენესანსის ხანის ერთ-ერთი გენიალური მოღვაწე იყო **მიქელანჯელო** – მოქანდაკე, მხატვარი, არქიტექტორი, სამხედრო ინჟინერი და პოეტი. მან მარმარილოს უზარმაზარი ლოდისაგან გამოკვეთა 5,5 მეტრი სიმაღლის "დავითის" ქანდაკება. ეს ქანდაკება ქალაქ ფლორენციის მფარველად ითვლება. მიქელანჯელო ასევე მონაწილეობდა რომში წმინდა პეტრეს ტაძრის მშენებლობაშიც.

მიქელანჯელო ბუონაროტი

"დავითის" ქანდაკება

ფლორენციაში მცხოვრები **რაფაელი** თავისი დროის გამოჩენილ მხატვრად ითვლებოდა. იგი რომში წმინდა პეტრეს ტაძრის მშენებლობას ხელმძღვანელობდა.

წმინდა პეტრეს ტაძრის ინტერიერი

რაფაელ სანტი

რაფაელი. "ღვთისმშობელი"

რაფაელის ყველაზე ცნობილი ნამუშევარია "ღვთისმშობელი".

რენესანსის ხანის გენიალურმა ხელოვანებმა შექმნეს იშვიათი მარგალიტები, რომლებიც დღესაც აოცებს კაცობრიობას. იტალიური კულტურის გავლენით, გერმანელი, ესპანელი და ჰოლანდიელი მხატვრების შემოქმედებამ მსოფლიო ხელოვნებაში მრავალი სიახლე შეიტანა.

ამერიკის ხალხთა კულტურა

ამერიკის ხალხთა შორის, **მაიას** ტომები გამოირჩეოდნენ მათ მიერ მიღწეული კულტურული წარმატებებით. მათ გააჩნდათ საკუთარი დამწერლობა, რომელიც იეროგლიფებისგან შედგებოდა. მაიას კალენდარი ძველ ხალხთა ერთ-ერთი ყველაზე ზუსტი კალენდარი იყო. კალენდრის შექმნა დაკავშირებული იყო მათემატიკის განვითარებასთან.
მაიას ტომებმა ინდიელებზე ადრე გამოიყენეს ნული რიცხვი. მღვდლებმა კი გამოთვალეს პლანეტების მოძრაობა მზის გარშემო და იწინასწარმეტყველეს მზისა და მთვარის დაბნელებები. მათ მიერ **ჩიჩენ-იცაში** აგებული საფეხუროვანი პირამიდები და ობსერვატორიებიც ადასტურებს მათემატიკისა და ასტრონომიის განვითარებას.

მაიას კალენდარი

მაიას იარაღები

საფეხურووანი პირამიდები

19 შეადარეთ მაიას და ძველი ეგვიპტელების კულტურები.

აცტეკების დედაქალაქ მეხიკოში არსებობდა სკოლები. აქ განათლებას იღებდნენ მდიდარი ოჯახების ბავშვები. მათ ასწავლიდნენ მიწათმოქმედებას, ხელოსნობასა და სამხედრო საქმეს. აცტეკი ოსტატების მიერ კაჟისაგან დამზადებული დანები, მოჩუქურთმებული თიხის ჭურჭელი, სპილენძის საყურეები ხელოვნების მშვენიერი ნიმუშები იყო.

ინკები ცხოვრობდნენ მთიან ქვეყანაში, პერუში. ქვეყანაში კარგად იყო განვითარებული საფოსტო კავშირი. ამისთვის ინკები მიუდგომელ მთებში გვირაბებს აგებდნენ, ღრმა ხეობებზე კი დაკიდულ ხიდებს აწყობდნენ.

ინკი ხელოსნები ბამბის ქსოვილისგან ამზადებდნენ მოჩუქურთმებულ ხალიჩებსა და თიხის ჭურჭელს. ინკებს ჰქონდათ კარგი სკოლები, რომლებიც განათლებას კარგად აძლევდნენ. კოლუმბამდელი ამერიკის ხალხთა კულტურა გამოირჩეოდა ორიგინალურობითა და თვითმყოფადობით. ეს კულტურა შექმნილი იყო ევროპისა და აზიის ხალხთა კულტურული გავლენის გარეშე.

აცტეკი მეომარი

Leyla

ლიტერატურის სია

აზერბაიჯანულ ენაზე

1. აზიისა და აფრიკის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორია. ნარგიზ ახუნდოვა. ბაქო, 2010.
2. აიდინ კასიმლი. თურქები (ისტორიული ნარკვევები). ბაქო, 2012.
3. ელდენიზ მამედოვი. სელჩუკები. სახელმძღვანელო. ბაქო: მუთერჯიმი, 2015.
4. ისრაილ ამირლი. "ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნები ფეოდალიზმის ხანაში (III-XVII საუკუნეები)", ბაქო, 2006.
5. ლევ გუმილიოვი. ძველი თურქები. ბაქო, გენჯლიქი, 1993.
6. "მონღოლთა საიდუმლო ისტორია", აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ბაქო, 2011.
7. მუხთაროვა ასმად. "თურქი ხალხების ისტორია", "ადილოღლუ", ბაქო, 2013.
8. შუა საუკუნეების ისტორია. ს. სკაზკინის საერთო რედაქციით, ბაქო, 1988.
9. თელმან ორუჯოვი. მსოფლიო ისტორია. 3 ტომად. II წიგნი. ბაქო, 2011.
10. თოფიგ მუსთაფაზადე. საერთო ისტორია. I წიგნი. ბაქო, 2009.

თურქულ ენაზე

11. Akbaş, M. (2017). Reformasyon düşüncesinde eskatoloji: Martin Luther'de kurtuluş ve ahiret. Türkiye Din Eğitimi Araştırmaları Dergisi, 3, 23-30.
12. Akdes Nimet Kurat, "IV-XVIII yüzyıllarda Türk kavimleri ve devletleri", Türk Tarih Kurumu, Ankara, 1972.
13. Babürlü imparatorluğu'nun siyasi tarihi üzerine bir değerlendirme.
14. Bozkır İmparatorluğu Attila/Cengiz Han/Timur. Rene Grousset. Çeviren: Or. M.Reşot Uzmen
15. Dinçer Koç, "Altın Orda tarihi", İstanbul Üniversitesi, 2001.
16. Doğu Avrupa türk tarihi. Prof. Dr. Mualla Uydu Yücel
17. Ekber şah döneminde Hindistan. H.Hilal Çağlayan. Ankara, 2005.
18. Erdoğan Merçil, "Qazneliler devleti tarihi", Türk Tarih Kurumu, Ankara, 1989.
19. Erdoğan Merçil, "Müslüman Türk Devletleri Tarihi, Türk Tarih Kurumu, Ankara, 2006.
20. Fatma Çapan, Baran Güvenç, "Kavimler göçü ve Batı Roma imperatorluğunun çöküşü", "21. Yüzyılda Eğitim ve Toplum degisi", İstanbul, 2017.
21. Göktürkler. Dr. Öğretim Üyesi Ali Ahmetbeyoğlu
22. Göktürk devleti diplomasisi (552-630). Çiğdem Şahin. Karadeniz, 2018.
23. Hans Robert Roemer. Timurlular. İstanbul, 1974.
24. Henri Pirenne, "Ortaçağ Avrupasının Ekonomik ve Sosyal tarihi", İstanbul, 2018.
25. Hindistan'da Babür imparatorluğunun kuruluş dönemi: Zahirüddin Muhammed Babür. DTCF Dergisi 57.1 (2017)
26. İslam Ansiklopedisi. Cilt 3. Ankara savaşı.
27. İslam Ansiklopedisi. Cilt 4. Babürlüler.
28. İslam Ansiklopedisi. Cilt 9. Delhi sultanlığı.
29. İslam Ansiklopedisi. Cilt 41. Timurlular.
30. İslam Ansiklopedisi. Cilt 42. Uygurlar.
31. İzzet Çivgin. "Ortaçağ Tarihi, Ankara, 2008.
32. J.Hammer. Büyük Osmanlı tarihi (10 ciltte). İstanbul, 1982-1990.
33. J.M.Roberts. Avrupa Tarihi, İstanbul, 2016.
34. Kürşat Yıldırım. "Hun tarihi", İstanbul Üniversitesi, 2001.
35. Muammer Gül. "Ortaçağ Avrupa Tarihi, İstanbul, 2009.
36. Mualla Uydu Yücel. "Doğu Avrupa tarihi", İstanbul Üniversitesi, 2001.
37. Mualla Uydu Yücel. "Moğollar tarihi", İstanbul Üniversitesi, 2001.
38. Müslüman-türk devletleri tarihi. Prof. Dr. Erdoğan Merçil. İstanbul, 2013.
39. Orta Asya türk tarihi. Prof. Dr. Barthold. Ankara, 2004.
40. Orta çağ Avrupa tarihi. Muammer Gül. İstanbul, 2009.
41. Orta Çağ Tarihi. İzzet Çivgin. Ankara, 2008.
42. "Ortaçağda Dünyada bilim, Teknoloji ve Sosyal değişme", İstanbul, 2009.
43. "Orta Doğu Araştırmalar Dergisi", Elazığ, 2004.
44. Selçuklu İmparatorluğu tarihi. Yazan: Enver Behnan Şapolyo. Ankara, 1972.
45. Şerif Baştav. "Avrupa Hunları", Ankara Üniversitesi, 2000.
46. Timurun Günlüyü. Tüzükati Timur. Sahibkıran Emir Timur Muhammed Tarağay Bahadır oğlu
47. Timurlular devleti (1370-1507). Prof. Dr. Abdulhaluk Mehmet Çay. Ankara, 2009.
48. Turkish Translation of Martin Luther's "95 Theses", translated by Asst. Prof. Dr. Kaan H.Ökten, Maltepe University, İstanbul.
49. Peter B Golden, "Türk halkları tarihine giriş", İstanbul, 2012.
50. Protestan reformunun Almanyada ortaya çıkış süreci. Anasay yayınları, 2020.
51. Reformasyon Avrupası 1517-1559.
52. Rene Grousset. "Bozkır imperatorluğu – Attila/Cengiz han/Timur", İstanbul, 1980.
53. Susan Vays Bauer. Dünya tarihi, Orta çağ, İstanbul, 2015.
54. Z.V.Toğan. Ümumi türk tarihine giriş. İstanbul,1946.

რუსულ ენაზე

55. Артомонов М.И. История хазар. Ленинград, 1962 г.
56. Великая степь в античных и византийских источниках. Алматы, 2005
57. Великие империи мира. Москва, 2011.
58. Все войны древности. Москва, 2009.
59. Всемирная история. В 24-х томах. Том 1-2. Минск, 1999.
60. История востока. В. 6 т. Т. 2. Восток в средние века. М. 2002, 716 с.
61. История культуры народов мира. В 10-ти книгах. Москва, 2005.
62. История средних веков.Т.1,Москва, 1989.

Lavine

Buraxılış məlumatı

ÜMUMİ TARİX 7

Ümumi təhsil müəssisələrinin 7-ci sinifləri üçün
Ümumi tarix fənni üzrə

DƏRSLİK
(gürcü dilində)

Tərtibçi heyət:

Müəlliflər:	**Pərviz Ağalarov** **Niyaməddin Quliyev** **Kərəm Məmmədov** **Hafiz Cabbarov** **Talıb Talıblı** **Elşən Qasımov** **Ramil Tanrıverdi** **Elnur Hüseynov**
Elmi redaktor	**Kərim Şükürov**
Layihə rəhbəri	**İlqar Əlfioğlu**
Tərcüməçi	**Elzadə Həsənova**
Dil üzrə redaktor	**Allahverdi Əhmədov**
Buraxılışa məsul	**Rafiq Kazımov**
Dizayner və səhifələyici	**Kənan Yusifzadə**
Üz qabığının dizaynı	**Nurlan Nəhmətov**
Multimedia mütəxəssisləri:	**Yusif Qabilov** **Kənan Yusifzadə**
Rəssamlar:	**Ruhulla Həsənzadə** **Zəhraxanım Abdullazadə** **Nəzrin Hacıyeva**
Texniki redaktor	**Sevinc Yusifova**
Baş redaktor	**Samirə Bektaşi**
Texniki direktor	**Allahverdi Kərimov**
Nəşriyyat direktoru	**Sevil İsmayılova**

Rəqəmsal mobil texnologiyaların (animasiyalar, multimedia və QR kodlar) dərslik və metodik vəsaitlərdə istifadəsinin ideya müəllifi **Rafiq Kazımov**

© “Şərq-Qərb” Açıq Səhmdar Cəmiyyəti

Azərbaycan Respublikası Elm və Təhsil Nazirliyinin qrif nömrəsi: 2022-055

Müəlliflik hüquqları qorunur. Xüsusi icazə olmadan bu nəşri və yaxud onun hər hansı hissəsini yenidən çap etdirmək, surətini çıxarmaq, elektron informasiya vasitələri ilə yaymaq qanuna ziddir.

Hesab-nəşriyyat həcmi 12,5. Fiziki çap vərəqi 17,5. Formatı 57x82 1/8.
Kəsimdən sonra ölçüsü: 195x275. Səhifə sayı 140.
Şriftin adı və ölçüsü: məktəb qarnituru 10-12. Ofset kağızı. Ofset çapı.
Sifariş . Tiraj . Pulsuz. Bakı – 2026

Əlyazmanın yığıma verildiyi və çapa imzalandığı tarix:

Çap məhsulunu nəşr edən:
“Şərq-Qərb” ASC
(Bakı, AZ1143, Hüseyn Cavid pr., 111)

Layihə

Pulsuz

Əziz məktəbli!

Bu dərslik sizə Azərbaycan dövləti tərəfindən bir dərs ilində istifadə üçün verilir.

O, dərs ili müddətində nəzərdə tutulmuş bilikləri qazanmaq üçün sizə etibarlı dost və yardımçı olacaq.

İnanırıq ki, siz də bu dərsliyə məhəbbətlə yanaşacaq, onu zədələnmələrdən qoruyacaq, təmiz və səliqəli saxlayacaqsınız ki, növbəti dərs ilində digər məktəbli yoldaşınız ondan sizin kimi rahat istifadə edə bilsin.

Sizə təhsildə uğurlar arzulayırıq!

Layihə